# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

6 ნოემბერი **სამშაბათი** 2012 **№263 (13 869)** ფასი 80 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა



# არა

## ხიზანიშვილს ოქრიაშვილს კანკავას

2

# ქეცბაიამ ნაკრები გაცხრილა

## გაბრაზებული რეალი და სიტის ბოლო შანსი

### დღეს ლიგაზე, შესაძლოა, პირველი მერვედფინალისტები გავიცნოთ



7



12

## ზაზას კარგი ექვსიანები...

### ფაჩულიამ და ატლანტამ სტუმრად ოკლაჰომა შეარცხვინეს

## გატაცება ბრაზილიურად

### ზენიტის ფორვარდ ჰალკს და მოსტაცეს

ბრაზილიის წამყვანი გაზეთის - Globo-ის ინფორმაციით, სანკტ-პეტერბურგის "ზენიტისა" და ბრაზილიის ნაკრების ფორვარდს **ჰალკს** და მოსტაცეს. ინციდენტი გუშინ, ადგილობრივი დროით 14 საათზე მოხდა.

პოლიცია იტყობინება, რომ 22 წლის **ანჟელიკა აპარესიდა ვიეირა დე სოუზა** ბრაზილიის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ქალაქის კამპინა გრანდეს ერთ-ერთ რესტორანთან ახლო მოიტაცეს. იქ გოგონა თავის მეგობართან **პერეირო სილვასთან** იმყოფებოდა, რომელიც აღნიშნული რესტორნის მენეჯერია. წყვილს მიუახლოვდა ავტომობილი, საიდანაც უცნობი მამაკაცები გადმოვიდნენ და გოგონა მანქანაში ჩატენეს. მომხდარის შემდეგ, შეშინებული სილვა შოკურ მდგომარეობაში საავადმყოფოში მოათავსეს, მაგრამ მალე გამოწერეს იქიდან.

პოლიციის უფროსის ანრი ფაბიოს განცხადებით, გამტაცებლები ჯერ ოჯახთან კავშირზე არ გასულან. ჰალკი მომხდართან დაკავშირებით სამშობლოში დაბრუნებას არ აპირებს, მის ოჯახს კი პოლიციამ დაცვა მიუჩინა.



## ...ფერსელიძის ცუდი ექვსიანი

### დოპინგი? არა, ორი პასპორტი: გურამ ფერსელიძის 6-თვიანი დისკვალიფიკაცია საქართველოს ჭიდაობის ფედერაციას 12 ათასი დაუჯდება



10



## ნოვაკი ისევ მეფეა

### ჯოკოვიჩმა რეიტინგში პირველობა დაიბრუნა და წლის შემაჯამებელი მოგებით დაიწყო

16

● ეროვნული ნაკრები



თემურ ქეცბაია

# ქეცბაიამ ნაკრები ეგვიპტესთვის გაცხრილა

## გარეშე: ხიზანიშვილი, ოქრიაშვილი და კანკავა

14 ნოემბერს საქართველოს ეროვნული გუნდი ამხანაგურ შეხვედრას ითამაშებს ეგვიპტის ნაკრებთან. მატჩი თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გაიმართება.

ჩვენი ნაკრების დამრიგებელმა თემურ ქეცბაიამ ამ მატჩისთვის ეს ფეხბურთელები გამოიძახა:

მეკარეები: გიორგი ლორია (დინამო თბილისი), ნუკრი რევიშვილი (კრასნოდარი, რუსეთი), ომარ მიგინეიშვილი (ტორპედო, ქუთაისი)

მცველები: უჩა ლობჟანიძე (კრივბასი, უკრაინა), აკაკი ხუბუტია (გაზ მეთანი, რუმინეთი), გურამ კაშია (ვიტესი, ჰოლანდია), ალექსანდრე ამისულაშვილი (კრასნოდარი, რუსეთი), გიორგი ფოფხაძე (ბაკი, აზერბაიჯანი), გია გრიგალავა (ვოლგა, რუსეთი), გულვერდ თომაშვილი, დავით კვირკველია (ორივე დილა, გორი)

ნახევარმცველები: მურთაზ დაუშვილი, ლევან ყენია (ორივე კარპატი ლვოვი, უკრაინა), ალექსანდრე კობახიძე (არსენალი კიევი, უკრაინა), დავით თარგამაძე (ილიჩევეცი, უკრაინა), ნიკა ძალამიძე (იაგელონია, პოლონეთი), ჯანო ანანიძე (სპარტაკი მოსკოვი, რუსეთი), ალექსანდრე გურული (დილა, გორი), დავით დევდარიანი (ორჰუსი, დანია) შოთა გრიგალაშვილი (ალანია, რუსეთი) ირაკლი მაისურაძე (მეტალურგი, რუსთავი)

თავდამსხმელები: ლევან მჭედლიძე (ემპოლი, იტალია), მათე ვაწაძე (ორჰუსი დანია).

ქეცბაიას სიაში არ არიან **ზურაბ ხიზანიშვილი, თორნიკე ოქრიაშვილი** და **ჯაბა კანკავა.**

ქეცბაიას რომ დაძაბული ურთიერთობა აქვს ხიზანიშვილთან, ახალი არ არის. კანკავას არგამოძახება კი შესაძლოა იმით იყოს განპირობებული, რომ ჯაბას გუნდს, უკრაინულ "დნიპროს" ერთობ მჭიდრო კალენდარი აქვს, საშინაო ჩემპიონატის გარდა გუნდი ევროპა ლიგაზეც თამაშობს და კანკავას გამოძახებაც ასეთ დროს დიდ აუცილებლობას ვინძლო არ წარმოადგენდა.

უცნაურია ოქრიაშვილის არმოწვევა ეგვიპტესთან მატჩისთვის, თორნიკე ხომ საქართველოს ნაკრების ერთ-ერთ საკვანძო ფეხბურთელად ყალიბდება. ნაკრების ბოლო მატჩში ბელარუსთან ქეცბაიამ ის შეცვალა. გაჩნდა ვერსიები – ჯერ ითქვა, ოქრიაშვილი ტრავმის გამო შეიცვალაო, მერე ის ინფორმაციაც გაჩნდა, ოქრიაშვილს არანაირი ტრავმა არ ჰქონიაო. მოკლედ, არცთუ სასიამოვნო საუბრები მოჰყვა ოქრიაშვილის ბელარუსთან გამოცვლას...

**დავით თავართქილაძე**

● ლეგიონერები

# არველაძის გამარჯვება, სირაძის გოლი და ქართველთა დომინაცია აზერბაიჯანში



შოთა არველაძე

გუშინ რუსეთის პრემიერლიგის მე-14 ტურის ბოლო მატჩი გაიმართა, რომელიც ჩვენს ყურადღებას იმით იპყრობდა, რომ ერთმანეთის წინააღმდეგ ქართველთა გუნდები წარსდგნენ. ვლადიკავკაზის "ალანიამ" ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგას" უმასპინძლა და 0:2 დამარცხდა.

ორივე ქართველი სასტარტო შემადგენლობაში იყო – ალანიელმა **შოთა გრიგალაშვილმა** 79-ე წუთამდე ითამაშა და ყვითელი ბარათი მიიღო, ვოლგელმა **გია გრიგალავამ** კი შეხვედრა შეუცვლელად ჩაატარა.

რუსეთის პირველ დივიზიონში გოლი გაიტანა **დავით სირაძემ**. "ხიმკის" ქართველმა ფორვარდმა იაროსლავლის "შინიკის" კარი დალაშქრა. "ხიმკიმ" "შინიკს" შინ 3:2 სძლია, არადა, 0:2-ს აგებდა. სირაძემ მატჩის 43-ე წუთზე ანგარიში 1:2 გახადა.

თურქეთის სუპერლიგაში **შოთა არველაძის** "ქაშიმფაშა" "ბურსასფორს" ეწვია და 2:1 დაამარცხა. ამ გამარჯვებით მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა და "ფენერბახჩესაც" კი გადაუსწრო.

აზერბაიჯანის ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერობის დაბრუნება შეეძლო ზაქათალის "სიმურგს", რომელსაც სათავეში **გიორგი ჩიხრაძე** უდგას. "სიმურგმა" **კახა ცხადაძის** "ინტერის" ვერმოგებით ვერ ისარგებლა და მეორე ადგილზე დარჩა. ზაქათალელები სტუმრად "თურანთან" 1:1-ს დასჯერდნენ. "ინტერმა" კი "სუმგაითთან" გასვლითი შეხვედრა 0:0 დაასრულა.

"ინტერსა" და "სიმურგს" 20-20 ქულა აქვთ, დამატებითი მაჩვენებლებით პირველ საფეხურზე "ინტერია", თანაც, ბაქოელებს მეტოქეზე ერთი მატჩით ნაკლები აქვთ ჩატარებული.

ბოლოს იმასაც გეტყვით, რომ პოლონური "იაგელონიას" ნახევარმცველი **ნიკა ძალამიძე**, რომელმაც "ვიძევთან" მატჩში დუბლი შეასრულა, პოლონური ექსტრაკლასას ტურის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● U 17. შესარჩევი მატჩების შემდეგ

# პატარების მაგალითი დიდი ნაკრებისთვის

## გასახდელში ისეთი მუხტი იქმნებოდა, რომ მოედანზე დაძაბულობა ქრებოდა

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა ევროშესარჩევის პირველი ეტაპი დაძლია, ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა და ელიტრაუნდში გავიდა. გადამწყვეტ შეხვედრაში ჩვენმა თინეიჯერებმა შოტლანდია 3:0 დაამარცხეს, ორი გოლი ლუკა ზარანდიამ გაიტანა.

ზარანდია მანამდეც გამორჩეული გახლდათ ამ ნაკრებში, რომელმაც ევროშესარჩევამდე აზერბაიჯანის და პოლონეთის საერთაშორისო ტურნირებში ითამაშა და ორივეგან ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად ზარანდია დაასახელეს.

ზარანდია 35-ე საფეხბურთო კლუბის აღზრდილია, ჯერ ტანვარჯიშზე დადიოდა, 10 წლიდან კი – ფეხბურთზე. ის გარემარბია, ცაციაა, კარგი დრიბლინგი აქვს და ამავე დროს საგოლე ალღოთიც არის დაჯილდოებული.

ჩვენი მეორე რესპონდენტი კი საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების მეკარე ოთო გოშაძე გახლავთ. სამი წლის წინ "ფონდი არველაძის" ორგანიზებითა და დაფინანსებით ქართველი მოზარდები ამსტერდამის საერთაშორისო ტურნირზე გაემგზავრნენ, სადაც ევროპული გრანდების ბავშვთა გუნდებიც თამაშობდნენ. გოშაძე იქ ტურნირის საუკეთესო მეკარედ დაასახელეს. ის "საბურთალოს" აღზრდილია. აღსანიშნავია, რომ გოშაძეს ახლახან, ოქტომბერში შეუსრულდა 15 წელი...



ლუკა ზარანდიამ შოტლანდიელებს ორჯერ გაუტანა

**- როგორ ემზადებოდით შოტლანდიასთან თამაშისთვის? ეს ხომ გადამწყვეტი მატჩი იყო...**

**ლუკა**: რა შეცდომებიც დავუშვით წინა მატჩებში უკრაინასთან და ლუქსემბურგთან, მათ გამოსწორებაზე ვმუშაობდით. თამაშიდან თამაშამდე ვუმატებდით. პირველ რიგში მეორე სართულზე ბრძოლა, დაცვაში პოზიციური თამაში უნდა გამოგვესწორებინა. ყველაფერმა კარგად ჩაიარა, ძალების აღდგენაც მოვახერხეთ და შოტლანდიელებს დიდი უპირატესობით ვაჯობეთ.

**- შესარჩევის პირველი შეხვედრა უკრაინასთან 1:3 წააგეთ. ფაქტია, რომ მოწინააღმდეგემ გაჯობათ...**

**ლუკა:** ზედმეტად თავდაჯერებულები ვიყავით. ტურნირის დაწყებამდე ნაკრების ერთ-ერთმა საკვანძო ფეხბურთელმა ხორხელმა ტრავმა მიიღო. 4-3-3 სქემით ვთამაშობდით, ხორხელს მარცხენა გარემარბის პოზიცია ეკავა. მისი ტრავმის შემდეგ 4-4-2-ზე გადავეწყვეთ და ასე უცბად რომ მოგვიწია გადაწყობამ, ამანაც შეგვიშალა ხელი. აღარ იყო იმის საშუალება, რომ ახალი სისტემით საკონტროლო შეხვედრები ჩაგვეტარებინა. უკრაინასთან მატჩში თავი იჩინა ჩვენმა გამოუცდელობამაც. თბილისში, ქართველი გულშემატკივრის თვალწინ ვთამაშობდით და რომ წავაგეთ, ამან ძალიან იმოქმედა ჩვენზე.

**- ცაცია ხარ და მარჯვენა გარემარბად თამაშობ. როცა კარის გასწვრივ ჩაწოდების მომენტი დგება, დისკომფორტს არ გრძნობ?**

**ლუკა:** მარჯვნიდან თამაში მირჩევნია, რადგან ცაციათი კარგად შევდივარ ცენტრისკენ, დასარტყმელ პოზიციაზე. ნაკრების მწვრთნელმა ცენტრფორვარდად კერძევაძე გაამწესა, მე კი მისი გადაწყვეტილებით თავისუფალი თავდამსხმელი ვიყავი. მარჯვნიდან ჩაწოდება არ მიჭირს, თუმცა ჩაწოდებაზე უფრო კარში დარტყმაზე ვარ კონცენტრირებული.

**- ყველაზე უფრო მაინც რის ხარჯზე მოახერხეთ შოტლანდიელების დაჯაბნა?**

**ლუკა:** მაღალი კონცენტრაცია და ბრძოლა, დაცვამაც გამოასწორა შეცდომები, წინა ორ შეხვედრაში ოთხი გოლი ჩაწოდებების შედეგად გაგვიტანეს, ვიმუშავეთ ამ ნაკლის გამოსწორებაზე და შედეგიც მივიღეთ.

**- არნემის "ვიტესში" რომ უნდა წასულიყავი, "ლელო" ამაზე მანამდეც იუწყებოდა. კონკრეტულად ხომ არ იცი, როდის უნდა ნახვიდე ჰოლანდიაში?**

**ლუკა:** "ვიტესში" რომ წავალ, გადაწყვეტილი ამბავია, როდის მოხდება ეს, ჯერ ზუსტად არ ვიცი. "ვიტესში" ალბათ ჩემს ნაკრებელ თანაგუნდელთან, ცოტნე მესხთან ერთად წავალ.

**- პირველ რიგში შოტლანდიასთან მიღებულ ტრავმაზე გკითხავ. როგორ ფიქრობ, მეტოქემ განზრახ ხომ არ ითამაშა უხეშად?**

**ოთო:** ჩაწოდებულ ბურთზე გამოვედი და მეტოქე ბუცის ქაცვებით დამეჯახა სახეზე, სათამაშო ეპიზოდი იყო, შოტლანდიელს განზრახ არ მოუყენებია ტრავმა. ორი ნაკერი დამადეს, ათი დღის შემდეგ შევძლებ ვარჯიშის დაწყებას.

**- გამოსვლაზე თამაში განსაკუთრებით რთულია...**

**ოთო:** ამ კომპონენტზე საგანგებოდ ვვარჯიშობ როგორც კლუბში, ასევე ნაკრებში.

**- საერთაშორისო გამოცდილება რომ მიიღეთ ევროშესარჩევის პირველი ეტაპით, ეგ გასაგებია. კონკრეტულად მაინც რა შეგძინა ამ მატჩებმა?**

**ოთო:** ამ თამაშებმა დაგვანახა, რომ სამუშაო კიდევ ბევრი გვაქვს, მხოლოდ თავდადების, ბრძოლის ხარჯზე შეიძლება მნიშვნელოვანი წარმატების მიღწევა. რომ არა გამოუცდელობა, სავსებით შესაძლებელი იყო, რომ უკრაინასთან არ წაგვეგო. მეტოქეებიდან ყველაზე კარგი გუნდი სწორედ უკრაინას ჰყავდა.

**- პირველი საერთაშორისო გამოცდილება სამი წლის წინ მიიღე...**

**ოთო:** ამსტერდამში მაშინ ისეთი გრანდებიდან იყვნენ ჩამოსულები, ბავშვთა გუნდები, როგორებიც "აიაქსი", მილანის "ინტერი", "ჩელსი" და "ანდერლეხტი" არიან. ტურნირის საუკეთესო მეკარედ კი ერთი გუნდიდან ორი დაგვასახელეს – მე და ნიკა ადეიშვილი, რომელმაც წელის პრობლემების გამო თავი დაანება ფეხბურთის თამაშს. რა თქმა უნდა, იმ ტურნირისგანაც სასარგებლო გამოცდილება მივიღე.

**- საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების ამ წარმატებას გიორგი დევდარიანი ხელმძღვანელობდა...**

**ლუკა:** უკრაინასთან პირველი მატჩი რომ წავაგეთ, მკაცრი საყვედურების ნაცვლად გიორგი დევდარიანი გვამხნევებდა...

**ოთო:** დევდარიანმა ფეხბურთელებთან მიდგომა იცის, გასახდელში საყვედურები მართლა არ მიგვიღია, წინ კიდევ ორი თამაში გვქონდა და მწვრთნელიც ამას ითვალისწინებდა, შეცდომებზე მიგვითითებდა და მათ გამოსასწორებლად ვმუშაობდით.

**- ანუ დადებითმა მუხტმაც მნიშვნელოვნად განაპირობა ჩვენი ნაკრების მომდევნო ეტაპზე გასვლა....**

**ლუკა:** ნაკრებში არაჩვეულებრივი სიტუაცია იყო შექმნილი, გასახდელში მამუკა ჩარკვიანის ცნობილ სიმღერას ვუსმენდით ხელიხელგადახვეულები, რა თქმა უნდა, ლოცვასაც ვკითხულობდით.

**ოთო:** ამ ყველაფრით ისეთი დადებითი მუხტი იქმნებოდა, რომ მოედანზე გასულებს ყველანაირი დაძაბულობა მოხსნილი გვქონდა.

**დავით თავართქილაძე**



ოთო გოშაძე

საქართველოს XXIV ჩემპიონატი. XIII ტურის მიმოხილვა

# კლასიკური სიამოვნება

ვერაფერს ვიტყვით — მართლაც გამორჩეული ტური გამოდგა და, როგორც ვივარაუდეთ, ტურის უმთავრესი დაპირისპირებაც („ტორპედო“-„დინამო“) ისეთი იყო, საქართველოში ფეხბურთის ... არსებობა კიდევ რომ „შეგვახსენა“. ჰო, კვირას ქუთაისში მართლაც ეშხიანი ბურთაობა გაჩაღდა, აი, ისეთი, ორივე გუნდის გულშემატკივართა გარდა, ნეიტრალური ქომაგიც რომ სიამოვნებას მიიღებდა. „ქართულ კლასიკოში“ დაფიქსირებულმა საყაიმო შედეგმა კი ყველაზე მეტად „დილა“ ახეირა — გორელები ეროვნული ჩემპიონატების ისტორიაში უდავოდ გამორჩეული და საუკეთესო სეზონს ატარებენ და პირველად მიიჩნევიან რომელიმე სინჯის მედლების კი არა, სულაც ჩემპიონობის კანდიდატებად (ისე როგორც თბილისის „დინამო“ და „ტორპედო“). „დილას“ ძლევამოსილი და წარმატებული სერია გრძელდება, ისე როგორც ერთ დროს მართლაც გამორჩეული გუნდების, ბათუმის „დინამოსა“ და ფოთის „კოლხეთის“ წარუმატებლობები; წესით და რიგით, ჟურნალისტს ამა თუ იმ გუნდის მიმართ მუდამ ნეიტრალური დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს, მაგრამ, დარწმუნებით შეიძლება იმის თქმაც, რომ ბათუმის „დინამოსა“ და ფოთის „კოლხეთის“ მიმართ მსგავსი დამოკიდებულება ბევრ სხვასაც ექნება. მოკლედ, იმის თქმა გვსურს, რომ ეს გუნდები პირველი ლიგისთვის არ „გვემეტებიან“, მით უფრო, რომ იქიდან „ამოსვლას“ წლები მოანდომეს და ახლა ისევ უკან დაბრუნების რეალური საშიშროების წინაშეც დადგნენ...

## XIII ტურის სიმბოლური ნაკრები





ტორპედო-დინამო 2:2. ტორპედო ბოლო წუთზე ხარიხამ გადაარჩინა

ფოტო: fcdinamo.ge

## ბო-დი-ში!..

შეცდომისგან დაზღვეული არავინ არის და ასეა ყველგან, მათ შორის... ჟურნალისტიკაშიც! თანაც, ჩვენს საქმიანობაში დაშვებული ნებისმიერი შეცდომა (თუნდაც, ტექნიკური მიზეზით) მაინც „ყვირის“ და ხშირად ისეც ხდება, ამ შეცდომის გამოსასწორებლად... დროც არ რჩება! აი, ზუსტად ასეთი რამ შეგვემთხვა სულ ახლახან: „ლელოს“ შაბათის ნომერში, როცა XIII ტურის წინათქმა შემოგთავაზეთ, ექვსივე შეხვედრის ჩატარების თარიღად 4 ნოემბრის ნაცვლად... 3 ნოემბერი გვქონდა მითითებული! ჰო, ვერ გამოვიდა კარგი ამბავი, უფრო ზუსტად, უხერხული და უსიამოვნო სიტუაციაც შეიქმნა; ეგ კი არა, როგორც შევიტყვეთ, სწორედ „ლელოზე“ დაყრდნობით, რამდენიმე ქალაქში გულშემატკივართა გარკვეულმა ნაწილმა სტადიონს... 3 ნოემბერს მიაშურა; ჰოდა, წარმოიდგინეთ, როგორ განწყობაზე დარჩებოდნენ, როცა ცარიელ სტადიონს მიადგებოდნენ და იმასაც შეიტყობდნენ, რომ მატჩები მეორე დღეს, ანუ, კვირას, 4 ნოემბერს ტარდებოდა?!. მოკლედ, ისღა დაგვრჩენია, ამ მართლაც ტექნიკური შეცდომის გამო გულწრფელი ბოდიში მოგიხადოთ...

## ჩვენც შეგვძლებია...

ამ ტურამდე მიმდინარე სეზონის საუკეთესო მატჩად, ჩვენი აზრით, „დინამო“ - „ტორპედოს“ დაპირისპირება იყო. შეგახსენებთ, რომ 18 აგვისტოს ჩატარებულ იმ შეხვედრაში „დინამომ“ უალრესად დრამატულ ბრძოლაში აჯობა თავის პრინციპულ მეტოქეს (3:2). ის მატჩი ბევრი რამითაც იყო დასამახსოვრებელი: მართლაც სარეკორდო რაოდენობის ყვითელ-წითელი ბარათებით (4 გაძევება იყო!), მოედანზე მოვლენების კალეიდოსკოპური ცვლილებით, სტუმართა ფანებისა და მასპინძელთა სათადარიგოთა მეკარეს შორის მომხდარი მართლაც არასასიამოვნო „დიალოგებით“ და სხვა. კარგად გვახსოვს, იმ მატჩის შემდეგ რომ ალვნიშნეთ: „ტორპედო“ მარცხს ნამდვილად არ იმსახურებდა და რიგ ეპიზოდებში სჯობდა კიდეც მასპინძლებსო. და აი, მორიგ „ქართულ კლასიკოს“ ამჯერად ქუთაისმა უმასპინძლა და უნდა ვთქვათ, რომ 18 აგვისტოზე არანაკლებ კი არა, ბევრად უფრო საინტერესო და, რაც მთავარია, ხარისხიანი მატჩი ვიხილეთ. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, გამოცდილ არბიტრს **ლაშა სილაგავას** თამაში ნამდვილად არ „გაუფუჭებია“ (თუმცა, მასპინძლები ერთ-ორ ეპიზოდში პენალტს ითხოვდნენ) და ისიც ნათლად გამოჩნდა, რომ „დინამოსაც“ და „ტორპედოსაც“ სრულიად დამსახურებულად აქვთ საჩემპიონო პრეტენზიები. მატჩის დეტალურ აღწერას აღარ შევუდგებით, უბრალოდ, გვინდა ორივე გუნდის მთავარი მწვრთნელის (**გია გეგუჩაძე, დუშან უჰრინი**) მაღალი კვალიფიკაციაც აღვნიშნოთ და ორივე გუნდის ფეხბურთელთა მონდომებულ-მოტივირებული ასპარეზობაც. კიდევ ერთი თვალშისაცემი და ქართული ფეხბურთისათვის „უცხო“, რაღა თქმა უნდა, მაღალი სისწრაფეები იყო: მაღალ ტემპში თამაში თურმე ჩვენს ჩემპიონატშიც ყოფილა შესაძლებელი! რაც შეეხება საბოლოო შედეგს, ამ შემთხვევაში აზრთა სხვადასხვაობა იქნება: „ტორპედო“ ორჯერ დაწინაურდა, „დინამომ“ ორჯერ გაათანაბრა, ანუ, ერთი შეხედვით, ფრე ლოგიკურად უნდა მიგვეჩნია; თუმცა, რომელიმე გუნდს რომ მოეგო, უსამართლობაც ვერ იქნებოდა და, ალბათ, ეს უფრო სტუმრებზე ითქმის (განსაკუთრებით, მეორე ტაიმში ნაჩვენები ფეხბურთის გამო). ჰო, პარადოქსია, მაგრამ ფაქტია: პირველი წრის მატჩში „ტორპედო“, სულ მცირე, ფრეს მაინც იმსახურებდა და ნააგო, განმეორებით „კლასიკოში“ კი, მატჩის მიწურულს „დინამომ“ მოსაგებად „გაიწია“ და მეტოქესთან შედარებით უკეთესი ფიზიკური მომზადების წყალობით, მცირე უპირატესობაც მოიპოვა. მოკლედ, მართლაც გამორჩეული მატჩი იყო, ასევე გამორჩეულ „ფინალს“ რომ იმსახურებდა. არა, უშუალოდ მოედანზე არაფერი მომხდარა, მაგრამ „დინამოს“ ერთგულ ფანებს ქუთაისში რომ არცთუ „ტკბილი სტუმრობა“ (ეგაც, მეტისმეტად რბილად ნათქვამია) ჰქონდათ, ფაქტია. ეგ კი არა, იმასაც ამბობენ, რომ მატჩის შემდეგ იმ ავტობუსს, სადაც „დინამოს“ ფანები ისხდნენ, ქვები დაუშინეს და ორი ფანჯარაც გაუტეხეს...

## გამორჩეული პერსონები

„დინამოს“ ესპანელ ლეგიონერთა (ამ შემთხვევაში **ჩისკოსა** და **ალვაროს** ვგულისხმობთ) ჩინებული თამაში აღარ გვიკვირს; 32 წლის ჩისკო რა დონის ფეხბურთელიც არის, ყოველ ტურში ვრწმუნდებით და უკვე მერამდენედ გვიწევს იმის გამეორება, რომ ამ სეზონის ნომერ პირველი მოთამაშე, დღესდღეობით სწორედ იგი გახლავთ. არანაკლებ შთამბეჭდავად გამოიყურება 29 წლის მიკელ ალვაროც — ამპლუით საყრდენმა ნახევარმცველმა 13 მატჩი ჩაატარა და 8-დან ორი გაიტანა! ნურც ტორპედოელებს დავივიწყებთ: 22 წლის **ელგუჯა გრიგალაშვილი** უმაღლეს ლიგაში პირველად შარშან გამოჩნდა („მერანში“), ჰოდა, **გია გეგუჩაძეს** არც ამჯერად უმტყუნა სამწვრთნელო ალღომ და ნიჭიერი ნახევარმცველი „ტორპედოში“ გადაიყვანა. ელგუჯა გრიგალაშვილსაც არ გასჭირვებია ასეთ ამბიციურ კლუბში ადგილის დამკვიდრება და 4 ნოემბერს, კარიერაში ალბათ ყველაზე გამორჩეული მატჩიც ჩაატარა: „დინამოს“ კარში 2 გოლის გატანას ეხუმრებით?!

ისე, გასულ ტურში გრიგალაშვილის გარდა „დუბლი“ კიდევ ორმა ფეხბურთელმა შეასრულა: **გულვერდ თომაშვილმა** და **გიორგი გაბედავამ**. ეს უკანასკნელი „გაგრაში“ რომ თამაშობდა (უკრაინაში ვიდრე გაემგზავრებოდა, იმ პერიოდს ვგულისხმობთ), „დუბლიც“ შეუსრულებია და „ჰეთ-თრიქიც“, ერთხელ სულაც ოთხი გოლი გაიტანა ერთ მატჩში! თუმცა, საქმეები ვერც უკრაინაში აეწყო და უკან მობრუნებული, „გაგრაშიც“ ვერ იყო ისეთი, როგორიც ადრე გვახსოვდა. გაბედავა ჯერ 23 წლისაა და უკვე მეორე სეზონია „ზუგდიდში“ თამაშობს (ოღონდ, ამპლუა აქვს შეცვლილი) და იმედია, შედეგიან თამაშს კვლავაც გააგრძელებს.

...დაგვეთანხმებით, რომ მცველისგან „დუბლი“, ცოტა არ იყოს, იშვიათი შემთხვევაა და ჩვენს ჩემპიონატში ამ სეზონში უკვე მეორედ მოხდა: III ტურში თავი გამოიჩინა „ტორპედოს“ 20 წლის უკანახაზელმა **ლაშა შერგელაშვილმა** და აი, 24 წლის **გულვერდ თომაშვილმაც** იგივე შეძლო უკანასკნელ ტურში. თომაშვილი თბილისის „დინამოს“ აღზრდილია და ამ კლუბში 8 (!) სეზონი გაატარა, ვიდრე ამ ჩემპიონატის დაწყებამდე „დილაში“ არ გადავიდა. სხვათა შორის, თომაშვილმა წინა სეზონშიც გაუგო „გემო“ გოლების გატანას — „დინამოს“ მაისურით სამჯერ ისახელა თავი, ახლა კი იგივე მაჩვენებელი აქვს, ოღონდ ჯერ მხოლოდ 10 მატჩი აქვს ჩატარებული...

## სამეკარეო თემა

გასული ტური იმითაც იყო „უცნაური“, რომ მხოლოდ ჩვენგან კი არა, საერთოდაც, ძალიან ბევრისგან ნაქებმა ქართველმა მეკარეებმა, რბილად რომ ვთქვათ, თავი ვერაფრით გამოიჩინეს. უფრო მეტიც: სწორედ არადამაჯერებელი თამაშის (გნებავთ, შეცდომების) გამო საკუთარი გუნდებიც დაალალატეს! რას ვიზამთ, ასეთია მეკარეთა „ხვედრი“: ერთ დღეს რომ გმირად გალიარებენ, მეორედ უკვე შეცდომის დაშვების უფლება აღარა გაქვს; ხვდებით, ალბათ, რომ საქართველოს ნაკრებისა და თბილისის „დინამოს“ 26 წლის მეკარეზე, **გიორგი ლორიაზე** ვსაუბრობთ, მძიმე ტრავმის მერე დაბრუნებული ოპტიმალურ ფორმაში რომ არ იმყოფება. „ტორპედოსთან“ მატჩში, ორივე გოლის ეპიზოდში ლორიას აშკარად უკეთესად შეეძლო ეთამაშა; იგივე შეიძლება ითქვას ბოლო წლების კიდევ ერთ გამორჩეულ ქართველ მეკარეზე, 23 წლის **როინ კვასხვაძეზე**, რომლის კურიოზულმა შეცდომამაც „ზესტაფონს“ უმნიშვნელოვანესი ქულები დააკარგვინა. არადა, იმ ეპიზოდამდე კვასხვაძე უშეცდომოდ კი არა, ჩინებულად თამაშობდა და საკუთარი გუნდიც არაერთხელ გადაარჩინა...

...შესაძლოა, ბევრს უცნაურად მოეჩვენოს, მაგრამ ჩვენი გადაწყვეტილებით ამ ტურის სიმბოლურ ნაკრებში მეკარის პოზიციაზე **ომარ მიგინეიშვილი** „გავამწესეთ“: ქუთაისის „ტორპედოს“ 28 წლის მეკარემ „დინამოსთან“ 2 გოლი გაუშვა, მაგრამ ვერც ერთში ვერ დავადანაშაულებდით და ამას გარდა, რამდენიმე ისეთი ბურთი მოიგერია, წესითა და რიგით, „აუღებელთა“ კატეგორიას რომ მიეკუთვნებოდა. განსაკუთრებით ის ეპიზოდი გვინდა გამოვარჩიოთ, ჩისკოს ძლიერად და ზუსტად დარტყმულზე მართლაც ზღაპრული რეაქცია რომ გამოავლინა და ამის მერე იყო, ფეხბურთში ბევრისმნახველმა ესპანელმა ლეგიონერმა მეტოქის მეკარესთან მისვლა და შექება რომ არ ითაკილა...

გია ტუხაშვილი

**P.S.** გასული ტურის მატჩები წუთიერი დუმილით დაიწყო: 53 წლის ასაკში გარდაიცვალა ვეტერანი ფეხბურთელი ენუქი თევზაძე, რომელსაც სხვადასხვა დროს თბილისის „დინამოში“, ლანჩხუთის „გურიასა“ და ქუთაისის „ტორპედოში“ უთამაშია.

### უმაღლესი ჩემპიონატი. XIII ტური

| | |
|---|---|
| მეტალურგი – ზესტაფონი | 2:2 |
| ვიტ ჯორჯია – მერანი | 4:1 |
| ჩიხურა – დილა | 1:0 |
| დინამო (ბთ) – ზუგდიდი | 0:2 |
| ტორპედო – დინამო (თბ) | 3:1 |
| კოლხეთი – სიონი | 2:1 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო (თბ) | 13 | 10 | 1 | 2 | 38-15 | 31 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 13 | 8 | 3 | 2 | 33-13 | 27 |
| 3. ზესტაფონი | 13 | 7 | 5 | 1 | 36-20 | 26 |
| 4. ზუგდიდი | 13 | 7 | 4 | 2 | 23-11 | 25 |
| 5. ტორპედო | 13 | 5 | 4 | 4 | 18-13 | 19 |
| 6. მეტალურგი | 13 | 5 | 4 | 4 | 27-27 | 19 |
| 7. ჩიხურა | 13 | 4 | 3 | 6 | 14-18 | 15 |
| 8. დინამო (ბთ) | 13 | 4 | 2 | 7 | 17-21 | 14 |
| 9. კოლხეთი | 13 | 4 | 2 | 7 | 15-29 | 14 |
| 10. დილა | 13 | 3 | 3 | 7 | 11-18 | 12 |
| 11. მერანი | 13 | 2 | 2 | 9 | 6-32 | 8 |
| 12. სიონი | 13 | 0 | 5 | 8 | 12-33 | 5 |

### II ლიგა. აღმოსავლეთი ზონა. X ტური

| | |
|---|---|
| იბერია (თბ.) – სასკო-2 (თბილისი) | 6:1 |
| ლიახვი-2 (აჩაბეთი) – ალგეთი XXI (თბ.) | 1:0 |
| გაგრა-2 – ივერია (ხაშური) | 1:5 |
| აბული (ახალქალაქი) – დუშეთი | 1:1 |
| ფარავანი (ნინოწ.) – იუსი ბესტი (თბ.) | 1:2 |
| ლაგოდეხი – სპარტაკი-2 (ცხინვალი) | 1:4 |
| ქართლი-2011 (გორი) – საქ. უნივერს. (თბ.) | 1:0 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ქართლი-2011 | 9 | 8 | 1 | 0 | 32-4 | 25 |
| 2. ივერია | 10 | 8 | 0 | 2 | 35-16 | 24 |
| 3. იუსი ბესტი | 10 | 7 | 2 | 1 | 38-12 | 23 |
| 4. სპარტაკი-2 | 10 | 6 | 1 | 3 | 33-18 | 19 |
| 5. საქ. უნივერს. | 8 | 6 | 0 | 2 | 25-11 | 18 |
| 6. დუშეთი | 9 | 5 | 1 | 3 | 24-15 | 16 |
| 7. გაგრა-2 | 10 | 4 | 1 | 5 | 28-26 | 13 |
| 8. ლაგოდეხი | 10 | 4 | 1 | 5 | 19-26 | 13 |
| 9. აბული | 10 | 2 | 5 | 3 | 14-22 | 11 |
| 10. ლიახვი-2 | 7 | 3 | 1 | 3 | 8-10 | 10 |
| 11. იბერია | 9 | 2 | 1 | 6 | 15-32 | 7 |
| 12. ფარავანი | 10 | 2 | 0 | 8 | 8-28 | 6 |
| 13. ალგეთი-XXI | 9 | 1 | 0 | 8 | 9-26 | 3 |
| 14. სასკო-2 | 9 | 0 | 0 | 9 | 12-54 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

ინტერვიუ

# ირაკლი სირბილაძე: გზა მეოთხე ლიგიდან ფინეთის ბომბარდირობამდე

### ბევრი გულისტკენისა და შრომით მიღწეული აღიარების ამბავი

**ფინეთის ვიცე-ჩემპიონობა, ქვეყნის საუკეთესო თავდამსხმელობა და ფინური ვეიკაუსლიგის საუკეთესო ბომბარდირობა – ასეთია ირაკლი სირბილაძის მონაგარი 2012 წელს. "ინტერ ტურკუს" 30 წლის ქართველი თავდამსხმელისთვის ეს წელიწადი მართლაც განსაკუთრებული გამოდგა – ფინეთშიც ბევრს მიაღწია და საქართველოს ეროვნულ ნაკრებშიც ჰქონდა დებიუტი.**

**ყოველივე ამას კი წინ დიდი შრომა და ბევრი იმედგაცრუება უძღოდა, თუმცა თავისი შრომისმოყვარეობითა და მტკიცე ხასიათით ირაკლიმ ყველა დაბრკოლების გადალახვა შეძლო. დანარჩენს კი მასთან ინტერვიუდან შეიტყობთ.**

- 12 ნოემბერს ფინეთის საუკეთესო ფეხბურთელების დაჯილდოვებაა და გალა-წარმოდგენაზე კუთვნილ პრიზს მივიღებ. ეს სათქმელად არის ადვილი, თორემ სანამ აქამდე მოვიდოდი, უამრავი ბარიერი გადავლახე. ბევრჯერ მქონია ძალიან მძიმე მომენტები, მაგრამ როგორც ჩანს, ჩემი შრომითა და მონდომებით დავიმსახურე ყველა უსიამოვნების უკან მოტოვება.

ფინეთში 2009 წელს, აქ მოთამაშე ჩემი მეგობრების დახმარებით ჩამოვედი და თამაში რანგით მეოთხე ლიგაში დავიწყე. არც მენეჯერი მყოლია და არც გავლენიანი დამხმარე. სწორედ ამიტომ დამჭირდა საკმაო დრო იმისთვის, რომ ფინეთის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის ფეხბურთელი გავმხდარიყავი. ამდენი წვალება ღმერთმა დამიფასა.



იყვნენ აქ ქართველები, რომლებსაც შეეძლოთ, მეორე ლიგის გუნდში სინჯებზე მივეყვანე, მაგრამ ისინი ზურგს უკან იძახდნენ, ეგ რა ფეხბურთელია, მეორე ლიგაშიც ვერ ითამაშებსო. ხოლო როცა რაღაცას მივაღწიე, აქეთ მიკავშირდებოდნენ და მენეჯერობას მთავაზობდნენ. სამწუხაროდ, ქართველებისთვის მსგავსი საქციელი დამახასიათებელია.

საბედნიეროდ, იყო ისეთი ხალხიც, ვინც ჩემს ფეხბურთელად ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი შეიტანა. შემთხვევით ვისარგებლებ და ამისთვის დიდ მადლობას გადავუხდი ჩემს ყოფილ მწვრთნელებს – ზაურ სვანაძეს, ნოდარ აკობიას, თემურ ჩხაიძეს, სერგო გაბელაიას, ვაჟა ტოგონიძეს და ფიზმომზადების მწვრთნელ ავთანდილ ბერიძეს.

**- ალბათ, ფიქრობ, რომ გასული სეზონი საუკეთესო იყო შენს კარიერაში.**

- ნამდვილად ასეა. გული დამწყდა, ფინეთის ჩემპიონი რომ ვერ გავხდი, მაგრამ ინდივიდუალური პრიზების მოპოვებით ძალიან გახარებული ვარ. საკმაოდ ძლიერი ლიგაა და როცა აქ 17 გოლით საუკეთესო ბომბარდირი ხდები და საუკეთესო თავდამსხმელის პრიზს გაძლევენ, ცოტას არ ნიშნავს. ასე რომ, კარგი სეზონი მქონდა. თუმცა კიდევ უფრო მეტის მიღწევა მინდა. წლოვანებას არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, მთავარია, ოპტიმალურ ფორმაში იყო და სხვებს აჯობო. გასულ სეზონთან ერთად კი ტკბილად მაგონდება თბილისის "ლოკომოტივში" გატარებული პერიოდი, სადაც საქართველოს თასი მოვიგეთ.

**- ბევრი მიიჩნევს, რომ შენი სტილის ფორვარდისთვის სწორედ ფინეთის სტილის ჩემპიონატში თამაშია ზედგამოჭრილი...**

- ბევრი იმასაც მიიჩნევს, რომ მე ფეხბურთელი საერთოდ არ ვარ (იცინის). ისეთი შეგრძნება მაქვს, იტალიის ჩემპიონატში რომ გავიტანო, ხალხი სერია A-ზეც იტყვის, ეგ რა ლიგააო. სინამდვილეში კი გოლის გატანა ყველგან რთულია. აქ აქცენტი ფიზიკურ მომზადებაზე კეთდება, თუმცა ბურთიც საკმაოდ კარგად იციან. ფინეთის ჩემპიონატი საკმაოდ მაღალი დონისაა, თუმცა, რასაკვირველია, უკეთესი ლიგებიც არსებობს და არ მინდა, მხოლოდ სკანდინავიაში წარმატებით დავკმაყოფილდე. მიმაჩნია, რომ ფინეთში უკვე მაქსიმუმს მივაღწიე და თუ საშუალება მომეცა, შევეცდები, უფრო ძლიერ ჩემპიონატში გადავიდე. თუმცა "ინტერთან" ერთწლიანი კონტრაქტი კიდევ მაქვს დარჩენილი.

**- უახლოესი გეგმები როგორი გაქვს?**

- 12 ნოემბერს დაჯილდოვებაა, რის შემდეგაც თბილისში ჩამოვალ და ავთო ბერიძესთან ფიზიკურ კონდიციებზე ვარჯიშს შევუდგები. სწორედ ამ ადამიანის დამსახურებაა, ფინეთის ჩემპიონატის მოთხოვნებს რომ ვაკმაყოფილებ. სხვაგვარად იქაურ დატვირთვებს ვერ გავუძლებდი.

**- ფინეთში ცხოვრებას როგორ შეეგუე?**

- ტურკუ ფინეთის სიდიდით მეორე ქალაქია, ძალიან ლამაზია, ხალხიც მეგობრული და სტუმართმოყვარეა. თანაგუნდელებთანაც ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს. ყველანაირი პირობა მაქვს იმისთვის, რომ ოჯახთან ერთად ტურკუში თავი კომფორტულად ვიგრძნო. ჯერ საკუთარი ოჯახი არ მყავს, მაგრამ უკვე დროა. ოჯახის შექმნას მხოლოდ ქართველ გოგონასთან ვაპირებ.

**- "ინტერს" ევროთასებზე წარმატების ამბიცია თუ აქვს?**

- მხოლოდ ფინეთის ჩემპიონატში შედეგიანი თამაშით არ ვკმაყოფილდებით და გვინდა, ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოსახვედრად ვიბრძოლოთ. მიმდინარე ევროთასებს უკვე გამოვეთიშეთ, მაგრამ ურიგოდ ნამდვილად არ გამოვსულვართ, რაზეც თუნდაც ჰოლანდიურ "ტვენტესთან" სტუმრად მიღწეული 1:1-იც მეტყველებს.

**- საქართველოს ჩემპიონატისთვის თვალის დევნებას თუ ახერხებ?**

- შეძლებისდაგვარად ვახერხებ და მიხარია, რომ რამდენიმე კლუბს ძლიერი პატრონი გამოუჩნდა. ეს, რასაკვირველია, ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის ამაღლებას შეუწყობს ხელს. ფინური და ქართული სავარჯიშო პირობები და ინფრასტრუქტურა რომ შევადაროთ ერთმანეთს, კატასტროფულ სხვაობას დავინახავთ. სანამ ფეხბურთელს ყოფითი პრობლემები ექნება და არ ივარჯიშებს ხარისხიან მოედანზე, მას მაღალ შედეგს ვერ მოსთხოვ. სასიამოვნოა, რომ ამ მხრივ საქართველოში საქმე ნელი ტემპით, მაგრამ მაინც წინ მიდის.

**- შენი მომავალი როგორ წარმოგიდგენია?**

- არ არის გამორიცხული, ფინეთში საცხოვრებლად დავრჩე, ოღონდ, რა თქმა უნდა, არა — სამუდამოდ. მინდა, ჩემი ბიზნესი მქონდეს, თუმცა არც ის არის გამორიცხული, ფეხბურთში დავრჩე. ალბათ, სამწვრთნელო ლიცენზიასაც ავიღებ, რომელიც, შეიძლება, გამომადგეს კიდეც...

**- ეროვნულ ნაკრებში დებიუტი გქონდა, თუმცა მოედანზე დიდი დრო არ გაგიტარებია...**

- ჩემთვის ნაკრებში გამოძახება ნებისმიერ შემთხვევაში დიდი პატივია. ასეთი შანსი პირველად თემურ ქეცბაიამ მომცა, რისთვისაც ძალიან მადლობელი ვარ. ეს ჩემთვის უკვე ცალსახად დადებითი მოვლენაა. მწვრთნელის გადასაწყვეტია, რომელ მატჩში რომელი ფეხბურთელები ათამაშოს. მთავარია, ნაკრებმა შედეგი აჩვენოს და მე ნებისმიერ როლს შევეგუები, რომელსაც მწვრთნელი დამაკისრებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლეგიონერი

# ანანიძის 4 მატჩი და აღიარება

**ჯანო ანანიძის** ბოლოდროინდელი გამოცოცხლება ქართველ გულშემატკივარს უზომოდ ახარებს და აიმედებს. საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის "სპარტაკის" შემტევი ნახევარმცველი ფორმაში შევიდა და ჩემპიონთა ლიგაზე, რუსეთის პრემიერლიგასა თუ თასზე მაღალ დონეზე ითამაშა.

რუსული პრემიერლიგის მე-14 ტურში ჯანო "სპარტაკის" მთავარმა მწვრთნელმა **უნაი ემერიმ** მოედანზე მეორე ტაიმიდან შეუშვა და „კრილია სოვეტოვის" კარში მეხუთე გოლი გაიტანა, თანაც, ძალზედ ეფექტურად - "სპარტაკმა" კი 5:0 გაიმარჯვა.

მოსკოველთა თავდამსხმელმა **არტიომ ძიუბამ** თანაგუნდელის საშემსრულებლო ოსტატობა გამოარჩია: *"სამარელებს ძალიან ლამაზი გოლები გავუტანეთ. განსაკუთრებით, ჯანოს გატანილს გამოვარჩევდი. მან ძალიან ეფექტურად დაარტყა, ძალიან მომეწონა".*

მოსკოველთა ყოფილი კაპიტანი და ვარსკვლავი **იგორ ტიტოვი** თვლის, რომ "სპარტაკში" მიმდინარე საკადრო ცვლილებები და შემადგენლობის გადახალისება ადგილის ტკეპნა არ არის და ქართველი ლეგიონერი გამოარჩია: *"ჯანო შეცვლაზე შევიდა და შედევრი-გოლი გვაჩუქა. ბურთი გაისწორა და ისე გაიტანა, მხოლოდ მაღალი კლასის ოსტატებს რომ შეუძლიათ. ჯანოს ზრდა თვალსაჩინოა, ბოლო სამ შეხვედრაში გუნდში საუკეთესოა და მას დიდ იმედს ვუკავშირებ. რა იქნება შემდეგში? შემადგენლობაში დიდი კონკურენციაა. მაგრამ ჯანო კონკურენტებზე შთამბეჭდავად გამოიყურება და ასაკიდან გამომდინარე, კიდევ უნდა გაიზარდოს".*

**მერაბ მამულაშვილი**

I ლიგა, XI ტური

### A ჯგუფი

**სტუ – გურია 2:3**

01.11. თბილისი. „შატილი". 200 მაყურებელი

0:1 გ. კვერენჩხილაძე (33), 1:1 ა. ბაგაშვილი (52, პენალტით), 1:2 გ. კვერენჩხილაძე (54), 2:2 ზ. ჭავჭავაძე (58), 2:3 გ. კვერენჩხილაძე (62).

სტუ: დ. მეფარიძე, ნ. ბინკინაშვილი, ზ. ჭავჭავაძე, დ. ქიმერიძე, ლ. ციკოლია (75. გ. არახამია), ო. გაგნიძე, ა. გოდუაძე, ა. ბაგაშვილი (81. დ. კოხრეიძე), ჯ. კოლუა, გ. გოგატიშვილი, ი. ფიფია (46. გ. ჯიშკარიანი)

სათადარიგოები: ა. აბულაძე, ა. კიკვაძე, გ. ბიბილეიშვილი

მწვრთნელი: გ. ყორყოლიანი

გურია: გ. ძაძამია, ა. ჩუენსუ, ა. ლალაძე, ზ. კვარაცხელია (71. ტ. კუკულაძე), გ. მაჩაიძე, გ. შენიჩული (90. დ. რაფავა), დ. მაისაშვილი, ლ. ვართაგავა, ა. შენგელია, მ. თოდუა (84. ჯ. გოგიბერიძე), გ. კვერენჩხილაძე

სათადარიგოები: მ. გოგუაძე, ს. ფირცხალაიშვილი, ლ. იაშვილი

მწვრთნელი: თ. ლორია

გაფრთხილება: დ. მაისაშვილი, ზ. კვარაცხელია

არბიტრი: ზ. ასკარ-ოღლი

**მეშახტე – რაჭა 1:0**

01.11. ტყიბული. „ვ. ბოჭორიშვილი". 200 მაყურებელი

1:0 ბ. კოლუაშვილი (60)

მეშახტე: ი. ორბელაძე, გ. გვეტაძე, გ. გვენეტაძე, ლ. შავგულიძე, ნ. უგრეხელიძე. მ. კოპალიანი, გ. ჩხეტიანი, მ. მაკარაშვილი (90. თ. გოგიჩაძე), ი. მოისწრაფიშვილი (75. თ. ჭელიძე), ბ. კოლუაშვილი (87. ბ. ჯიშიაშვილი), ჯ. ავალიშვილი

სათადარიგო: გ. ბერძენაძე

მწვრთნელი: დ. რუხაძე

რაჭა: ნ. ჯოხაძე, ი. ვეკუა, დ. ბაქრაძე, გ. შარაბიძე, მ. კორსანტია (84. ლ. ქურციკიძე), ლ. ნეფარიძე, ლ. ჯანგიძე, ვ. ჭაბუკიანი, ი. ჭანკვეტაძე, ლ. მიქაბერიძე, გ. მარგიანი (68. ლ. მეტონიძე)

სათადარიგოები: ა. გურაბანიძე, გ. ბაგალიშვილი, ი. ხვედელიძე, კ. გოგრიჭიანი

მწვრთნელი: ე. ჩიტალაძე

გაფრთხილება: ი. მოისწრაფიშვილი; ლ. ჯანგიძე, ვ. ჭაბუკიანი, ლ. მიქაბერიძე

არბიტრი: ზ. ანიაშვილი

**გაგრა – დინამო-2 2:3**

02.11. თბილისი. „მერანი". 200 მაყურებელი

1:0 მ. ერისთავი (20), 2:0 ჯ. ჯერემია (26), 2:1 ლ. პარუნაშვილი (34), 2:2 ლ. პარუნაშვილი (46), 2:3 ბ. ზივზივაძე (56)

გაგრა: ა. ადამია, ი. ხუციძე, გ. პაჭკორია, ლ. კალანდაძე, გ. ჯგერენაია, გ. ფალავანდიშვილი, ნ. ხოჯაშვილი (50. ზ. ნადირაძე), თ. ჟიშკარიანი (57. დ. ვოლკოვი), გ. ერისთავი (61. ბ. ხოჯანაშვილი), ა. ივანიშვილი, ჯ. ჯერემია

სათადარიგოები: გ. სანიკიძე, ი. ლერკენაშვილი, ლ. სეთურიძე, რ. რადინა

მწვრთნელი: ზ. ჯელაძე

დინამო-2: კ. სეფიაშვილი, ა. ტვილდიანი, გ. გველესიანი (46. გ. გაგნიძე), დ. ხოჭოლავა, თ. კაკულია, ი. ლექვთაძე, ლ. პარუნაშვილი (71. კ. გაბაშვილი), ჭ. ჭეჭელაშვილი, გ. პაპავა, ბ. რუხაძე (90. ა. მანაგაძე), ბ. ზივზივაძე

სათადარიგოები: ტ. ხაინდრავა, გ. პაპუნაშვილი, ბ. მუმლაძე

მწვრთნელი: რ. მუმლაძე

გაფრთხილება: თ. ჟიშკარიანი, გ. ფალავანდიშვილი, ა. ივანიშვილი; ი. ლექვთაძე, ა. ტვილდიანი

არბიტრი: ჯ. ხორავა

**ბეთლემი – სასკო 1:0**

01.11. ქედა. ცენტრალური. 300 მაყურებელი

1:0 გ. კახიანი (87, პენალტით)

ბეთლემი: ლ. ბექთაშევი, ნ. გოგუაძე, კ. ქაცარავა (64. ლ. კალანდაძე), გ. ხაჩიძე, ვ. კუნჭულია, გ. კაკაბაძე. ი. ნაჭყებია, ვ. დარჩიძე (80. გ. ქობალია), დ. ჯალაღანია, გ. კახიანი, ი. ბარამიძე (67. მ. დავითაძე)

სათადარიგოები: ზ. სეიდიდი, ზ. კეკელიძე, თ. თედორაძე, ი. ჩხაიძე

მწვრთნელი: ე. კაკაბაძე

სასკო: ა. ნონოსი, გ. პაპუნაშვილი, ჯ. იამანიძე (90. პ. მოისწრაფიშვილი), შ. ფირუზაშვილი, თ. მოგელაძე, ო. ჩაფიძე, თ. ჩარგეიშვილი (67. თ. ქორჩილავა), ი. ქავთარაძე, ზ. ქარდავა, გ. ჩუბინიძე (80. გ. ქინიკაშვილი), გ. ქვილითაია

სათადარიგოები: თ. გაფრინდაშვილი, ბ. ქარდავა, ა. გომელაური

მწვრთნელი: თ. კაცია

გაფრთხილება: ზ. ქარდავა, ჯ. იამანიძე

არბიტრი: ჯ. ბუიშვილი

**სქური – ჭიათურა 0:0**

01.11. წალენჯიხა. „ს. კვარაცხელია". 100 მაყურებელი

სქური: ნ. ჯოლოგუა, ი. ფაცაცია, ჯ. ყურუა, ა. მიქენაია, გ. შელია, ზ. ლარიბაშვილი, რ. ცობეხია, ლ. გაბუნია, ლ. ბოჯგუა, გ. სართანია, რ. ჩიტაია (82. ნ. არახამია)

სათადარიგოები: გ. ძაძამია, ი. ქარდავა, ლ. მორგოშია, ნ. ლვინჯილია, ტ. ხარჩილავა, ვ. შეროზია

მწვრთნელი: ნ. ბოჯგუა

ჭიათურა: გ. ბადურაშვილი, გ. მეცხოვრიშვილი, დ. შეყილაძე, ლ. ცუცქირიძე, ი. ცერცვაძე, ნ. სტეფანიშვილი, ლ. კუჭაშვილი, გ. სამყურაშვილი, ს. გაბაძე (75. ბ. ჭუმბაძე), იაგო დეისაძე, დ. სევასტოპულო

სათადარიგოები: დ. მოდებაძე, ზ. ჯაფარიძე

მწვრთნელი: მ. კიპაროიძე

გაფრთხილება: გ. შელია, ლ. გაბუნია; ი. ცერცვაძე, ლ. ცუცქირიძე, დ. შეყილაძე, გ. სამყურაშვილი, ბ. ჭუმბაძე

არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი

**სულორი – იმერეთი 1:2**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გურია | 11 | 9 | 1 | 1 | 31-10 | 28 |
| 2. სასკო | 11 | 8 | 0 | 3 | 29-12 | 24 |
| 3. გაგრა | 11 | 8 | 0 | 3 | 25-9 | 24 |
| 4. დინამო-2 | 11 | 7 | 2 | 2 | 46-17 | 23 |
| 5. სტუ | 11 | 6 | 0 | 5 | 24-25 | 18 |
| 6. იმერეთი | 11 | 5 | 1 | 5 | 11-14 | 16 |
| 7. ქედა | 11 | 4 | 1 | 6 | 15-26 | 13 |
| 8. სქური | 11 | 3 | 4 | 4 | 10-16 | 13 |
| 9. ჭიათურა | 11 | 3 | 2 | 6 | 12-20 | 11 |
| 10. მეშახტე | 11 | 3 | 2 | 6 | 11-31 | 11 |
| 11. სულორი | 11 | 2 | 1 | 8 | 9-24 | 7 |
| 12. რაჭა | 11 | 0 | 2 | 9 | 10-29 | 2 |

**მომდევნო ტური**

**6 ნოემბერი**

ჭიათურა–იმერეთი
სულორი–დინამო-2
რაჭა–გაგრა
მეშახტე–გურია
სტუ–სასკო
ბეთლემი–სქური

### B ჯგუფი

**სპარტაკი – სამგურალი 5:0**

01.11. თბილისი. „ბენდელა". 100 მაყურებელი

1:0 ზ. მეტრეველი (11), 2:0 ლ. თვალავაძე (18), 3:0 ვ. კილასონია (42), 4:0 თ. თუხარელი (59), 5:0 ზ. მეტრეველი (78)

სპარტაკი: გ. ნადირაძე, ლ. ქურდაძე, ლ. ჭაფოძე, უ. ბურძენაძე (78. კ. კაკაშვილი), ლ. თვალავაძე, თ. შონია (61. გ. ნარიმანიძე), თ. თუხარელი (75. თ. მაქაცარია), ვ. კილასონია, გ. ლემონჯავა, დ. გელაშვილი, ზ. მეტრეველი

სათადარიგოები: ა. ხალიევი, გ. ხარაზიშვილი, გ. ვაშაკიძე

მწვრთნელი: ვ. ხაჩიძე

სამგურალი: ლ. გორდეზიანი, ბ. ბიბილაშვილი, ბ. ხაჭიპერაძე (46. ლ. კირკიტაძე), მ. ჩხარტიშვილი, ზ. სალინაძე, თ. კაპანაძე (76. თ. ტორაძე), ა. მეტონიძე, ი. ხვადაგიანი, ლ. ყიფიანი, ლ. ნავერიანი, გ. თევდორაძე (60. ზ. კუხალაშვილი)

სათადარიგოები: დ. მემარნიშვილი, ნ. უგრეხელიძე, ნ. ბაბუნიძე, ზ. ჩიხლაძე

მწვრთნელი: გ. გოგიაშვილი

გაფთხილება: კ. კაკაშვილი; ბ. ხაჭიპერაძე, ზ. სალინაძე

არბიტრი: ა. კრიჭაშვილი

**შუქურა – ზოოვეტი 3:1**

02.11. ქობულეთი. „ჩელე-არენა". 400 მაყურებელი

1:0 მ. კოპალიანი (19), 2:0 გ. ჩელებაძე (24), 2:1 გ. ჯოხაძე (34), 3:1 მ. კოპალიანი (54)

შუქურა: თ. კაკალაძე, მ. ფუტკარაძე, ა. ბრაჭული, ი. ხუჭუა, ლ. მახარაძე, დ. გაბელია, გ. ჩელებაძე (88. გ. ზოიძე), გ. ჩხიკვიშვილი, მ. კაკალაძე (79. ა. გოგიტიძე), ი. ტაკიძე, მ. კოპალიანი (87. ვ. ცენტერაძე)

სათადარიგოები: ა. ლორია, ლ. ანანიძე, მ. ბალაძე, მ. ქათამაძე

მწვრთნელი: ა. ბალაძე

ზოოვეტი: ზ. გოგრიჭიანი, ი. ალასანია, გ. პატარქალიშვილი, ლ. დათუნაშვილი (60. ბ. ყიფიანი), გ. ტუხაშვილი, ი. ჯოჯიშვილი (27. ლ. ლონლაძე), ი. სვანიძე, გ. ჯოხაძე, ზ. ტიელიძე, ლ. ჯოხაძე, ს. ჭიკაიძე (35. გ. ტვილდიანი)

სათადარიგოები: ა. კაპანაძე, მ. მაღლაკელიძე, ს. ლორთქიფანიძე, უ. მამულაშვილი

მწვრთნელი: ე. გუგუშვილი

გაფრთხილება: ი. ტაკიძე; ლ. დათუნაშვილი

**კოლხეთი (ხ) – ჩხერიმელა 3:0**

02.11. ხობი. ცენტრალური. 100 მაყურებელი

1:0 ი. გერგაია (9), 2:0 თ. ღლონტი (51), 3:0 პ. გაბრავა (85)

კოლხეთი: მ. ძიძიგური, გ. ძირია (71. პ. გაბრავა), გ. გოგენია, დ. ჭითანავა, მ. ფარფალია, ვ. ფირცხელავა, თ. ღლონტი, ლ. ქაშიბაძე, ი. გერგაია (59. ბ. ბუკია), მ. ჭკადუა, ლ. ჯიქიძე (46. გ. ლომაია)

სათადარიგოები: კ. გოგენია, ლ. გოგენია, ლ. მეფიშვილი, ზ. გელაშვილი

მწვრთნელი: ბ. შეროზია

ჩხერიმელა: გივი კიკნაძე, თ. კიკნაძე, გ. ბ. თურმანიძე, გ. არევაძე, ვ. აფციაური, ი. ჩუბინიძე, ლ. ლონლაძე, ნ. ბერაძე, შ. სვანიძე, გიორგი კიკნაძე

მწვრთნელი: ლ. ჭყოიძე

*(შენიშვნა: „ჩხერიმელამ" 10 ფეხბურთელით ითამაშა)*

არბიტრი: გ. გლუშჩუკი

**მერცხალი – ადელი 4:2**

**ლიახვი – სამტრედია 0:0**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სპარტაკი | 10 | 8 | 1 | 1 | 27-4 | 25 |
| 2. კოლხეთი (ხბ) | 10 | 7 | 1 | 2 | 14-9 | 22 |
| 3. ლოკომოტივი | 10 | 6 | 2 | 2 | 28-9 | 20 |
| 4. შუქურა | 10 | 6 | 1 | 3 | 17-8 | 19 |
| 5. სამტრედია | 10 | 5 | 2 | 3 | 11-7 | 17 |
| 6. სამგურალი | 10 | 4 | 3 | 3 | 16-17 | 15 |
| 7. მერცხალი | 10 | 3 | 3 | 4 | 16-13 | 12 |
| 8. ზოოვეტი | 10 | 2 | 3 | 5 | 12-17 | 9 |
| 9. ლიახვი | 10 | 2 | 2 | 6 | 8-24 | 8 |
| 10. ჩხერიმელა | 10 | 2 | 0 | 8 | 9-32 | 6 |
| 11. ადელი | 10 | 1 | 0 | 9 | 10-28 | 3 |

**მომდევნო ტური**

**7 ნოემბერი**

სამტრედია – ჩხერიმელა
კოლხეთი (ხ) – ადელი
ლოკომოტივი – ზოოვეტი
შუქურა – სამგურალი
სპარტაკი – ლიახვი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და ვეტერანი ფეხბურთელები მწუხარებას გამოთქვამენ ვეტერანი ფეხბურთელის

**ენუქი თევზაძის**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

*დაკრძალვა: 8 ნოემბერს, 14 საათზე, ქ. ხობში*

ლეგიონერი

# ქართველების ლატვიური ტრიუმფი

## მამუკა ლონლაძე: ალანიაც დაინტერესდა და ზაგრების დინამოც

**ლატვიის ვირსლიგის 35- ე ტურში დაუგავპილსის "დაუგავამ" საკუთარ სტადიონზე "იურმალა" 2:0 დაამარცხა, 77 ქულა დააგროვა და ტურნირის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე, კონკურენტ რიგის "სკონტოსთვის" მიუღწეველი აღმოჩნდა. გუნდი ქვეყნის ჩემპიონი არსებობის ისტორიაში პირველად გახდა.**

"დაუგავას" შემადგენლობაში ოქროს მედალოსნები ქართველი ლეგიონერები გახდნენ, მცველი **ბუკა ცინცაძე** და თავდამსხმელი **მამუკა ლონლაძე.** პირველმა 23 მატჩი ჩაატარა, 2 გოლი გაიტანა, 3 ყვითელი და ერთი წითელი ბარათი მიიღო. ლონლაძემ კი "დაუგავას" ფორმა 32-ჯერ მოირგო, 7 ყვითელი ბარათი დაიმსახურა და რაც მთავარია, 18 გოლით ლატვიის ვირსლიგის ბომბარდირი გახდა. მათგან პენალტით ერთიც არ გაუტანია.

26 წლის თავდამსხმელი, შესაძლოა, მალე ვლადიკავკაზის "ალანიაში" გადავიდეს - ინფორმაცია რუსულმა ინტერნეტ-გამოცემა "სპორტლაიფმა" გაავრცელა.

*"ვლადიკავკაზური კლუბის ინტერესში მამუკა ლონლაძე მოხვდა, რომელიც ლატვიის ჩემპიონ "დაუგავას" შემადგენლობაში თამაშობს.*



მამუკა ლონლაძე

*"ქართველმა თავდამსხმელმა "ალანიას" ყურადღება შედეგიანი თამაშით მიიპყრო. მაგრამ რამდენად დიდია მისი ტრანსფერის ალბათობა, ამაზე ლაპარაკი ჯერ მიჭირს. მხოლოდ ის შემიძლია გითხრათ, რომ ის პოტენციურ ახალწვეულთა სიაშია" – გაუმხილა "სპორტლაიფს" ვლადიკავკაზური კლუბის ინკოგნიტო წარმომადგენელმა.*

ლატვიურ კლუბში წამყვანი ფეხბურთელის მიმართ ვალდიკავკაზელთა ინტერესზე ლაპარაკს ერიდებიან.

*"არაკორექტული იქნებოდა იმ რუსული კლუბების დასახელება, რომლებიც მამუკას გადაყვანით არიან დაინტერესებულები. ტრანსფერის საკითხი ხომ იოლად არ წყდება. ამიტომ, სანამ კონტრაქტი არ გაფორმებულა და მოლაპარაკება გრძელდება, კონკრეტულად არ ვილაპარაკებ. მაგალითად, შარშან ერთ-ერთ უკრაინულ კლუბს მამუკას ტრანსფერზე მართლაც მოველაპარაკეთ, მაგრამ შემდეგ გარიგება ჩაიშალა"* – განაცხადა "დაუგავას" ტექნიკურმა დირექტორმა **რომან ჟონდჟიკმა.**

შეგახსენეთ, რომ მამუკას შარშან ზამთარში ლუგანსკის „ზარიასთან" შეთანხმებული ტრანსფერი ჩაეშალა. ლატვიის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ 26 წლის ქართველი თავდამსხმელით უკრაინის პრემიერლიგის კლუბები დაინტერესდნენ და პირდაპირ კონტრაქტს სთავაზობდნენ კრივოი როგის „კრივბასი", ლუგანსკის „ზარია" და ლვოვის „კარპატი".

დეკემბერში „ზარიაში" ივარჯიშა და ლუგანსკში იანვრის დასაწყისში კონტრაქტის გასაფორმებლად უნდა გაფრენილიყო. „ზარიას" პრეზიდენტსა და მწვრთნელს ორწლიან კონტრაქტზე შეუთანხმდა, მუდმივნომრიანი მაისურაც გადასცეს და ყველაფერი გადაწყვეტილი ეგონა. იცოდნენ, მამუკას პოლონური და უნგრული კლუბები იწვევდნენ და უთხრეს, სხვამ მილიონიანი კონტრაქტიც რომ შემოგთავაზოს, უკვე ჩვენი ფეხბურთელი ხარ და სიტყვიერი შეთანხმება არ დაარღვიოო.

პირობა ლონლაძეს არ დაურღვევია, მაგრამ უკრაინელებმა მისი აყვანა ბოლო მომენტში გადაიფიქრეს და ლატვიაში გულდაწყვეტილი დაბრუნდა. გაუგებრობა იმანაც გამოიწვია, რომ უყურადღებობის გამო, მამუკამ „დაუგავასთან" ერთწლიანი კონტრაქტის ნაცვლად ორწლიანი გააფორმა და ეს ძვირად დაუჯდა - დარჩენილ ერთ წელიწადში მასში ლატვიელები 100 ათას დოლარს ითხოვდნენ, მერე კი თანხა 400 ათას ევრომდე გაზარდეს, არადა, შეეძლო თავისუფალი აგენტი გამხდარიყო.

სხვათა შორის, წლეულს ლონლაძით დაინტერესებულები იყვნენ ქუთაისის „ტორპედო" და თბილისის „დინამო". „ზარიასთან" ჩაშლილი კონტრაქტის შემდეგ დაიწერა კიდეც, ლონლაძე „ტორპედოს" უახლოვდებაო, მაგრამ საბოლოოდ კარიერა ისევ ლატვიაში გააგრძელა.

შარშან 21 გოლით ვირსლიგის ბომბარდირთა დავაში ლატვიურმა გამოცემა „სპორტცენტრმა" წლის სიმბოლურ ნაკრებში დაასახელა, ლატვიის ფეხბურთის ფედერაციის მწვრთნელთა. საბჭომ კი სეზონის 22 გამორჩეული მოთამაშის სიაში - საუკეთესო მარჯვენა თავდამსხმელად. მერე „სპორტცენტრმა" კიდევ ერთხელ გამოარჩია - „სკონტოს" ყოფილ და ამჟამად, გორის 'დილას" თავდამსხმელ **ნათან ჟუნიორთან** და „ვენტსპილსის" კაპიტან **ოლეგ ლაიზანსთან** ერთად, ქართველი ლატვიის სამ საუკეთესო ფეხბურთელს შორის მოხვდა.

სულ "დაუგავაში" ჩატარებულ 77 შეხვედრაში მამუკა ლონლაძემ 52 გოლი გაიტანა, რაც საშუალოდ, შეხვედრაში 0,68 გოლს უდრის და ძალიან კარგი მაჩვენებელია იმის გათვალისწინებითაც კი, რომ ლატვიის ვირსლიგა ძალიან მაღალი დონის არ არის.

■ ■ ■

*"ვლადიკავკაზის "ალანიაში" ჩემს გადასვლაზე მართლაც არის ლაპარაკი. მალე კლუბთან კონტრაქტი მიმთავრდება და ლატვიელები თავად არიან დაინტერესებული, რომ ჩემი ტრანსფერით ფული იშოვონ. მერე ამის შანსი აღარ ექნებათ. ძალიან მიხარია, რაც ახლა ხდება: ლატვიის ჩემპიონატის ბომბარდირი გავხდი თუ არა, სერიოზული კლუბები დაინტერესდნენ: როგორც მითხრეს, ზაგრების "დინამო" და კიდევ სხვები. თუმცა, ჯერ წარმოდგენა არც მაქვს, ახალი სეზონიდან სად ვითამაშებ"* – გვითხრა გუშინ ლონლაძემ.

იყო თუ არა დაინტერესება ნაკრების ხელმძღვანელობის მხრიდან? ამ კითხვაზე თავდამსხმელი გვპასუხობს: *"ეს ჩემთვის მტკივნეული თემაა. არა მგონია, ერთ ამხანაგურ შეხვედრაში გასინჯვა პრობლემა იყოს. შესაძლოა, ლატვიის ჩემპიონატი ძალიან მაღალი დონის არ არის, მაგრამ საკმაოდ სოლიდური კლუბების მიწვევები მაფიქრებს, რომ არც ისე უინტერესო ტურნირია, როგორც საქართველოში ჰგონიათ. ლატვიაში ხშირად მეკითხებიან, რატომ არ თამაშობ ნაკრებშიო. ჰგონიათ, რომ მე უარს ვამბობ. უარს როგორ ვიტყვი, როდესაც ეს ჩემი ოცნებაა. თუმცა, იმედი არ გადამიწურავს და მჯერა, ადრე თუ გვიან ნაკრების მწვრთნელები დაინტერესდებიან და გამომიძახებენ".*

**მერაბ მამულაშვილი**

პრემიერლიგა

# ვიდრე კრიზისის მართვა კიდევ შეიძლება

"დეილი მეილის" ინფორმაციით, პრემიერლიგის კლუბების მესაკუთრეთა უმრავლესობა, მათ შორის "ჩელსის" მეპატრონე **რომან აბრამოვიჩი**, "მანჩესტერ სიტის" **შეიხ მანსური** და "მანჩესტერ იუნაიტედის" **მალკოლმ გლეიზერი**, მომხრეა, რომ ლიგამ ხელფასების ზედა ზღვარი დააწესოს, რაც კლუბებს საშუალებას მისცემს, რომ მომავალს შედარებით ოპტიმისტურად უყურონ. კულუარული ინფორმაციით, პროექტის მთავარი ლობისტი სწორედ უკანასკნელია. გამოცემის მტკიცებით, მოლაპარაკებები უმაღლესი ლიგის მონაწილეთა შორის ამ საკითხთან დაკავშირებით უკვე დაწყებულია. მოსალოდნელია, რომ წინასწარ შეთანხმებაზე ხელის მოწერა 15 ნოემბერს ლონდონში დანიშნულ შეხვედრაზე შედგება. სავარაუდოა, რომ კლუბები ყოველწლიურად სახელფასო ფონდის არა უმეტეს 5%-ით გაზრდაზე შეთანხმდებიან. იმისთვის, რომ გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვალოს, მას 20-დან 14 კლუბი მაინც უნდა დაეთანხმდეს. ჯერჯერობით, ერთადერთი, ვინც იდეის წინააღმდეგ ხმა აღიმაღლა, "ფულჰემის" მმართველი **მოჰამედ ალ-ფაიედია.** მომდევნო სეზონიდან ძალაში შედის პრემიერლიგასა და საკაბელო მაუწყებლებს შორის დადებული ახალი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც კლუბები ბევრად უფრო დიდ შემოსავალს მიიღებენ. ფეხბურთელებსა და მათ აგენტებს იმედი ჰქონდათ, რომ მათთვის ეს ვაჭრობის კარგი საგანი იქნებოდა ახალი ხელშეკრულებებისთვის ბრძოლის საქმეში, მაგრამ, როგორც ჩანს, მათ ოცნებებს ასრულება არ უწერია.

2010/11 წლების სეზონში პრემიერლიგის კლუბების აუდიტორული შემოწმების შემდეგ გაირკვა, რომ მათ მარტო ფეხბურთელთა ხელფასებზე 1.6 მილიარდი ფუნტი გაიღეს, რაც საერთო შემოსავლის 69%-ს შეადგენს (2000/01 წლების სეზონზე ანაზღაურებაზე მხოლოდ 61% იხარჯებოდა). კლუბების საერთო ვალმა მიმდინარე პერიოდისთვის 2.4 მილიარდი შეადგინა. პრემიერლიგელებმა სულ სეზონის განმავლობაში 360 მილიონის ნაგება ნახეს, აქედან 197 "მანჩესტერ სიტის" ანგარიშზეა, 68 - "ჩელსის" და 49 – "ლივერპულის". 1990 წელს პრემიერლიგაში ფეხბურთელების საშუალო ხელფასი კვირაში 1775 ფუნტი იყო, 2010-ში კი ნიშნულმა 35 ათასს უწია.

**ლევან ბიბილაშვილი**

არსენალი

# ფანები ბრაზილიელს აუმხედრდნენ

**"მანჩესტერ იუნაიტედისა" და "არსენალის" მატჩის მეორე დღეს გამოხმაურებები ყოველთვის საინტერესოა ხოლმე. ამჯერად გაზეთებმა ყურადღება ანდრე სანტოსის უცნაურ საქციელზე გაამახვილეს, რომელმაც პირველი ტაიმის დასრულების შემდეგ რობინ ვან პერსის მაისურის ჩუქება სთხოვა. ეს იყო არა გაცვლა, არამედ საჩუქარი. მასალა goal.com-მა მოამზადა.**



ანდრე სანტოსმა არსენალის ფანები აღაშფოთა

"არსენალის" ჩვეულებრივი და არა მხოლოდ რიგითი გულშემატკივრები "მანჩესტერ იუნაიტედთან" მატჩის დასრულების შემდეგ ბრაზილიელ მარცხენა მცველს, 29 წლის **ანდრე სანტოსს** გაუწყრნენ. მიზეზი ბანალურია, ფეხბურთელმა პირველი ტაიმის დასრულების შემდეგ "მეთოფეთა" ყოფილ კაპიტანს, ჰოლანდიელ **რობინ ვან პერსის** მაისურა გაუცვალა. "არსენალის" ყოფილი საყრდენის **რეი პარლორის** თქმით, ის გაოგნებულია სანტოსის საქმისადმი არაპროფესიული დამოკიდებულებით. *"ის ალბათ ხუმრობის ხასიათზე იყო, მაგრამ მსგავსი იუმორი ნამდვილად არ მესმის. სანტოსს ერჩივნა, ფეხბურთზე ეფიქრა, რადგან მისი თამაშის ხარისხი აღმაშფოთებელი იყო. მწვრთნელის ადგილზე მას მინდორს აღარ გავაკარებდი, რადგან პოზიციას მეტისმეტად ხშირად კარგავს,"* – განუცხადა პარლორმა "სანს".

ანდრეს აკრიტიკებენ სოციალურ ქსელებშიც: *"ამ საქციელის შემდეგ ის მოედანზე აღარ უნდა გავიდეს. დაუჯერებელი იყო ის, რაც ამ "მცველმა" პირველი 45 წუთის შემდეგ გააკეთა,"* – აცხადებს "მეთოფეთა" მავანი გულშემატკივარი. *"ის ყველაზე დიდი კლოუნია, ვისაც კი ოდესმე "არსენალის" ფორმა ცმია,"* – ასკვნის მეორე. ფანების აზრს იზიარებს ცნობილი ტელეწამყვანი **პირს მორგანიც**, აი, რას წერს ის: *"თუკი დადასტურდა, რომ სანტოსმა ვან პერსის შესვენებამდე სთხოვა მაისურის ჩუქება, "არსენალმა" ის უნდა დაითხოვოს პირველი გუნდიდან". "არსენალმა" ვან პერსის გოლი უსახსოვრა, სამაგიეროდ, ვან პერსიმ სანტოსს "იუნაიტედის" კვართი აჩუქა,"* - წერს "ტვიტერზე" "მიდლსბროსა" და ფრანკფურტის "აინტრახტის" ყოფილი თავდამსხმელი **იან ოგე ფიორტოფტი.**

**ლევან ბიბილაშვილი**

ლეგენდა

# სტივი ჯის მეექვსასე

პრემიერლიგის X ტურის შეხვედრა "ნიუკასლთან" **სტივენ ჯერარდისთვის** მე-600 აღმოჩნდა ლივერპულურ კარიერაში. მან 14 წლის დაულალავი გარჯისთვის **გარი მაკალისტერის** ხელიდან სპეციალური პრიზი მიიღო. ინგლისური ფეხბურთის სტატისტიკოსებმა დავთრებს გადახედეს და ის ცხრილი შეადგინეს, რომელსაც მასალის ბოლოში გაეცნობით.

ყველაფერი 1998 წლის 29 ნოემბერს, "ბლექბერნთან" "ენფილდზე" გამართული მატჩით დაიწყო, როცა მოედანზე ყველასთვის უცნობი ფეხბურთელი გამოჩნდა. მას მერე 18 წლის მერსისაიდელმა ვარსკვლავმა 4-5 წელიწადი მოანდომა რეზერვისტის რანგიდან ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელის, ხოლო ამის შემდგომ უკვე კაპიტნისა და ლიდერობისთვის ბრძოლას. 14 წლის განმავლობაში ფეხბურთელს ერთადერთხელ ჰქონდა მცდელობა, "ლივერპულს" გაჰქცეოდა, 2004 წელს მას "ჩელსი" იწვევდა, მაგრამ გარიგება არ შედგა. ჯერარდი "ენფილდზე" დარჩა. "წითლების" შემადგენლობაში მას მოგებული აქვს ჩემპიონთა ლიგა, ორჯერ ასოციაციის თასი და სამჯერ ლიგის თასი. ერთადერთი, რაც მისი ნადავლი არასოდეს ყოფილა, ინგლისის ჩემპიონობაა. სტივენს ჯერ კიდევ არ დაუკარგავს იმედი, რომ სანუკვარი მიზნის მიღწევის გარეშე კარიერის დასრულება არ მოუწევს.

გთავაზობთ, ფრაზებს, რომელიც ჯერარდზე ოდესმე უთქვამთ მის თანაგუნდელებსა და თუ უბრალოდ ფეხბურთის დიდ ვარსკვლავებს:

**პეპე რეინა:** *"სტივი "ლივერპულის" სიმბოლო, მისი სული და გულია. როდესაც ის მინდორზეა, ჩვენთვის ეს უკვე სერიოზული ფსიქოლოგიური ფაქტორია. ის მისაბაძი მაგალითია ყველასთვის როგორც მოედანზე, ისე მის მიღმა. რასაც აკეთებს, ისეთი სურვილით, შეუძლებელია, შენც არ გადმოგდოს ენთუზიაზმი. ჯერარდი დაბადებულია, რათა იყოს გამარჯვებული".*

**ჯეიმი კარაგერი:** *"სტივი წარმოუდგენლად ნიჭიერი ფეხბურთელია. ყველაფერს მხოლოდ გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე აკეთებს. სწორედ ამის გამო მიმაჩნია, რომ ის "ლივერპულის" ყველა დროის უდიდესი ფეხბურთელია".*

**გარი ნევილი:** *"ჯერარდი ულაპარაკოდ მიეკუთვნება მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელთა რიცხვს. ყოველთვის მინდოდა, რომ მას "იუნაიტედში" ეთამაშა. ერთხელ სასტუმროში შევთავაზე კიდეც, გადმოდი ჩვენთან-თქო, მიპასუხა, თუ ჩემთან ერთად გინდა ბურთის გორება, "ენფილდზე" გელოდებიო".*

**ალექს ფერგიუსონი:** *"ინგლისში ფეხბურთელებს შორის ჯერარდს ყველაზე დიდი გავლენა აქვს ყველაფერზე, რაც მინდორზე ხდება. ალბათ უფრო მეტი, ვიდრე პატრიკ ვიეირას ჰქონდა. იმის თქმა კი არ მინდა, რომ ფრანგს რამე აკლდა, არა, მაგრამ მგონია, რომ სტივი გუნდისთვის უფრო მეტ საქმეს აკეთებს. წლებია, მის თამაშს ვაკვირდები, თავისუფლად შემიძლია ის როი კინს გავუტოლო. არ მეგულება მენეჯერი, რომელიც გუნდში ასეთ ფეხბურთელს არ ისურვებდა".*

**ზინედინ ზიდანი:** *"მივიჩნევ თუ არა ჯერარდს მსოფლიოში საუკეთესოდ? იცით, შესაძლოა, ის ვერ იპყრობს საზოგადოების ყურადღებას ისეთ მასშტაბით, როგორც რონალდო და მესი, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მას არ შეუძლია უმაღლესი კლასის ფეხბურთელთა რიგებში ეწეროს. მას მშვენიერი პირველი პასი აქვს, გადაწყვეტილებას ყოველთვის დროულად იღებს, მაგრამ ყველაფერზე უფრო მნიშვნელოვანი არის ის, რომ სტივი თანაგუნდელებზე წარმოუდგენელ გავლენას ფლობს. ამ თვისებას ვერასოდეს ისწავლი, ის გენში უნდა გქონდეს".*

**ტიერი ანრი:** *"ყოველთვის იმას ვამბობდი, რომ სტივი ჩემთვის ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი ნახევარმცველია. ის თავის თავში აერთიანებს ფეხბურთის უამრავ კარგ მხარეს. "ლივერპული" დღეს ეს ჯერარდია".*

**ლევან ბიბილაშვილი**

**ლივერპულში ყველაზე მეტი თამაში ჩამტარებელი ფეხბურთელები**

| ფეხბურთელი | ჩემპ | თასი | ლ.თ. | ევრო | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| იან კალაჰანი | 640 | 79 | 42 | 89 | 857 |
| ჯეიმი კარაგერი | 490 | 39 | 35 | 145 | 709 |
| ემლინ ჰიუზი | 474 | 62 | 46 | 79 | 665 |
| რეი კლემენსი | 470 | 54 | 55 | 80 | 665 |
| იან რაში | 469 | 61 | 78 | 38 | 660 |
| ფილ ნილი | 455 | 45 | 66 | 74 | 650 |
| ტომი სმიტი | 467 | 52 | 30 | 85 | 638 |
| ბრიუს გრობელაარი | 440 | 62 | 70 | 38 | 628 |
| ალან ჰანსენი | 434 | 58 | 68 | 46 | 620 |
| სტივენ ჯერარდი | 415 | 35 | 25 | 121 | 600 |

**საუკეთესო ბომბარდირები ლივერპულის ისტორიაში**

| ფეხბურთელი | ჩემპ | თასი | ლ.თ. | ევრო | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| იან რაში | 229 | 39 | 48 | 20 | 346 |
| როჯერ ჰანტი | 245 | 18 | 5 | 17 | 286 |
| გორდონ ჰოჯსონი | 233 | 8 | 0 | 0 | 241 |
| ბილი ლიდელი | 215 | 13 | 0 | 0 | 228 |
| რობი ფაულერი | 128 | 12 | 29 | 14 | 183 |
| კენი დალგლიში | 118 | 13 | 27 | 11 | 172 |
| მაიკლ ოუენი | 118 | 8 | 9 | 22 | 158 |
| სტივენ ჯერარდი | 91 | 12 | 10 | 38 | 152 |

## უცხოური ფეხბურთი

ბრაზილია. სერია A. XXXIV ტური



ლუიშ ფაბიანომ და ფრედმა მორიგი გოლები გაიტანეს

# თითქმის ყველაფერი გარკვეულია

**გრემიო-პონტე პრეტა 1:0**

**გოლი:** 1:0 ანდრე ლიმა (90).

**კრუზეირო-სანტოსი 0:4**

**გოლები:** 0:1 ნეიმარი (12), 0:2 ნეიმარი (36), 0:3 ფელიპე ანდერსონი (53), 0:4 ნეიმარი (82).

**ფლამენგო-ფიგეირენსე 1:0**

**გოლი:** 1:0 ერნანი (72).

**ვასკო-სპორტი 0:3**

**გოლები:** 0:1 ფელიპე აზევედო (40), 0:2 უგო (53), 0:3 ენრიკე (87).

**პალმეირასი-ბოტაფოგო 2:2**

**გოლები:** 0:1 ლოდეირო (21), 1:1 ბარკოსი (29), 1:2 ელკესონი (64), 2:2 ბარკოსი (90).

**სან პაულო-ფლუმინენსე 1:1**

**გოლები:** 1:0 ლუიშ ფაბიანო (50), 1:1 ფრედი (68).

**ატლ. გოაინ.-კორინთიანსი 0:2**

**გოლები:** 0:1 ხუან მარტინესი (54), 0:2 გილერმე (90).

**პორტუგეზა-ბაია 0:1**

**გოლი:** 0:1 სოუზა (77).

**კორიტიბა-ატლ. მინეირო 1:0**

**გოლი:** 1:0 დეივიდი (10-პენ).

**ნაუტიკო-ინტერნასიონ. 3:0**

**გოლები:** 1:0 სოუზა (23), 2:0 სოუზა (33), 3:0 კიეზა (62).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფლუმინენსე | 34 | 21 | 10 | 3 | 56-26 | 73 |
| 2. ატლ. მინეირო | 34 | 18 | 10 | 6 | 55-30 | 64 |
| 3. გრემიო | 34 | 18 | 9 | 7 | 48-28 | 63 |
| 4. სან პაულო | 34 | 18 | 5 | 11 | 53-33 | 59 |
| 5. ბოტაფოგო | 34 | 14 | 9 | 11 | 53-43 | 51 |
| 6. ინტერნასიონ*. | 34 | 13 | 12 | 9 | 44-35 | 51 |
| 7. ვასკო და გამა | 34 | 14 | 8 | 12 | 39-40 | 50 |
| 8. კორინთიანსი | 34 | 13 | 11 | 10 | 42-34 | 50 |
| 9. სანტოსი | 34 | 11 | 13 | 10 | 43-40 | 46 |
| 10. კორიტიბა | 34 | 13 | 6 | 15 | 47-51 | 45 |
| 11. ნაუტიკო | 34 | 13 | 6 | 15 | 41-47 | 45 |
| 12. ფლამენგო | 34 | 11 | 11 | 12 | 34-42 | 44 |
| 13. კრუზეირო | 34 | 12 | 7 | 15 | 38-46 | 43 |
| 14. პონტე პრეტა | 34 | 11 | 10 | 13 | 36-43 | 43 |
| 15. პორტუგეზა | 34 | 9 | 13 | 12 | 35-36 | 40 |
| 16. ბაია | 34 | 9 | 13 | 12 | 33-37 | 40 |
| 17. სპორტ რესიფე | 34 | 9 | 9 | 16 | 35-53 | 36 |
| 18. პალმეირასი* | 34 | 9 | 6 | 19 | 34-45 | 33 |
| 19. ფიგეირენსე | 34 | 7 | 8 | 19 | 36-62 | 29 |
| 20. ატლ. გოიანიენ. | 34 | 5 | 8 | 21 | 31-62 | 23 |

**შენიშვნა:** "ინტერნასიონალი"-"პალმეირასის" საბოლოო შედეგი (2:1) სპორტულმა სასამართლომ უნდა დაამტკიცოს.

**ბომბარდირები:** 17 – ფრედი (ფლუმინენსე); 16 – ლუიშ ფაბიანო (სან პაულო); 14 – ბრუნო მინეირო (პორტუგეზა); 13 — კიეზა (ნაუტიკო), ბარკოსი (პალმეირასი); 12 – ნეიმარი (სანტოსი), ალოიზიო (ფიგეირენსე); 11 – ვაგნერ ლავი (ფლამენგო).

**სერია A-ს 34-ე ტურის შემდეგ "ფლუმინენსე" მდევარ "ატლეტიკო მინეიროს" უკვე 9 ქულით უსწრებს და ჩემპიონობამდე თითქმის არაფერი აშორებს. ამავე 34-ე ტურში, გავარდნისკენ დიდი ნაბიჯი "პალმეირასმა" გადადგა, რომელმაც შინ "ბოტაფოგოს" ვერ მოუგო. ახლა ჟილსონ კლეინას გუნდს სასწაული თუ იხსნის...**

### ზემოთ ყველაფერი გაირკვა...

ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერი სან პაულოს ეწვია და "მორუმბიზე" "სან პაულოს" დაუპირისპირდა. გარდა იმისა, რომ ეს იყო ლიდერის და მეოთხე ადგილზე მყოფი გუნდის მატჩი, მოედანზე ერთმანეთის პირისპირ ბრაზილიის პირველობის საუკეთესო ბომბარდირები, **ფრედი** და **ლუიშ ფაბიანო**, წარდგნენ. ალბათ, არავის გაკვირვებია ის, რომ გოლები სწორედ ამ მოთამაშეებმა გაიტანეს.

50-ე წუთზე ლუიშ ფაბიანომ ისარგებლა "ფლუს" მცველების მიუტევებელი შეცდომით, ერთი-ერთზე გავიდა **დიეგო კავალიერისთან**, ეს უკანასკნელი მოატყუა და ბურთი ცარიელ კარში შეაგორა. ეს იყო ლუიშ ფაბიანოს მე-16 გოლი, სულ რალაც მე-20 შეხვედრაში და ამ მაჩვენებლით ის ფრედს გაუტოლდა, თუმცა არცთუ ისე დიდი ხნით – 18 წუთში გოლს უკვე ფრედი ზეიმობდა, რომელმაც ახალგაზრდა **სამუელ როსას** გადაცემით ისარგებლა და წონასწორობა ალადგინა.

შეხვედრა მთლიანობაში საკმაოდ მოსაწყენი გამოდგა და ორივე გოლი მცველების აშკარა შეცდომის შემდეგ გავიდა. პირველ შემთხვევაში ლუიშ ფაბიანომ **ლეანდრო ეუსებიოს** პასი ჩაჭრა და მეკარესთან პირისპირ გავიდა, "ფლუს" გოლის დროს კი სამუელ როსამ, "სან პაულოს" ახალგაზრდა მცველს, **რაფაელ ტოლოის** ბურთი კუთხურის ალამთან "მოპარა" და ფრედს პრაქტიკულად ცარიელ კარში გაატანინა. გუნდებს ეტყობოდათ, რომ ფრეზე თანახმა იყვნენ და რომ არა მცველთა დაუდევრობა, მატჩი, დიდი ალბათობით, უგოლოდ დასრულდებოდა.

"სან პაულო"-"ფლუმინენსეს" დასრულების შემდეგ, სათამაშოდ "ატლეტიკო მინეირო" გავიდა, რომელსაც ლიდერთან ქულათა სხვაობის 6-მდე შემცირების შანსი ჰქონდა, თუმცა **რონალდინიოს** გუნდს საკმაოდ რთული მეტოქე ჰყავდა – "კორიტიბა" საკუთარ მოედანზე ძალიან კარგად თამაშობს და ეს ამ შეხვედრაშიც დაამტკიცა. ამ მატჩმა ასევე გამოაჩინა ისიც, რომ "ატლეტიკოს" ჩავარდნა აქვს და **კუკას** გუნდი ჩემპიონობისთვის უბრალოდ მზად არ აღმოჩნდა. მატჩის ერთადერთი გოლი, "ფლამენგოში" **რონალდინიოს** ყოფილმა თანაგუნდელმა, **დეივიდმა** გაიტანა, რომლისთვისაც ეს უკვე მეშვიდე გოლი იყო, არადა დეივიდს "კორიტიბაში" მხოლოდ 9 მატჩი აქვს ჩატარებული.

ამ შეხვედრის შემდეგ, გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს "ფლუმინენსე" რონალდინიოს გადაბირებას აპირებს. ბრაზილიური პრესის ცნობით, რონის ძმა, **რობერტო ასისი** და "ფლუს" ხელმძღვანელები მოლაპარაკებას აწარმოებენ. "გაუჩოს" "ატლეტიკოსთან" კონტრაქტი დეკემბერში ეწურება და დედაქალაქში დაბრუნება უფასოდ შეუძლია. "ფლუმინენსეს" ხელმძღვანელები თვლიან, რომ ერთ გუნდში რონალდინიოს, **დეკუს**, **რაფაელ სობისის**, **ტიაგო ნევეშის** და ფრედის ყოლა, კოპა ლიდერტადორესზე წარმატებული გამოსვლის გარანტია იქნება და რთულია მათ ამაში შეედავო.

### პალმეირასი წვალობს

"პალმეირასმა" ამ ტურში "ბოტაფოგოს" უმასპინძლა და ისევ ვერ მოიგო, თუმცა ვერ მოგებას ვინ ჩივის, გუნდმა ქულაც ძლივს აილო. **ერნან ბარკოსმა** დუბლი შეასრულა და საკუთარ გუნდს ერთი ქულა მოუტანა. ახლა "პალმეირასის" ბედი, დიდწილად სპორტული სასამართლოს გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული – თუ "ინტერთან" მისი თამაშის შედეგი გაუქმდება, მაშინ **ჟილსონ კლეინას** გუნდს თადარიგში ერთი თამაში ექნება, მაგრამ თუ იმ მატჩის საბოლოოს შედეგი ძალაში დატოვეს, "პალმეირასი" პრაქტიკულად გავარდნილად უნდა მივიჩნიოთ.

ამ ტურში ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი მოიგო "სპორტ რესიფემ", რომელიც ბოლო დროს კარგ ფორმაშია და უკანასკნელ 4 შეხვედრაში 9 ქულის ალება მოახერხა. რესიფელთა მორიგი მსხვერპლი საშინელ ფორმაში მყოფი "ვასკო და გამა" იყო, რომელსაც სტუმარმა გუნდმა დიდი ანგარიშით მოუგო. "სპორტი" ახლა მხოლოდ 4 ქულით ჩამორჩება სალვადორის "ბაიას" და გადარჩენის შანსი "პალმერასზე" გაცილებით დიდი აქვს.

ტურის სხვა მოვლენებიდან აუცილებლად უნდა ალვნიშნოთ **ნეიმარის** ჰეთთრიქი, რომლის წყალობითაც ვუნდერკინდი ბომბარდირთა დავაში გაერია – "სანტოსის" ფორვარდის ანგარიშზე 12 გოლია, თანან ნეიმარმა სულ რალაც 14 შეხვედრაში მიილო მონაწილეობა.

მომავალ ტურში, "ფლუმინენსე" "პალმეირასს" სტუმრობს და მოგების შემთხვევაში, შანსი აქვს ისტორიაში მეოთხედ გახდეს ბრაზილიის ჩემპიონი.

აშშ. MLS. კონფერენციების 1/2 ფინალი

# ლოს ანჯელესი გავარდნის პირას

**DS იუნაიტედი-ნიუ იორკი 1:1**

**გოლები:** 1:0 რ. მილერი (61-საკ. კარში), 1:1 ჰამიდი (65-საკ. კარში).

**ჰიუსტონი-სპორტინგი 2:0**

**გოლები:** 1:0 მოფატი (18), 2:0 ბრუინი (75).

გელექსი-სან ხოსე 0:1

**გოლი:** 0:1 ბერნანდესი (90).

სიეტლი-სოლტ ლეიკი 0:0

აშშ-ში დაიწყო კონფერენციების 1/2 ფინალები. განსხვავებულად ითამაშეს რეგულარულ სეზონში კონფერენციების გამარჯვებულებმა. ალმოსავლეთში პირველ ადგილზე გასული "სპორტინგ კანზას სიტი", სტუმრად "ჰიუსტონ დინამოს" ეწვია და 0:2 წააგო. საპასუხო მატჩი 8 ნოემბერს გაიმართება და აქედანვე ნათელია, რომ ამერიკის 2000 წლის ჩემპიონს ძალიან გაუჭირდება, 2-გზის ტრიუმფატორის (2006, 2007) და შარშანდელი ფინალისტის ბარიერის გადალახვა.

დასავლეთ კონფერენციის და მთლიანად რეგულარული სეზონის საუკეთესო გუნდმა, "სან ხოსე ერთქვეიქსმა", ასევე სტუმრად **დევიდ ბექჰემის**, **რობი კინის** და **ლენდონ დონოვანის** "ლოს ანჯელეს გელექსი" დაამარცხა და მომდევნო ეტაპისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა. მოქმედი ჩემპიონი მთელი მატჩის განმავლობაში უტევდა, მაგრამ გოლი აქეთ გაუშვა, თანაც შეხვედრის ბოლო წუთზე. ბექჰემს და კომპანიას ახლა სან ხოსეში ვიზიტი ელით.

დედაქალაქში, 4-გზის ჩემპიონი "დისი იუნაიტედი", რომელიც 5-წლიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა პლეიოფს, "ნიუ იორკ რედ ბულსს" ხვდებოდა და მხოლოდ ფრეს დასჯერდა. სტუმართა რიგებში მოედანზე იყვნენ **რაფაელ მარკესი**, **ტეემუ ტაინიო**, **ტიმ კეჰილი** და **ტიერი ანრი**, თუმცა გოლი ვერც ერთმა გაიტანა. 1:1 საკმაოდ კარგი შედეგია "ნიუ იორკისთვის", რომელიც თავისი პირველი საჩემპიონო ტიტულისკენ ისწრაფვის.

პლეი-ოფში სულ 8 გუნდი მონაწილეობს და აქედან 2 აშშ-ს ჩემპიონი არასდროს გამხდარა. ერთი ასეთი გუნდი, როგორც მოგახსენეთ, "რედ ბულსია", მეორე კი "სიეტლ საუნდერსი", რომელიც მხოლოდ მეოთხე სეზონს ატარებს "ემ-ელ-ეს"-ში. "სიეტლმა" სოლტ ლეიკ სიტის "რეალს" უმასპინძლა და მართალია გოლი არ გაუშვია, მაგრამ ვერც გაიტანა.

საპასუხო შეხვედრები 8 და 9 ნოემბერს გაიმართება, რის შემდეგაც კონფერენციების ფინალისტების (ევროპულად: ტურნირის 1/2 ფინალისტების) ვინაობას შევიტყობთ.



დევიდ ბექჰემის გელექსი შინ დამარცხდა

აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელი

# აფრიკის ნომინანტები ცნობილია

აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციამ დაასახელა ის 10 ფეხბურთელი, რომელიც წლის საუკეთესო მოთამაშის ტიტულზე აცხადებს პრეტენზიას. ალსანიშნავია, რომ სიაში ვერ მოხვდა მახაჩყალის "ანჟის" ფეხბურთელი და ამ ტიტულის 4-გზის მფლობელი (რეკორდი) **სამუელ ეტოო.** სამაგიეროდ 10 საუკეთესოში დასახელდა **კრისტოფერ კატონგო**, ზამბიის ნაკრების ფეხბურთელი, რომლის ეროვნულმა გუნდმა აფრიკის ერთა თასი მოიგო. ასევე სიაში არის შარშანდელი გამარჯვებული **იაია ტურე** და მესამე ადგილზე გასული **ანდრე აიუ**, აი 2011 წელს მეორე ადგილის დამკავებელი **სეიდუ კეიტა** ნომინანტებში ვერ მოხვდა.

ყველა ნომინანტი: **ალექსანდრ სონგი** ("ბარსელონა", კამერუნი). ანდრე აიუ ("მარსელი", განა), კრისტოფერ კატონგო ("ჰენანი", ზამბია), **დემბა ბა** ("ნიუკასლი", სენეგალი), **დიდიე დროგბა** ("ჩელსი"/"შანხაი", კოტ დივუარი), **ჟერვინიო** ("არსენალი", კოტ დივუარი), **ჯონ ობი მიკელი** ("ჩელსი", ნიგერია), **პიერ-ემერიკ ობამეიანი** ("სენტ ეტიენი", გაბონი), იაია ტურე ("მანჩესტერ სიტი", კოტ დივუარი) და **იუნეს ბელჰანდა** ("მონპელიე", მაროკო).

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**



იაია ტურე აფრიკის საუკეთესო ფეხბურთელობას უმიზნებს

● ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. სამშაბათის მატჩების წინ

# რეალი გაბრაზებულია

## ..ვაი დორტმუნდის ბრალი?

ეროვნული ბიბლიოთეკა




ორი კვირის წინ მარკო როისის (მარცხნივ) „დორტმუნდმა“ ლუკა მოდრიჩის „რეალი“ 2:1 დაამარცხა

დღეს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მეორე ნახევარი იწყება, რაც იმას ნიშნავს, რომ ტურნირის ეს რაუნდი გადამწყვეტ ფაზაში შედის. კლუბები უკვე იწყებენ მერვედფინალის საგზურების განაღდებას. ამ საკითხის სათავისოდ გადაწყვეტა დღეს „პორტუს“ და „მალაგას“ შეუძლიათ. „რეალს“ და „არსენალს“ კი გერმანულ კლუბებზე შურისძიება სურთ.

### A ჯგუფი

**დინამო (კ)–პორტუ 23:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**დინამო /კ/ (4-3-2-1):** შოვკოვსკი – ბეტაო, მიხალიკი, ხაჩერიდი, ტაიო – გარმაში, ვუკოიევიჩი, მიგელ ველოზო – იარმოლენკო, გუსევი – იდეიე.

**პორტუ (4-3-2-1):** ელტონი – დანილო, მაიკონი, ოტამენდი, მანგალა – ლუჩო გონსალესო, ფერნანდო, ჟოაო მოუტინიო – ვარელა, ჯეიმს როდრიგესი – ჯეკსონ მარტინესი.

**არბიტრი:** ალბერტო უნდიანო მალენკო (ესპანეთი)

**პსჟ–დინამო (ზ) 23:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**პსჟ (4-3-2-1):** სირიგუ – ჟალე, სახო, ტიაგო სილვა, მაქსველი – ვერატი, შანტომი, სისოკო – პასტორე, მენეზი – იბრაჰიმოვიჩი.

**დინამო /ზ/ (4-3-1-2):** კელავა – ვიდა, პულიჩი, შიმუნიჩი, პივარიჩი – ვრსალკო, კოვაჩიჩი, ადემი – სამირი – ბეჩირაი, რუკავინა.

**არბიტრი:** პაველ ჟილი (პოლონეთი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუ | 3 | 3 | 0 | 0 | 6-2 | 9 |
| 2. პსჟ | 3 | 2 | 0 | 1 | 6-2 | 6 |
| 3. დინამო (კ) | 3 | 1 | 0 | 2 | 5-7 | 3 |
| 4. დინამო (ზ) | 3 | 0 | 0 | 3 | 0-6 | 0 |

### B ჯგუფი

**შალკე–არსენალი 23:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**შალკე (4-2-3-1):** უნერშტალი – უჩიდა, ჰიოვედესი, მატიპი, ფუხსი – ნოიშტედტერი, ჯონსი – ფარფანი, ჰოლტბი, აფელაი – ჰუნტელაარი.

**არსენალი (4-2-3-1):** მანონე – სანია, მერტეზაკერი, ვერმაელენი, გიბსი – არტეტა, უილშირი – უოლკოტი, კასორლა, არშავინი – პოდოლსკი.

**არბიტრი:** ნიკოლა რიცოლი (იტალია)

**ოლიმპიაკოსი–მონპელიე 23:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ოლიმპიაკოსი (4-2-3-1):** კეროლი – ტოროსიდისი, მანოლასი, კონტრერასი, ჰოლებასი – მანიატისი, მოდესტო – ფუსტერი, გრეკო, მიტროღლუ – ჯებური.

**მონპელიე (4-2-3-1):** პიონირი – ბოკალი, იანგა-მბივა, ჰილტონი, ბედიმო – საი, სტამბული – უტაკა, ბელჰანდა, მუნიე – შარბონი.

**არბიტრი:** მარიო სტრაჰონია (ხორვატია)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შალკე | 3 | 2 | 1 | 0 | 6-3 | 7 |
| 2. არსენალი | 3 | 2 | 0 | 1 | 5-4 | 6 |
| 3. ოლიმპიაკოსი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-6 | 3 |
| 4. მონპელიე | 3 | 0 | 1 | 2 | 4-6 | 1 |

### C ჯგუფი

**ანდერლეხტი–ზენიტი 23:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ანდერლეხტი (4-2-3-1):** პროტო – ვასილიევსკი, კუიატე, ნუიტინკი, დეშახტი – ბილია, კანუ – ჟილე, პრო, იოვანოვიჩი – დე სუტერი.

**ზენიტი (4-4-2):** მალაფეევი – ანიუკოვი, ჰუბოკანი, ლომბერტსი, კრიშიტო – ფაიზულინი, ვიტსელი, შიროკოვი, სემაკი – ბუხაროვი, კერჟაკოვი.

**არბიტრი:** ანტონი გაუტიე (საფრანგეთი)

**მილანი–მალაგა 23:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**მილანი (3-4-3):** ამელია – მექსე, ბონერა, საპატა – აბატე, მონტოლივო, ამბროზინი, ემანუელსონი – ბოიანი, პაცინი, ელ შაარავი.

**მალაგა (4-1-4-1):** კაბალიერო – გამესი, ველიგტონი, დემიკელისი, ელისეუ – კამაჩო – ხოაკინი, ისკო, პორტილიო, დუდა – სავიოლა.

**არბიტრი:** ჰოვარდ ვები (საფრანგეთი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მალაგა | 3 | 3 | 0 | 0 | 7-0 | 9 |
| 2. მილანი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 3. ზენიტი | 3 | 1 | 0 | 2 | 3-6 | 3 |
| 4. ანდერლეხტი | 3 | 0 | 1 | 2 | 0-4 | 1 |

### D ჯგუფი

**რეალი–ბორუსია (დ) 23:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი – სერხიო რამოსი, პეპე, რაულ ალბიოლი, არბელოა – მოდრიჩი, ჩაბი ალონსო – დი მარია, იოზილი, კ. რონალდო – იგუაინი.

**ბორუსია /დ/ (4-2-3-1):** ვაიდენფელერი – პიშჩეკი, სუბოტიჩი, ჰუმელსი, შმელცერი – გიუნდოგანი, კელი – როისი, გიოტცე, გროსკროიტცი – ლევანდოვსკი.

**არბიტრი:** ჩიუნეით ჩაქირი (თურქეთი)

**მანჩესტერ სიტი–აიაქსი 23:45**

**სავარაუდო შემადგენლობები**

**მანჩესტერ სიტი (4-2-3-1):** ჰარტი – საბალეტა, კომპანი, ნასტასიჩი, კლიში – იაია ტურე, ბერი – ნასრი, ტევესი, ბალოტელი – აგუერო.

**აიაქსი (4-3-3):** ვერმეერი – ვან რინი, ალდერვეირელდი, მოისანდერი, ბლინდი – შონე, პოულსენი, დე იონგი – სანა, ერიკსენი, ბაბელი.

**არბიტრი:** პეტერ რასმუსენი (დანია)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორუსია (დ) | 3 | 2 | 1 | 0 | 4-2 | 7 |
| 2. რეალი | 3 | 2 | 0 | 1 | 8-5 | 6 |
| 3. აიაქსი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-6 | 3 |
| 4. მანჩესტერ სიტი | 3 | 0 | 1 | 2 | 4-7 | 1 |

### A ჯგუფი: პორტუს კიევში ფრეც აწყობს

რაკი საკუთარ მოედანზე 3:2 მოუგო, „პორტუს“ კიევში „დინამოსთან“ ფრეც აწყობს იმისათვის, რომ მერვედფინალში თამაში გაინაღდოს. პორტუგალიის ჩემპიონებმა დღევანდელი შეხვედრის „გენერალური რეპეტიცია“ წარმატებით ჩაატარეს და „მარიტიმუ“ 5:0 გაანადგურეს, რის შემდეგაც სატურნირო ცხრილს კვლავ ლისაბონის „ბენფიკასთან“ ერთად ლიდერობენ.

კიევის „დინამოს“ მხოლოდ გამარჯვება სჭირდება. მართალია, უკრაინელებმა დღემდე მხოლოდ სამ ქულას მოუყარეს თავი, მაგრამ მოგების შემთხვევაში ჯგუფიდან გასვლის შანსი შერჩებათ. უკრაინის ჩემპიონატში სიმფეროპოლელებთან მოგებული მატჩის (2:0) შემდეგ კიეველები მესამე ადგილზე არიან და ლიდერ დონეცკის „შახტარს“ (42 ქულა 14 მატჩის შემდეგ) 14 ქულით ჩამორჩებიან, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში ჩარჩენის შემთხვევაში „დინამოს“ ასპარეზობა ძალიან უარყოფითად შეფასდება. „დინამოს“ თავკაცმა **ოლეგ ბლოხინმა**, რომელიც გუშინ 60 წლის გახდა, პრესკონფერენციაზე თქვა, მხოლოდ სამი ქულისთვის ვიბრძოლებთ, ეს თამაში აუცილებლად უნდა მოვიგოთო...

A ჯგუფის მეორე შეხვედრაში ზაგრების „დინამო“ პსჟ-ს სტუმრობს და ამ დუელში როლები მკვეთრადაა გადანაწილებული. პარიზელებმა ზაგრებში 2:0 გაიმარჯვეს. დღეისათვის უქულოდ და უგოლოდ მყოფი ხორვატიის ჩემპიონის ჯგუფიდან გასვლის შანსები პრაქტიკულად უკვე ნულის ტოლია. მართალია, პსჟ დაუმარცხებელი არ არის, რაც ახლახან, „სენტ ეტიენთან“ შეხვედრაშიც გამოჩნდა, რომელიც **კარლო ანჩელოტის** შეგირდებმა 1:2 წააგეს. ხსენებულ თამაშში პარიზელებს ნერვების მოთოკვა უჭირდათ – ეს პირველ რიგში **ზლატან იბრაჰიმოვიჩზე** ითქმის, რომელმაც მეტოქის მეკარეს კუნგ-ფუს ილეთი ჩაუტარა და მოედნიდან გააძევეს...

### B ჯგუფი: იძიებს შურს არსენალი?

ლონდონში მოპოვებული მნიშვნელოვანი გამარჯვების შემდეგ (2:0) „შალკე“ ჯგუფის ლიდერია და თუ გელზენკირხენელები რევანშის სურვილით შეპყრობილ ლონდონელებს დღესაც დაამარცხებენ, მერვედფინალის საგზურს პრაქტიკულად გაინაღდებენ. გასულ უქმეებზე „შალკე“ ბუნდესლიგაში „ჰოფენჰაიმთან“ დამარცხდა (2:3) და ფანებისთვის ბოდიში აქვს მოსახდელი, რისთვისაც საუკეთესო გამოსავალი „არსენალთან“ მეორე გამარჯვება იქნებოდა.

*„მერე რა, რომ „ჰოფენჰაიმთან“ წავაგეთ – ფაქტია, ძალიან კარგ ფორმაში ვართ. „ჰოფესთან“ უამრავი მომენტი და ბურთის ფლობის მხრივ უდიდესი უპირატესობა გვქონდა. იმედია, „არსენალთანაც“ ასე იქნება და უპირატესობა ტაბლოზე დაფიქსირებულ შედეგშიც აისახება,“* - ეს „შალკეს“ საყრდენი ნახევარმცველის, **რომან ნოიშტედტერის** სიტყვებია.

გელზენკირხენელთა თავკაცი **ჰუუბ სტევენსი** დღეს ნამდვილად ვერ გამოიყენებს ცენტრალურ მცველ **კრისტოფ მეტცელდერს**, თუმცა ეს უკანასკნელი სასტარტო შემადგენლობაში მაინც იშვიათად თამაშობს ხოლმე. კითხვის ნიშნის ქვეშაა კიდევ ერთი ცენტრალური უკანახაზელის, **კირიაკოს პაპადოპულოსის** ასპარეზობაც. ამრიგად, „შალკეს“ დაცვის ცენტრში აუცილებლად **ჰიოვედესისა** და **მატიპის** ტანდემს ვიხილავთ. შესაძლოა, სტევენსმა გამთამაშებლად **ჰოლტბის** ნაცვლად **დრაქსლერი** გაამწესოს.

„არსენალს“, როგორც უკვე ვთქვით, შურისძიება უნდა, რადგან „შალკესთან“ საკუთარ მოედანზე წაგება ევროტურნირების საშინაო მატჩებში არაინგლისურ მეტოქესთან 45-მატჩიანი წაუგებელი სერიის (!) დასასრული გახლდათ.

ამავდროულად „ოლიმპიაკოსი“ „მონპელიეს“ უმასპინძლებს და ეს შეხვედრა ორივე გუნდისთვის მერვედფინალში გასასვლელად გაბრძოლების ფაქტობრივად უკანასკნელი შანსია. წინა ტურში ბერძნებმა საფრანგეთიდან სამი ქულა წაიღეს (2:1) და კარგ ხასიათზე არიან, „მონპელიე“ კი ჩემპიონთა ლიგაში ერთი ქულით ბოლო ადგილზეა, საფრანგეთის ჩემპიონატში კი მოქმედი ჩემპიონი მე-14 პოზიციაზე იმყოფება...

### C ჯგუფი: მილანი წნეხის ქვეშ

„მალაგა“ ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშების მთავარი აღმოჩენაა: ანდალუსიელებს სამივე თამაში მოგებული აქვთ და კარს დღემდე მშრალად ინახავენ. საკუთარ კედლებში „მილანის“ დამარცხებით (1:0) „მალაგამ“ მერვედფინალისკენ უდიდესი ნაბიჯი გადადგა და დღეს „როსონერის“ „სან სიროზე“ დაუპირისპირდება. მილანელებს სამი ტურის შემდეგ მხოლოდ ოთხი ქულა აქვთ მოპოვებული, რაც იმას ნიშნავს, რომ **მასიმილიანო ალეგრის** გუნდი უკვე წნეხის ქვეშაა. „მილანმა“ იტალიის ჩემპიონატში „კიევო“ 5:1 გაანადგურა, რამაც ტიფოზერიას შედეგების გაუმჯობესების იმედი გაუჩინა. თუმცა „მალაგა“, რომელიც „რაიო ვალეკანოსთან“ 1:2 დამარცხდა, სხვა კალიბრის გუნდია და მილანელებს სიფრთხილე მართებთ. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ ესპანური კლუბის მფლობელმა შეიხმა **ალ თანიმ** დანაპირები არ შეასრულა და ხელფას-პრემიები 31 ოქტომბერს არ გადაიხადა...

თუ „ანდერლეხტს“ რამე უნდა და შეუძლია, ეს „ზენიტთან“ შეხვედრაში უნდა დაამტკიცოს – წინააღმდეგ შემთხვევაში, ბელგიელები ჯგუფში ჩარჩებიან. რუსეთის ჩემპიონს ამ მატჩისთვის 4-კვირიანი შიდა დისკვალიფიკაციის შემდეგ **დენისოვი** უბრუნდება. შეგახსენებთ, რომ ეს უკანასკნელი გუნდის კაპიტანია, შიდა დისკვალიფიკაცია კი იმის გამო ჰქონდა მისჯილი, რომ ხელფასის მომატება მოითხოვა და 22 სექტემბერს „კრილია სოვეტოვთან“ თამაში იუარა. ახლახან დენისოვმა საჯაროდ მოიხადა ბოდიში. სამაგიეროდ, პეტერბურგელებს **ჰალკი** დააკლდებათ, რომელსაც იშიაზი აქვს...

### D ჯგუფი: ეშველება სიტის?

გერმანიის ჩემპიონმა და თასის მფლობელმა დორტმუნდის „ბორუსიამ“ ორი კვირის წინ „რეალი“ მადრიდში ხელცარიელი გააბრუნა (2:1), ახლა კი თავად სტუმრობს „სამეფო გუნდს“ „სანტიაგო ბერნაბეუზე“. მატჩისწინა კომენტარებიდან ჩანს, რომ დორტმუნდელები „რეალს“ უფრთხიან.

*„გვესმის, რომ ორი კვირის წინ მადრიდელები ძალიან გავაბრაზეთ და ფაქტია, შურისძიებისთვის ყველაფერს გააკეთებენ. შევეცდებით, მაქსიმალური კონცენტრაციით ვითამაშოთ და მადრიდში არ დავმარცხდეთ,“* - ეს „ბორუსიას“ მარცხენა მცველის, **მარსელ შმელცერის** სიტყვებია, რომელმაც ორი კვირის წინ „რეალის“ კარში გამარჯვების გოლი გაიტანა.

დორტმუნდელთა კაპიტან **სებასტიან კელს** „შტუტგარტთან“ შეხვედრაში (0:0) ყვრიმალის ძვალი გაუტეხეს, თუმცა ამ უკანასკნელს დღეს მოედანზე გასვლა შეეძლება – ოღონდ, დამცავი ნიღბით. „რეალმა“ „სარაგოსა“ 4:0 გაანადგურა და ამ შეხვედრაში მადრიდელებს **ჩაბი ალონსო** ჰყავდათ დისკვალიფიცირებული, რომელიც დღეს დღეს ძირითად შემადგენლობაში დაბრუნდება. სამაგიეროდ, **ჟოზე მოურინიო** კვლავ ვერ გამოიყენებს **სამი ხედირას** და **ფაბიო კოენტრაოს** – ორივე ტრავმირებულია.

სიკვდილის ჯგუფის მეორე მატჩში „მანჩესტერ სიტი“ „აიაქსს“ მასპინძლობს და უმძიმესი წნეხის ქვეშაა, რადგან **რობერტო მანჩინის** შეგირდები ამსტერდამში 1:3 დამარცხდნენ და სამი ტურის შემდეგ მხოლოდ ერთი ქულა აქვთ. კიდევ ერთი ნაფორხილება და „სიტი“ იძულებული გახდება, ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალი დაივიწყოს. ამ უქმეებზე „სიტიმ“ ვერც „ვესტ ჰემს“ მოუგო, რის შემდეგაც თავად მანჩინიც დაიწნეხა. თუმცა „აიაქსს“ ჰოლანდიის ჩემპიონატში უფრო უარესად აქვს საქმე – ამსტერდამელები საკუთარ მოედანზე „ვიტესთან“ 0:2 დამარცხდნენ და ასეთი ცუდი სტარტი 2005 წლის შემდეგ არ ჰქონიათ.

**გოტფრიდ ლენცი**

იტალია. სერია A. XI ტურის გამოხმაურება

# ერთი სერია მეორემ ჩაანაცვლა
## ინტერის დამსახურებული ტრიუმფი



XI ტურის მთავარი მატჩი ტურინში გაიმართა, სადაც "იუვენტუსმა" "ინტერს" უმასპინძლა და მიმდინარე სეზონში პირველი მარცხი ინვნია. თუმცა, რაც მიმდინარე სეზონში, ტურინელთა წაუგებელი სერია ჯერ კიდევ წინა ჩემპიონატიდან გრძელდებოდა და სწორედ გასულ უქმეებზე დაესვა წერტილი. ამასობაში, ახალი შთამბეჭდავი სერიის მოწმენი ვხდებით - "ნერაძურიმ" მიჯრით მეცხრე ოფიციალური მატჩი მოიგო. ამან, სასკუდეტო ინტრიგა კიდევ უფრო გაამძაფრა.

### ტურის მოვლენა

ტურის მოვლენა სწორედ ტურინული გრანდის წაუგებელი სერიის შეწყვეტა და იტალიურ დერბიში "ინტერის' გამარჯვება გახლდათ ბოლო პერიოდში, მილანურმა გრანდმა კარგი ტემპი აკრიფა და ალბათ, თუ ვინმეს უნდა დაემარცხებინა "ვეკია სენიორა", სწორედ "ინტერი" გახლდათ.

**მასიმო მორატი (ინტერის პრეზიდენტი):** "ყველაზე მეტად ის მახარებს, რომ თამაშის ხარისხს ტურიდან ტურამდე ვაუმჯობესებთ. შეიძლება მოიგო,

ნამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩემპიონობას ვუმიზნებთ. თუ გინდა რომ "იუვენტუსს" უშუალო პაექრობაში აჯობო, აუცილებლად უნდა შეუტიო და მეტოქეს აქტიური პრესინგი შესთავაზო. ეს კარგად გამოგვივიდა და რადგან ფორვარდებმა მომენტებიც გამოიყენეს, სამი ქულა ჩვენ დაგვრჩა. "იუვენტუსის" დამარცხება ურთულესი საქმეა



XI ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით



რეალი

# ასი ასი, ასლამაზი
## რეალში ლუკას დრო მოდის

მადრიდის „რეალი" დორტმუნდის „ბორუსიას" ამაღლებულ განწყობაზე ხვდება - ლა ლიგაში ზედიზედ სამი თამაშია, იკერ კასილიასს გოლი არ გაუშვია, ხოლო „სანტიაგო ბერნაბეუზე" „სამეფო კლუბმა" ზედიზედ მეექვსედ მოიგო. „რეალი" უკვე პოდიუმზე ავიდა და მეორეადგილოსან „ატლეტიკოსთან" სხვაობა 5 ქულამდე შეამცირა, ხოლო მისმა მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ მადრიდულ კლუბში საიუბილეო, მე-100 გამარჯვება იზეიმა.



### ყველაზე სწრაფი რეალში და არა მარტო

100 გამარჯვებასაც ხომ გააჩნია - 49 წლის მოურინიოს საამისოდ მხოლოდ 133 მატჩი დასჭირდა.

### არ მოეწონა, მაგრამ აკმაყოფილია

ბარსელონა

# ისტორიანი და აზმანი: რეკორდი, როგორც ანეკდოტი
## მესიმ ტიაგოს ვერ დაურეკა

### იცით თუ არა, რომ...

### ვარასის ვარამი

ატლეტიკო

# შეწყვეტილი სიმღერა



გერმანია. ბუნდესლიგა. X ტურის შეჯამება

გერმანიის ჩემპიონობისთვის მიმდინარე ბრძოლაში „ბაიერნის" შანსების ზრდასა თუ კლებაზე წერა უკვე ძალიან მოსაბეზრებელია, რადგან, გვინდა თუ არ გვინდა, ბუნდესლიგა ჯერ-ჯერობით ერთი მსახიობის თეატრია. თუმცა ალსანიშნავი და ყურადღების ღირსი სხვაც ბევრი ხდება. არ გჯერათ? ინებეთ!

### ვიზე

ბუნდესლიგამ ათი ტური მოილია და ამ ათიდან მხოლოდ ორი ტური იყო ისეთი, რომელშიც „ჰოფენჰაიმის" მეკარე ტიმ ვიზემ კრიტიკა ან დაცინვა არ და-

### ზელახდილი დანტე

### ლორენც-გიუნტერი ველერ ვიში

### რაშია საქმე, სიმონ?

# ყველაფერი კარგად იქნება, ტიმ!



### იდეალური რიბერი

### არც მიცისაც, არც ციას...

### უმაქნისი ვან დერ ვაარტი

### ფეხი მე-300 ქულა

გოტფრიდ ლენცი

X ტურის გმირი

ფრანკ რიბერი (ბაიერნი, 3)



საუკეთესო ფეხბურთელები

X ტურის შემდეგ, „კიკერის" შეფასებების მიხედვით

| ფეხბურთელი | კლუბი | შეფასება | ს/შ |
|---|---|---|---|
| 1. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 6 | 1.75 |
| 2. რენე ადლერი | ჰამბურგი | 10 | 2.10 |
| 3. თომას მიულერი | ბაიერნი | 9 | 2.13 |
| 4. კევინ ტრაპი | აინტრახტი | 10 | 2.15 |
| 5. ბასტიან შვაინშტაიგერი | ბაიერნი | 10 | 2.33 |
| 6. აარონ ჰანტი | ვერდერი | 10 | 2.40 |
| 7. მარიო გოტცე | ბორუსია (დ) | 9 | 2.50 |
| 8. სებასტიან როდე | აინტრახტი | 10 | 2.50 |
| 9. ფაბიან გიფერი | ფორტუნა | 10 | 2.60 |
| 10. იაკუბ ბლაშჩიკოვსკი | ბორუსია (დ) | 7 | 2.67 |

გოლს პლუს პასის რეიტინგი

| ფეხბურთელი | კლუბი | თამაში | გოლი | პასი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. თომას მიულერი | ბაიერნი | 9 | 7 | 7 | 14 |
| 2. შაბოლჩ ჰუშტი | ჰანოვერი | 9 | 3 | 7 | 10 |
| 3. მარიო მანჯუკიჩი | ბაიერნი | 10 | 8 | 1 | 9 |
| 4. ადამ სალაი | მაინცი | 10 | 8 | 1 | 9 |
| 5. ხუან არანგო | ბორუსია (მ) | 10 | 3 | 5 | 8 |
| 6. შტეფან კისლინგი | ლევერკუზენი | 10 | 6 | 2 | 8 |
| 7. ალექსანდერ მაიერი | აინტრახტი | 10 | 7 | 1 | 8 |
| 8. ფრანკ რიბერი | ბაიერნი | 6 | 2 | 6 | 8 |
| 9. ჯეფერსონ ფარფანი | შალკე | 8 | 3 | 4 | 7 |
| 10. აარონ ჰანტი | ვერდერი | 10 | 5 | 2 | 7 |

X ტურის სიმბოლური ნაკრები ლელოს ვერსიით



## უცხოური ფეხბურთი

### ამბები




## მონტელა: მთავარი პროგრესია

**ვინჩენცო მონტელას** და მის "ფიორენტინას" კარგი დროება უდგას - გუნდი თამაშს თამაშზე იგებს და სატურნირო ცხრილში ზემოთ მიიწევს. გასულ ტურში, ფლორენციელებმა კერკეტი "კალიარი" დაამარცხეს და მეოთხე პოზიციაზე აინაცვლეს. "ვიოლას" 21 ქულა აქვს და მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩება მესამე ადგილზე მყოფ "ნაპოლის". თუ რას ნიშნავს სამეულში შესვლა და რის საგზურს იძლევა ტრიოში მოხვედრა, ყველამ კარგად ვიცით. მართალია, ჩემპიონატის დასრულებამდე ჯერ დიდი დროა დარჩენილი, მაგრამ უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ "ფიორენტინა" მაღალ ადგილებს უმიზნებს. მაღალი მიზნები გასაგებია, მაგრამ უფრო კონკრეტულად თავად მონტელა ისაუბრებს:

*"მთავარია, რომ პროგრესი გავაგრძელოთ და ტურიდან ტურამდე მოვუმატოთ. ასეთ შემთხვევაში, სრულიად შესაძლებელი იქნება იმ მიზნის მიღწევა, რომელსაც სეზონის წინ ვერავინ წარმოიდგენდა. ვგულისხმობ ჩემპიონთა ლიგის საგზურს, რაც ჩვენთვის წინ გადადგმული უდიდესი ნაბიჯი იქნება. თუმცა, ჯერ ამაზე ლაპარაკი ადრეა, რადგან მთავარი მატჩები წინ გველის. კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ჩვენი მთავარი მიზანი თითოეულ შეხვედრაში პროგრესია. ველოდი თუ არა ასეთ შედეგებს? - დიახ, თავიდანვე მჯეროდა შეგირდების და ისიც ვიცი, რომ მათ ბევრად უფრო მეტიც შეუძლიათ".*

## გასპერინის სატრანსფერო მიზნები: გაშვება და არა შევსება...

"პალერმომ" სეზონი ძალიან ცუდად დაიწყო, რასაც სამწვრთნელო ცვლილება მოჰყვა და გუნდს **ჯამპიერო გასპერინი** ჩაუდგა სათავეში. გამოცდილმა სპეციალისტმა გარკვეულ ცვლილებებს მიმართა, შემადგენლობაც გადაახალისა და ტაქტიკა-სტრატეგიაშიც შეიტანა კორექტივები, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა. გასულ ტურში, სიცილიური გუნდი "რომას' ესტუმრა და გამანადგურებელი მარცხი იწვნია, 1:4. მოკლედ, "პალერმოს" საქმე ცუდადაა და მწვრთნელი გამოსავალს ეძებს. ასეთ დროს, როგორც წესი, შემადგენლობის გაძლიერებაზე ფიქრობენ და მთელ იმედებს სატრანსფერო ფანჯარაზე ამყარებენ, მაგრამ გასპერინის შემთხვევაში, ყველაფერი სხვაგვარადაა. ზამთრის სატრანსფერო პერიოდს ჯამპიეროც ელოდება, მაგრამ სრულიად სხვა მიზეზით:

*"ძალიან ბევრ შეცდომას ვუშვებთ და შედეგიც შესაბამისი გვაქვს. რომში სეზონის უსუსტესი შეხვედრა ჩავატარეთ და არ მიკვირს, რომ ასეთი ანგარიშით დავმარცხდით. ზამთრის სატრანსფერო ფანჯარა უნდა გამოვიყენოთ და გუნდიდან ისეთი ფეხბურთელები გავუშვათ, რომლებიც პატივს არ სცემენ "პალერმოს" მაისურს. გუნდში ისედაც ბევრი ფეხბურთელია, რაც მხოლოდ ხელს გვიშლის მუშაობაში. უნდა გამოვკვეთოთ ბირთვი, რომლებიც იგრძნობენ მათზე დაკისრებულ პასუხისმგებლობას და იმის შიში არ ექნებათ, მოხვდებიან თუ არა საერთოდ სამატჩო განაცხადში. ჩვენ ის ბირთვი გვჭირდება, რომელსაც დავეყრდნობით".*

**ლაშა წიკლაური**

## სულშერი იუნაიტედზე ფიქრობს

"მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილი თავდამსხმელის, 39 წლის **ოლე გუნარ სულშერის** თქმით, ის ოცნებობს, რომ ოდესმე გუნდს, სადაც კარიერის საუკეთესო წლები გაატარა, მთავარი მწვრთნელის რანგში დაუბრუნდეს. *"დიახ, "იუნაიტედზე" ვოცნებობ, მაგრამ იქამდე ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა მივიდე. ამისთვის ჯერ პრემიერლიგაში ძალების მოსინჯვაა აუცილებელი. ნამდვილად არ ვარ ისეთი გულუბრყვილო, მეგონოს, რომ ამ საქმისთვის ხვალ და ზეგ ვიქნები მზად, მაგრამ ხმამაღლა ამაზე იმიტომ ავლაპარაკდი, რომ ისევე როგორც სხვები, მეც მაქვს მიზანი, რომლისკენაც მივილტვი. ამ ეტაპზე სამწვრთნელო კარიერის მხოლოდ საწყის ეტაპზე ვარ, საქმეს მხოლოდ მეორე წელია შევუდექი და შესაბამისად, ინგლისში წასვლას არ ვჩქარობ,"* - აცხადებს ნორვეგიელი, ვისაც "იუნაიტედში" 6-ჯერ აქვს მოგებული პრემიერლიგა, 3-ჯერ ასოციაციის თასი და რაც მთავარია, ჩემპიონთა ლიგა. აღარ შეგახსენებთ, რომ 1999 წლის 26 მაისს ბარსელონის "კამპ ნოუზე" სწორედ მან გაიტანა გადამწყვეტი გოლი **ოლივერ კანის** ბადეში.

**ლევან ბიბილაშვილი**

### ინგლისი. პრემიერლიგა. X ტური

**ვესტ ბრომვ.-საუთჰემპტონი 2:0**

**ვესტ ბრომვიჩი (4-4-2):** ფოსტერი – რიჯუელი, ოლსონი, მაკოლი, ჯონსი – გერა, ოდემვინგე (83. ფორჩუნი), იაკობი, მულუმბუ – ლონგი (71. ლუკაკუ), დორანსი (65. ბრანტი)

**საუთჰემპტონი (4-4-2):** გასანიგა – კლაინი, ფონტე, იოშიდა, ფოქსი (82. შოუ) – შნაიდერლინი, დევისი, რამირესი (76. დო პრადო), ლალანა – როდრიგესი (76. მაუკა), ლამბერტი

**გოლები:** 1:0 ოდემვინგე (36), 2:0 ოდემვინგე (60)

**გაფრთხილება:** ჯონსი

**კარში დარტყმა:** 10-7 (5-4) **კუთხური:** 3-3 **თამაშგარე:** 3-3 **ჯარიმა:** 18-11 **ბურთის ფლობა:** 52%-48%

**მაყურებელი:**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუნაიტედი | 10 | 8 | 0 | 2 | 26-14 | 24 |
| 2. ჩელსი | 10 | 7 | 2 | 1 | 22-10 | 23 |
| 3. სიტი | 10 | 6 | 4 | 0 | 18-9 | 22 |
| 4. ევერტონი | 10 | 4 | 5 | 1 | 19-13 | 17 |
| 5. ვესტ ბრომვიჩი | 10 | 5 | 2 | 3 | 15-11 | 17 |
| 6. ტოტენჰემი | 10 | 5 | 2 | 3 | 17-14 | 17 |
| 7. არსენალი | 10 | 4 | 3 | 3 | 15-8 | 15 |
| 8. ფულჰემი | 10 | 4 | 3 | 3 | 21-16 | 15 |
| 9. ვესტ ჰემი | 10 | 4 | 3 | 3 | 13-11 | 15 |
| 10. ნიუკასლი | 10 | 3 | 5 | 2 | 12-14 | 14 |
| 11. სუონსი | 10 | 3 | 3 | 4 | 15-14 | 12 |
| 12. ლივერპული | 10 | 2 | 5 | 3 | 13-15 | 11 |
| 13. უიგანი | 10 | 3 | 2 | 5 | 11-16 | 11 |
| 14. ნორვიჩი | 10 | 2 | 4 | 4 | 8-18 | 10 |
| 15. სტოკ სიტი | 10 | 1 | 6 | 3 | 8-10 | 9 |
| 16. სანდერლენდი | 9 | 1 | 6 | 2 | 6-9 | 9 |
| 17. ასტონ ვილა | 10 | 2 | 3 | 5 | 8-14 | 9 |
| 18. რედინგი | 9 | 0 | 5 | 4 | 12-18 | 5 |
| 19. ქუინზ პარკი | 10 | 0 | 4 | 6 | 8-19 | 4 |
| 20. საუთჰემპტონი | 10 | 1 | 1 | 8 | 14-28 | 4 |

### ესპანეთი. ლა ლიგა. X ტური

**ხეტაფე-ბეტისი 2:4**

**ხეტაფე (4-2-3-1):** მოია - ვალერა, ალექსისი, რაფა, მ. ტორესი - ხ. ტორესი, ხ. როდრიგესი (66. კოლუნგა) - პედრო ლეონი, ბარადა, დ. კასტრო - ა. ვასკესი (64. ალკასერი).

**ბეტისი (4-2-3-1):** ადრიანი - ნელსონი, პაულაუ, პერკისი, ა. მარტინესი - ბენიატი (74. რუბენ გარსია), კანიასი - კემპბელი (56. მოლინა), სევილია, ხუან კარლოსი (78. ნაჩო) - რ. კასტრო.

**გოლები:** 0:1 მოლინა (59), 1:1 დ. კასტრო (68), 1:2 ბენიატი (74), 1:3 რუბენ კასტრო (76), 2:3 პედრო ლეონი (89), 2:4 სევილია (92)

**გაფრთხილება:** რაფა, ბარადა - ბენიატი, კანიასი, ადრიანი, რ. კასტრო

**კუთხური:** 11-3; **ჯარიმა:** 9-9; **თამაშგარე:** 6-4; **კარში დარტყმა:** 14-7 (3-5); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 9 500

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 10 | 9 | 1 | 0 | 32-12 | 28 |
| 2. ატლეტიკო | 10 | 8 | 1 | 1 | 22-11 | 25 |
| 3. რეალი | 10 | 6 | 2 | 2 | 25-7 | 20 |
| 4. ბეტისი | 10 | 6 | 1 | 3 | 17-15 | 19 |
| 5. მალაგა | 10 | 5 | 3 | 2 | 14-7 | 18 |
| 6. ლევანტე | 10 | 5 | 2 | 3 | 12-14 | 17 |
| 7. სევილია | 10 | 4 | 3 | 3 | 12-11 | 15 |
| 8. ვალიადოლიდი | 10 | 4 | 2 | 4 | 15-11 | 14 |
| 9. ვალენსია | 10 | 4 | 2 | 4 | 13-12 | 14 |
| 10. ხეტაფე | 19 | 4 | 1 | 5 | 12-16 | 13 |
| 11. ვალეკანო | 10 | 4 | 1 | 5 | 13-23 | 13 |
| 12. სარაგოსა | 10 | 4 | 0 | 6 | 9-15 | 12 |
| 13. მალიორკა | 10 | 3 | 2 | 5 | 10-15 | 11 |
| 14. ბილბაო | 10 | 3 | 2 | 5 | 14-20 | 11 |
| 15. სელტა | 10 | 3 | 1 | 6 | 11-14 | 10 |
| 16. დეპორტივო | 10 | 2 | 4 | 4 | 15-20 | 10 |
| 17. სოსიედადი | 10 | 3 | 1 | 6 | 10-15 | 10 |
| 18. ესპანიოლი | 10 | 2 | 3 | 5 | 12-15 | 9 |
| 19. გრანადა | 10 | 2 | 2 | 6 | 9-17 | 8 |
| 20. ოსასუნა | 10 | 1 | 2 | 7 | 8-15 | 5 |

## ქართული სპორტი

### ჭადრაკი

## ადგილები მეტწილად კოეფიციენტმა გაანაწილა

თბილისის ჭადრაკის სასახლეში დასრულდა საქართველოს პირველი დიდოსტატის - **ბუხუტი გურგენიძის** მესამე მემორიალი, რომელშიც 8-14 წლის გოგობიჭები მონაწილეობდნენ. შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით შვიდ ტურად გაიმართა.

**8-წლიან** ბიჭებში ქულათა მაქსიმუმით პირველი ადგილი **საბა ლომსაძემ** დაიკავა. მას ქულით ჩამორჩა **დავით გაბუნია.** 5,5 ქულით მესამე იყო **თევდორე ნადარეიშვილი.**

**10-წლიან** გოგონებში 6,5-6,5 ქულა მოაგროვეს **თამარ ლაგაზაურმა** და **ანასტასია სიდამონიძემ.** უკეთესი კოეფიციენტით პირველი პრიზი ლაგაზაურს ერგო. 4,5-4,5 ქულით მესამე-მეოთხე ადგილებზე, შესაბამისად, **თამარ იმერლიშვილი** და **ტატა პაპაშვილი** გავიდნენ. ბიჭებში ყველას **ლუკა ობოლაძემ** აჯობა, რომელმაც შვიდ ტურში მხოლოდ ნახევარი ქულა დაკარგა. მეორე პრიზი 6 ქულით **მარლენ გუნიამ** დაიმსახურა, 5-5 ქულით მესამე-მეოთხე ადგილები **მათე თოდაშვილმა** და **შოთა ხოდაშნელმა** გაინაწილეს.

**12-წლიან** გოგონებში გამარჯვებულიც კოეფიციენტმა გამოავლინა. აქ 6 ქულით პირველობა **მარიამ ჯანიაშვილს** ერგო. ამდენივე ქულით, მაგრამ უარესი კოეფიციენტით მეორე იყო **სალომე ხუცურაული.** 5,5 ქულით მესამე ადგილი **მარიამ წამალაშვილმა** დაიკავა. ბიჭებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. **ლუკა შამუგია** (6), 2. **ნიკოლოზ ცომაია** (5,5), 3. **კოკა ბუკია** (5).

**14-წლიან** გოგონებში **დალი ნანეიშვილი** რეიტინგით მეხუთე იყო, მაგრამ იყოჩაღა და შვიდი შესაძლებლიდან 6 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. **ანა ჩხაიძემ, მაია მუმლაძემ, მარიამ ჯავახიშვილმა** 5-5 ქულას მოუყარეს თავი და კოეფიციენტით მეორე-მეოთხე ადგილებიც ამ თანამიმდევრობით განაწილდა. ბიჭებში 5,5 ქულით მთავარი პრიზი **რევაზ ტეტუნაშვილმა** დაისაკუთრა. ამდენივე ქულით, მაგრამ უარესი კოეფიციენტით მეორე ადგილი **საბა ამირიძეს** ხვდა. 5 ქულით მესამე ადგილი **თორნიკე არჯევანიძემ** დაიკავა.

ასპარეზობის მონაწილე მოჭადრაკეთა შედეგებით გამოვლინდა საუკეთესო მწვრთნელთა სამეული. პირველი ადგილი საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს, საჭადრაკო კომპოზიციებში მრავალგზის მსოფლიოს ჩემპიონსა და პრიზიორ **დავით გურგენიძეს** ერგო. მეორე-მესამე ადგილებზე საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი **ელგუჯა ფხაკაძე** და **მზია წერეთელი** გავიდნენ.


დავით გურგენიძე შეგირდებთან - რევაზ ტეტუნაშვილსა და თამარ ლაგაზაურთან ერთად

**ვაჟა დანელია**

### წყალბურთი

## სახელოვან მწვრთნელთა მემორიალი

„ლაგუნა ვერე" ორი დღის განმავლობაში მასპინძლობდა 1996-1997 და 1998-1999 წლებში დაბადებულ მინიწყალბურთელთა ტურნირს, რომელიც სახელოვანი მწვრთნელების - **ვლადიმერ ბარნაბიშვილისა** და **როსტომ ჩაჩავას** ხსოვნას მიეძღვნა. ცნობილი ქართველი წყალბურთელების - **ვლადიმერ გოიაშვილისა** და **ზურაბ ჩაჩავას** ინიციატივით ეს შეჯიბრება 2009 წლიდან მეოთხედ გაიმართა. მთავარი პრიზებისთვის ორივე ასაკში ექვს-ექვსი გუნდი იბრძოდა. მოასპარეზენი სამ-სამგუნდიან ორ-ორ ჯგუფში გადანაწილდნენ. წრიული შეხვედრების შემდეგ 13-14-წლიანთა ფინალში „ივერიამ" იყოჩაღა - 2:0 (4:0, 4:2) დაამარცხა „ლიგამუსი" და პირველი ადგილი დაიკავა. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში „თბილისმა" ასეთივე ანგარიშით „ფესვებს" აჯობა.

1996-1997 წლებში დაბადებულთა გადამწყვეტ პაექრობაშიც „ივერია" და „ლიგამუსი" დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. გამარჯვება აქაც „ივერიას" ერგო - 2:0. მესამე ადგილი „იმედის" მძლეველმა (2:0) „თბილისმა" დაიკავა.

- ვლადიმერ ბარნაბიშვილი და როსტომ ჩაჩავა თავიანთი ღვაწლით იმსახურებენ, რომ მათი სახელობის ტურნირები ტრადიციულად ტარდებოდეს, - გვითხრა ვლადიმერ გოიაშვილმა. - ომგადახდილი ბარბანიშვილი ალნაგობითა და მწვრთნელობითაც გამორჩეული პიროვნება იყო თანამედროვეებში. უაღრესად განათლებულ მოძღვარს შეგირდები მონუსხულები უსმენდნენ ყოველთვის. ბევრ ახალგაზრდას გაუკაფა გზა დიდი სპორტისკენ. ქართული წყალბურთის განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანა როსტომ ჩაჩავამ. მოღვაწეობა მან თბილისში დაიწყო. მერე მოსკოვში გადავიდა სამუშაოდ. სამშობლოს რომ დასჭირდა, ისევ საქართველოს დაუბრუნდა. 1956 წელს ჩვენმა გუნდმა, რომლის შემადგენლობაში მეც გამოვდიოდი, საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე მეორე ადგილი დაიკავა.



ორივე სახელოვანმა მწვრთნელმა მოღვაწეობის უდიდესი დრო მოზარდებთან მუშაობას შეალია, ამიტომაც შემთხვევითი არ არის, რომ ოთხი წელიწადია, ბარნაბიშვილისა და ჩაჩავას მემორიალებს სწორედ ჭაბუკთა გუნდებისთვის ვატარებთ. მინიწყალბურთი მოზარდებს აუზში სწრაფ აზროვნებას, ლამაზი, ეფექტური კომბინაციებით თამაშს აჩვევს და ოსტატობის ამაღლებაში ეხმარება, ამიტომ მინიწყალბურთს მეტი ყურადღება უნდა მიექცეს, სასურველი იქნებოდა უცხოური გუნდების მოწვევაც. დავძენ იმასაც, რომ „ლაგუნა ვერეს" დირექციამ ტურნირის მონაწილეებს აუზი უსასყიდლოდ დაუთმო.

„ჩემს ძმას რთული ხასიათი ჰქონდა, მაგრამ შეუდარებელი მწვრთნელი იყო. მისი ხელმძღვანელობით ქართველებმა ორჯერ მოსწავლეთა საკავშირო პირველობა მოვიგეთ. ასევე პრინციპული პიროვნება გახლდათ ვლადიმერ ბარნაბიშვილი. ორივენი ახალგაზრდა წყალბურთელებთან მუშაობას არჩევდნენ, რადგან ნედლი მასალისგან ვარსკვლავების გამოძერწვა უყვარდათ. ამიტომაც ვატარებთ მათი ხსოვნის ტურნირებს სწორედ მოზარდთა შორის, თანაც მინიწყალბურთში. აქ მეტი იმპროვიზაციისა და ფანტაზიის გამოვლენის საშუალებაა", - თქვა ზურაბ ჩაჩავამ.

**ლერი გოგოლაძე,** რომის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი: „ლაგუნა ვერეს" აუზში ორი დღის განმავლობაში მოხიბლული ვუყურებდი 13-16 წლის წყალბურთელთა შეხვედრებს. სასიამოვნო იყო მათი აზარტული თამაშების ხილვა. საგულისხმოა ისიც, რომ წინა წლებისგან განსხვავებით, ბიჭები ნაკლებ შეცდომებს უშვებდნენ. მომეწონა ის ატმოსფეროც, რომელსაც ნორჩი გულშემატკივრები ქმნიდნენ ომახიანი შეძახილებით, იქმნებოდა დაძაბული სათამაშო სიტუაციები, რომლებიც წყალბურთელებზე ეფექტურად მოქმედებდა. ხშირად უნდა ჩავატაროთ ასეთი შეჯიბრებები, განსაკუთრებით მოზარდებისთვის, რადგან ამ ასაკში მოკლე წყალზე თამაში მათთვის ძალიან სასარგებლოა: რაც უფრო პატარაა მოედანი, მით უფრო სწრაფად ხდება მისი აღქმა, ხშირად იცვლება სათამაშო სიტუაციები, მეტოქესთან მჭიდრო ბრძოლისას უნდა მიიღო ელვისებური გადაწყვეტილება, მოულოდნელად და ზუსტად დაარტყა კარში. ყოველივე ეს კი სწრაფი აზროვნების განვითარებას უწყობს ხელს. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ საიმისოდ, რომ მოზარდებისთვის ხშირად მოვაწყოთ შეჯიბრებები, რადგან პაექრობებისას ექსტრემალურ სიტუაციებში უფრო ნათლად ვლინდება სპორტსმენის ნიჭიერება და სწრაფი აზროვნების უნარი, ვარჯიშისას დაშვებული ხარვეზები. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ სახელოვან ადამიანთა სახელებს არ ვივიწყებთ. როსტომ ჩაჩავა ჩემი მწვრთნელი გახლდათ. ქართულ წყალბურთში მას შემდეგ მოვიდა წარმატებები, რაც თბილისის „დინამოს" ბატონი როსტომი ჩაუდგა სათავეში. ის მეტწილად ახალგაზრდებს ენდობოდა, ტალანტის განჭვრეტის უნიკალური უნარი ჰქონდა. დიდი მწვრთნელი იყო ვლადიმერ ბარნაბიშვილიც, რომელიც უფრო ბავშვებთან მუშაობდა და იქიდან უკაფავდა გზას მოზარდებს დიდი სპორტისკენ... დიდი მადლობა ყველას, ვინც „ლაგუნა ვერეზე" მოზარდებს ორდღიანი ზეიმი აჩუქა.

**ვაჟა დანელია**

### ჩოგბურთი

## ანას გარდა, ყველა ჩამოქვეითდა

წინა კვირის შედეგების გათვალისწინებით ჩოგბურთელ ქალთა მსოფლიო ასოციაციამ (WTA) განახლებული რეიტინგი გამოაქვეყნა. **ანა ტატიშვილს** 1140 ქულით ადგილი არ შეუცვლია — ისევ 51-ე საფეხურზეა. დანარჩენ ქართველთა მაჩვენებლები კი ასეთია: 290 (286). **სოფიო შაფათავა** (171 ქულა), 400 (395). **მაკა ჩახნაშვილი** (93), 405 (399). **სოფიო ქვაცაბაია** (93), 477 (465). **ეკატერინე გორგოძე** (68), 542 (541). **ოქსანა კალაშნიკოვა** (52), 665 (660). **ნათია გეგია** (33). რეიტინგში კვლავ გამოჩნდა ანი გოგვაძე, რომელსაც 3 ქულით 1158-ე საფეხური უკავია.

ამ კვირას შეჯიბრებებიდან მაკა ჩახნაშვილმა გუშინ ბელარუსის დედაქალაქ მინსკში 25-ათასიანი ტურნირის ძირითადი ბადის სტარტზე მე-4 ნომრად განთესილ მარგარიტა გასპარიანთან (რუსეთი) წააგო - 4:6, 2:6. ინდურ პუნეში (საპრიზო ფონდი 125.000 დოლარი) მოსინჯავენ ძალებს სოფიო შაფათავა და ოქსანა კალაშნიკოვა. ძირითადი ბადის პირველ წრეში შაფათავა ანდრეა პეტკოვიჩს (გერმანია) შეხვდება. ორიოდე წლის წინათ ალემანი ჩოგბურთელი მსოფლიო რეიტინგით მე-9 იყო, ამჟამად 143-ე ადგილზეა. კალაშნიკოვა ავსტრალიელ მონიკა ადამჩიკს (187-ე) დაუპირისპირდება.

**ვაჟა დანელია**

### განცხადება

2012 წლის 11 დეკემბერს 14 სთ-ზე საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სხდომათა დარბაზში ჩატარდება საქართველოს ველოსპორტის ეროვნული ფედერაციის საარჩევნო-საანგარიშო ყრილობა.

ფედერაცია

სასჭიდო

# ფერსელიძის დისკვალიფიკაცია

**ქართულ სპორტში მორიგი უსიამოვნო ამბავია, მორიგი დისკვალიფიკაცია - ამჯერად ჭიდაობა 6 თვით აუკრძალეს საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრების ლიდერს მძიმე წონაში გურამ ფერსელიძეს, ხოლო ჩვენს ჭიდაობის ფედერაციას ჯარიმად 12 ათასი შვეიცარიული ფრანკი დაეკისრა.**

დისკვალიფიკაციის მიზეზი ასაკის გადაკეთება და ამის შედეგად სპორტსმენის კარიერაში თავჩენილი ორი პასპორტია. მოგეხსენებათ, ასაკის გადაკეთების მანკიერ პროცესს საქართველომ რამდენიმე წლის წინ ბრძოლა გამოუცხადა, რის გამოც სპორტსმენებს პასპორტების შეცვლის ნება დართეს. აი, სწორედ ამან დალუპა ფერსელიძე, რადგან ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის (FILA) ბაზაში მის გრაფაში ორი - ძველი და ახალი პასპორტის მონაცემები აღმოჩნდა, რამაც, ბუნებრივია, უმალ „იყვირა". ფერსელიძეს 1994 წელს ბულგარულ ალბენაში ჩატარებული ევროპის პირველობა „ამოუქექეს", სადაც სწორედ ძველი, ასაკგადაკეთებული პასპორტით იასპარეზა და VIII ადგილზე გავიდა. ამ დარღვევისთვის მას გააუქმეს ის შედეგი (ვითომ მედალი ჩამოართვეს), რასაც ზემოხსენებული 6-თვიანი დისკვალიფიკაცია და ფინანსური სასჯელი მოჰყვა. ამ ჯარიმის გადახდის მექანიზმი ასეთია - თუ მას ქვეყანა პირველ დიდ ტურნირამდე არ გადაიხდის, იმ შეჯიბრებაზე მის გუნდს არ დაუშვებენ. ბედის ირონიით, ასეთი პირველი ასპარეზობა გაისად 19-24 მარტს თბილისში გასამართი ევროპის ჩემპიონატია და ვიქონიოთ იმედი, ის უჩვენოდ არ ჩაივლის. თუმცა თავად თანხა პრობლემად კი რჩება - ჩვენს ფედერაციას ამდენი ფული არ გააჩნია და საკითხავია, ვინ გადაიხდის მას? არადა, გადახდის აუცილებლობაზე ზემოთ მოგახსენეთ. საქართველოს ჭიდაობის ფედერაციაში იმედოვნებენ, რომ გადახდის შემთხვევაში ფერსელიძეს დისკვალიფიკაციას შეუმცირებენ და ევროპის პირველობაზე გამოსვლის ნებასაც დართავენ, თორემ ეს ვადა აპრილში გაუდის და კონტინენტის ჩემპიონატში ვერ იჭიდავებს.

**ჯარიმის გადახდის მექანიზმი ასეთია - თუ მას ქვეყანა პირველ დიდ ტურნირამდე არ გადაიხდის, იმ შეჯიბრებაზე მის გუნდს არ დაუშვებენ.**

მოკლედ, ვითარება არცთუ სახარბიელოა, მაგრამ ამის უკან კიდევ უფრო საგანგაშო ტენდენციები იმალება. მაგალითად, ასე ხომ ნებისმიერ ჩვენს სპორტსმენს შეიძლება მიადგნენ და ყველა მედალი ჩამოართვან დისკვალიფიკაციის თანხლებით? არის რაიმე მექანიზმი მსგავსი სცენარისგან თავდასაცავად? როგორც ჭიდაობის ფედერაციაში გვითხრეს, რამდენიმე ფალავანზე უკვე იყო მსგავსი მცდელობა, თუმცა საქმე სასჯელამდე არ მისულა, მაგრამ სამომავლოდ სადაა გარანტია? თავის დროზე პასპორტი ხომ ლამის ყველამ შეცვალა!

უცნაურია - ჩვენ მანკიერებას, გაყალბებას, უკანონობას ვებრძვით და ამისთვის რატომ უნდა დავისაჯოთ? პირიქით რომ გაგვეკეთებინა ანუ რეალური ასაკი გაგვეყალბებინა, კიდევ მესმის დასჯა, მაგრამ ჩვენ ხომ უკანონობა გამოვასწორეთ! ეს ნამდვილი ანომალიაა იმის გათვალისწინებით, რომ ლამის მთელი მსოფლიო გადაკეთებული ასაკით ჭიდაობს და იმათ არავინ სჯის, ჩვენ კი სამართლიანობისთვის დაგვაჯარიმეს!

ისიც უცნაურია, FILA-ს ახლა რომ გაახსენდა ფერსელიძის ძველი პასპორტი, როცა ის რამდენიმე წელიწადია, ახალი პასპორტით ჭიდაობს. საინტერესოა, ხომ არაა ეს ფულის შოვნის ჩვეულებრივი შანტაჟის მეთოდი? დაგვეთანხმებით, 12 000 შვეიცარიული ფრანკი არაა ცოტა თანხა და FILA მის საშოვნელად რატომ იტყვის უარს ასეთ მეთოდზე?

როგორც ზემოთ გითხარით, ჩვენ კანონიერების დაცვისთვის ვისჯებით, როცა სხვებს იმავე სახის უკანონობისთვის არავინ ეხება. აქ აუცილებლად ჩნდება ერთი კითხვა, რაც კულისებში კარგა ხანია გაისმის - რატომ ვისჯებით მაინცდამაინც ჩვენ? ეგებ ვინმე შემოგვედავოს, რა ვიცით, რომ სხვებს არ სჯიან და იქნებ უცხოელებსაც მისცეს დისკვალიფიკაციაო. ასეთი ინფორმაცია არსად გახმაურებულა და გვეეჭვება, პრეცედენტი არსებობდეს, რადგან საქართველოს გარდა არავის მოუთხოვია თავისი სპორტსმენებისთვის გაყალბებული პასპორტების შეცვლა. აქედან გამომდინარე, FILA-ს ბაზაში არც პასპორტთა ზემოხსენებული სხვაობა აღმოჩნდებოდა, უამისოდ კი, არა გვგონია, FILA-ს უცხოელთა რეალური ასაკის გამოკვლევა დაეწყო. არადა, ვიმეორებთ - იმავე FILA-ში თუ სხვა საერთაშორისო ფედერაციებში ყველამ იცის, რომ ასაკს იკეთებენ, მაგრამ ეს იმდენად ფართოდ გავრცელებული მოვლენაა, ვერ ებრძვიან. არადა, მის არსებობას ადასტურებდნენ, მაგალითად, თბილისში ევროპის ახალგაზრდულ პირველობაზე ჩამოსული FILA-ს დელეგატები; ამ თემაზე უცხოელთა აღშფოთება პირადად მომისმენია ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე... 2009 წელს თბილისში გამართულ ევროპის ახალგაზრდულ პირველობაზე მძიმე წონის ფინალისტთა დანახვაზე თურმე FILA-ს ბიუროს წევრმა, სახელოვანი ივან იარიგინის მეუღლე **ნატალია იარიგინამ** თავისი ქვეყნის - რუსეთის წარმომადგენელ **ალან ხუგაევის** დანახვაზე თავი ვერ შეიკავა და ჩაილაპარაკა, ეს რაა - მამისა და შვილის შეხვედრააო, იმდენად უფროსი ჩანდა ის **გიორგი საკანდელიძესთან** შედარებით. სამწუხაროდ, საქმე ასეთი აღშფოთების იქით არ მიდის, თუმცა პრობლემის აქტუალურობას ისიც ადასტურებს, რომ სპორტის მმართველმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა რეალური ასაკის დასადგენად სისხლის ანალიზები შემოიღეს. სამწუხაროდ, ეს ძვირადღირებული პროცედურაა და ჯერ ფართოდ ვერ მოიკიდა ფეხი, თუმცა გარკვეულ შეჯიბრებებში ტარდება.

დამაინც - დავუბრუნდეთ ისევ ზემოხსენებულ კითხვას: რატომ ისჯებიან მაინცდამაინც ქართველი სპორტსმენები? იქნებ ჭორაობა გამოგვდის, მაგრამ უკვე წლებია, ისევ და ისევ კულისებში იმაზეც ლაპარაკობენ, რომ ჩვენებს საერთაშორისო ფედერაციებში გვარიანი ვალები დაუგროვდათ და ამიტომ გადაგვეკიდნენო. საერთაშორისო ფედერაციების ნაწილი და უპირველესად FILA ქარვასლად რომ გადაიქცა, სადაც ლამის ყველა მედალი წინასწარ იყიდება, ჩვენც არაერთხელ დაგვიწერია. როგორც ამბობენ, იმ გაჭირვების წლებში ამ ვაჭრობაში ჩაბმას ჩვენებიც ცდილობდნენ, მაგრამ მაშინდელი ქრონიკული უფულობის გამო „პოსლეზე" ვაჭრობდნენ, რის გამოც ვალები დაუგროვდათ. სხვათა შორის, როცა საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი **გოჩა ძასოხოვი** იყო, მას ბლომად საჩუქარი (ფულზე ვერაფერს გეტყვით - ლაპარაკია მხოლოდ ნივთებზე) ჩაჰქონდა FILA-ში და იმ დროს შედარებით დალაგდა ურთიერთობა ლოზანასთან.




თუმცა შევეშვათ ვარაუდებს და ყველაზე ცუდი ფერსელიძის დისკვალიფიკაციაა. ბოლო წლებში მან მოირჩინა გულთან დაკავშირებული პრობლემები (თურმე მისი დატვირთვა არც შეიძლებოდა, ისე ვარჯიშობდა), ლეიბზე დაბრუნებულმა კი საოცარი პროგრესი გვაჩვენა - ჩინებულად დაამუშავა უკუგდებები და წონაში ერთ-ერთ მრისხანე მეტოქედ იქცა. ლონდონის ოლიმპიადაზე ბრინჯაოსთვისაც იჭიდავა, მაგრამ წონის თურქ ლიდერ რიზა კაიაალპთან დამარცხდა და მეხუთეზე დარჩა. ვიმედოვნებდით, გაისად ის კიდევ უფრო მოუმატებდა, მაგრამ დისკვალიფიკაცია თუ არ შეუმცირეს, ეს უთუოდ დაასვამს დაღს მის კარიერას. ფერსელიძე ვერც 23-25 დეკემბერს დაგეგმილ საქართველოს ჩემპიონატში იჭიდავებს, რადგან დისკვალიფიკაცია შიდა შეჯიბრებებზეც ვრცელდება.

**ისიც უცნაურია, FILA-ს ახლა რომ გაახსენდა ფერსელიძის ძველი პასპორტი, როცა ის რამდენიმე წელიწადია, ახალი პასპორტით ჭიდაობს. საინტერესოა, ხომ არაა ეს ფულის შოვნის ჩვეულებრივი შანტაჟის მეთოდი? დაგვეთანხმებით, 12 000 შვეიცარიული ფრანკი არაა ცოტა თანხა და FILA მის საშოვნელად რატომ იტყვის უარს ასეთ მეთოდზე?**

**ირაკლი თავაძე**

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. ასტანას ტურნირი

# ყაზახური [illegible]

15 ნოემბერს საქართველოს ბერძნულ-რომაულ სტილში მოჭიდავეთა ნაკრები ყაზახურ ასტანაში გაემგზავრება, სადაც 16-19 ნოემბერს „პრეზიდენტის თასი" ტარდება.

ჩვენები ასტანაში ლამის ოპტიმალური შემადგენლობით გამოვლენ - ყოველ შემთხვევაში, ლონდონის ოლიმპიადის რამდენიმე მონაწილეც იჭიდავებს. უპირველესად - ფინალისტი **რევაზ ლაშხი** (60) და ბრინჯაოს მედალოსანი **მანუჩარ ცხადაია**, რომელიც ამჯერად 74 კილოგრამში გამოვა. ამათ გარდა, ყაზახეთში **უჩა შავაძე** (66), **სერგო გოგისვანიძე** (120) და ლონდონის ოლიმპიადის კიდევ სამი მონაწილე - **ზურაბ დათუნაშვილი** (74), **სოსო ჯაბიძე** (96) და **ვლადიმერ გეგეშიძე** (84) იჭიდავებენ. აქვე გეტყვით, რომ ესაა პირველადი განაზრახი, თუმცა არ გამოვრიცხავთ, შემადგენლობაში რამეც ცვლილებები მოხდეს - ვილაცას წონა შეუცვალონ ან ვილაც სულაც შეცვალონ კიდეც. ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ბეგი დარჩია** ეს დღეები ვილნიუსში იყო მწვრთნელთა სემინარზე, ის გუშინ გვიან ღამით დაბრუნდებოდა თბილისში და საბოლოო გადაწყვეტილებასაც ამ დღეებში მიიღებს.

ჩვენი ნაკრებისთვის ესაა პირველი შეჯიბრება ლონდონის ოლიმპიადის შემდეგ - დღემდე მისი მონაწილენი ისვენებდნენ, ახლა კი ლეიბს უბრუნდებიან. არაა გამორიცხული, გეგეშიძე ასტანაში ისევ შეხვდეს ყაზახთა დაღესტნელ **დანიალ გაჯიევს**, სწორედ იმ მეტოქეს, ვისთანაც ლონდონში მსაჯთა დიდი დახმარებით ბრინჯაოსთვის შეხვედრა წააგო.

**ირაკლი თავაძე**

ძიუდო

# ნორჩები ოლიმპიური ჩემპიონების თვალწინ

საქართველოს და იმერეთის ძიუდოს რეგიონული ფედერაციების ორგანიზებით ქუთაისის სპორტის სასახლემ ძიუდოში აკაკი კიბორძალიძის სახელობის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა 1999-2001 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა გუნდებს შორის. აკაკი კიბორძალიძე გასული საუკუნის 80-იან წლებში ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო ძიუდოისტი იყო - მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი, ევროპის ჩემპიონი, საბჭოთა კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული.

ტურნირში იმერეთის, ქუთაისის, თბილისის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, კახეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის გუნდები ერთმანეთს 8 წონით კატეგორიაში დაუპირისპირდნენ. შეჯიბრებას ორი ოლიმპიური ჩემპიონი **დავით ხახალეიშვილი** და **ირაკლი ცირეკიძე** ადევნებდა თვალს, რაც ჭაბუკი ძიუდოისტებისთვის დიდი სტიმული იყო.

რადგანაც ტურნირზე გუნდები (9) კენტად იყვნენ წარმოდგენილი, პირველ ეტაპზე შესარჩევი შეხვედრა გაიმართა, სადაც ერთმანეთს „ქუთაისი" და „კახეთი" დაუპირისპირდნენ. დაძაბულ შეხვედრაში კახელებმა 5:3 იმარჯვეს და შემდეგ ეტაპზე გავიდნენ. მეორე წრეში ასევე დაძაბული გამოდგა შიდა ქართლისა და რაჭა-ლეჩხუმის გუნდების დაპირისპირება, ორივე მხრიდან ოთხ-ოთხმა სპორტსმენმა გაიმარჯვა, მაგრამ წმინდა მოგებებით ნახევარფინალში შიდა ქართლის გუნდი გავიდა. კახეთისა და თბილისის დაპირისპირებაში მართალია, კახელებმა **ოთარ ნალახაშვილმა** (34კგ.) **გიორგი ბახბახაშვილმა** (46კგ.) და **ზაჩანა სარქისაშვილმა** (55კგ.) იპონებით გაიმარჯვეს, მაგრამ დანარჩენი ორთაბრძოლები თბილისელების სასარგებლოდ დასრულდა და გამარჯვებაც მათ დარჩათ - 5:3. დედაქალაქელთაგან განსაკუთრებით **გოგა გოგიშვილისა** (50კგ.) და **ლევან ჭელიძის** (მძიმე) ჭიდაობაა გამოსარჩევი. დარჩენილ ორ შეხვედრაში „იმერეთმა" „მცხეთა მთიანეთს" მოუგო 6:2, „ქვემო ქართლმა" კი „სამეგრელო-ზემო სვანეთს" 7:1 აჯობა. ნახევარფინალური შეხვედრები ასე დამთავრდა: იმერეთი - შიდა ქართლი 5:3, თბილისი - ქვემო ქართლი 5:4. ნახევარფინალში დამარცხებულები მესამე ადგილისთვის დაუპირისპირდნენ ერთმანეთს: ქვემო ქართლი - შიდა ქართლი 5:3. იმერეთი-თბილისის ფინალი თავიდანვე იმერლების უპირატესობით წარიმართა. 34კგ-ში **გოგა ვარდოსანიძემ** მოუგო **გიორგი წამალიძეს**. მომდევნო ორი შეხვედრა ტურნირის მასპინძლებმა იპონით მოიგეს. **გიორგი თუთაშვილმა** (38კგ) **საბა გრიგალაშვილთან** ჩაიწერა გამარჯვება, **გიგა ბახტიძემ** (42კგ) კი **გიგა თეთრაშვილს** „მისალმებაც არ დაამთავრებინა", ისე დასცა იპონზე. სხვათა შორის, თუთაშვილმა და ბახტიძემ წინა შეხვედრებიც იპონით მოიგეს და სპეციალისტების სიმპათიაც დაიმსახურეს. ფინალის ბედი ფაქტობრივად გადაწყვეტილი იყო, რადგანაც იმერლებს მძიმე წონაში თითქმის უკონკურენციო **ამირან წიქორიძე** ჰყავდათ, რომელმაც წინა ორთაბრძოლები „ერთი ამოსუნთქვით" იპონით მოიგო და ფავორიტის სტატუსი ფინალშიც გაამართლა - ლევან ჭელიძეს ნახევარ წუთში წმინდად მოუგო. იქამდე იმერელთაგან 55კგ-ში ალეკო **სულაკაძემაც** იპონით გაიმარჯვა, საბოლოოდ კი შეხვედრა მასპინძლების სასარგებლოდ 6:2 დასრულდა.



ქუთაისის მერიას გამარჯვებულებისთვის და პრიზიორებისთვის საკმაოდ სოლიდური ფულადი პრიზები ჰქონდა დაწესებული. პირველ ადგილზე გასულ იმერეთის გუნდს - 2500, მეორე პრიზიორს (თბილისი) - 1500, მესამეადგილოსანს (ქვემო ქართლი) კი 1000 ლარი გადაეცა.

„ წარმატებული ტურნირი გამოდგა. ვნახეთ, რომ ღირსეული, პერსპექტიული თაობა მოდის. ასეთი ტურნირების მიზანიც მათი გამოვლენა და ოსტატობის ამაღლებაა. ვფიქრობ, აკაკი კიბორძალიძის სახელობის ტურნირი სხვა ასაკობრივ შეჯიბრებებთან ერთად დიდ როლს შეასრულებს მომავალი კადრების მომზადებაში, – აღნიშნა საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა და პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა დავით ხახალეიშვილმა.

**დავით კოხრეიძე**
**ქუთაისიდან**

ველოსპორტი

# დონეს ამაღლებენ...

„თბილისი 2015" ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის მზადების პროგრამით გათვალისწინებული საქართველოს პირველობა ველოსპორტში, ამ დღეებში ჩატარდა თბილისში 1999-2000 წლებში დაბადებულ სპორტსმენთა შორის. მონაწილეობდა თბილისის, ქუთაისის, მცხეთის, ზესტაფონის და ქ. ვანის 35 სპორტსმენი. აღსანიშნავია, რომ შეჯიბრებაში პირველად რამდენიმე წლის შემდეგ, გოგონებმაც იასპარეზეს, რომლებიც ქ. მცხეთას წარმოადგენდნენ.

როგორია სპორტსმენთა მომზადების დონე და რა უნდა გაკეთდეს მის ასამაღლებლად - აი, ამ კითხვებზე უნდა გაეცა პასუხი ასპარეზობას. შეჯიბრება ჩატარდა ორ სახეობაში - ინდივიდუალურ და ჯგუფურ რბოლებში.

წარმატებით გამოვიდნენ მცხეთელი სპორტსმენები. ინდივიდუალური რბოლა **ვანო კვახაძემ** მოიგო, მეორე ასევე მცხეთელი **ბექა ბურაშვილი**, მესამე - თბილისელი **თამაზ წერეთელი**.

ჯგუფურ რბოლაშიც კვარცხლბეკი მთლიანად მცხეთელებს დარჩათ: 1. **ლაშა ამირიძე**, 2. ვანო კვახაძე, 3. ბექა ბურაშვილი.

მისასალმებელია ვანელთა მონაწილეობა, რომლებმაც სულ რამდენიმე თვეში აიმაღლეს ოსტატობა და ღირსეულ მეტოქეობას უწევდნენ კონკურენტებს.

"საქართველოს ველოსიპედისტებს წარმატებით გამოსვლას უგეგმავენ „თბილისი 2015"-ის სტარტებში. ამიტომაცაა, რომ სპორტსმენთა სასწავლო საწვრთნო პროცესის გაუმჯობესებისთვის თითქმის ყველა პირობაა შექმნილი", -გვითხრა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **რუსლან ჯაოშვილმა**.

**თენგიზ თომაშვილი**

ქართველები NBA-ში



# ფაჩულია გამთამაშებლად?

## ატლანტამ ვიცე-ჩემპიონი შეარცხვინა

**ზაზა ფაჩულიას** „ატლანტა ჰოქსმა“ შინ „ჰიუსტონთან“ მარცხის შემდეგ ოკლაჰომა სითიში ითამაშა. ფავორიტი ადგილობრივი „თანდერი“ იყო, რომელიც გასულ სეზონში ვიცე-ჩემპიონი გახდა. ატლანტელებმა მთელი თამაში სტაბილურად ჩაატარეს, ხოლო გადამწყვეტ მომენტში მეტი სიზუსტე გამოიჩინეს და სეზონში პირველი გამარჯვება მოიპოვეს.

ზაზა ფაჩულია მნიშვნელოვან ეპიზოდში მოედანზე იყო, მეტოქეებს ფარქვეშ სივრცეს კარგადაც უზღუდავდა და პასებიც უხვად არიგებდა. გამთამაშებლებს ბურთი „ოკლაჰომას“ ნახევარზე კი გადაჰქონდათ, მაგრამ ბოლო მომენტში პასებს სწორედ ფაჩულია ანაწილებდა, ცენტრობასთან ერთად პლეიმეიქერობაც შეითავსა და თანაგუნდელთა შორის ყველაზე მეტი შედეგიანი გადაცემაც მიითვალა - 6. ეს მისთვის საამსეზონო რეკორდია, თუმცა მეტიც გაუცია: ამა წლის მარტში „ვაშინგტონთან“ შეხვედრაში 7 პასი მიითვალა, რასაც 10 ქულა და ამდენივე მოხსნა მიამატა.

სეზონის მესამე შეხვედრას „ატლანტა“ 7 ნოემბერს „ინდიანას“ წინააღმდეგ გამართავს.

| ოკლაჰომა-ატლანტა | 95:104 |
|---|---|

ზაზა ფაჩულია: 28 წუთი, 6 ქულა (5-დან 3 ორქულიანი), 6 მოხსნა, 6 პასი, 1 ჩაჭრა, 2 შეცდომა, 5 ფოლი.

| | | |
|---|---|---|
| **I პერიოდი** | | |
| 2:49 | ტიმი შეცვალა | 22-16 |
| 2:26 | პასი: 1 (ჰარისი 2ქ) | 25-19 |
| 0:32 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 | 28-22 |
| **II პერიოდი** | | |
| 8:29 | ფოლი: 1 | 36-29 |
| 8:03 | მოხსნა: შეტ-0, დაც-2 | 36-29 |
| 5:41 | მოხსნა: შეტ-1, დაც-2 | 40-33 |
| 5:41 | ორქულიანი: არაზუსტი | 40-33 |
| 5:39 | მოხსნა: შეტ-2, დაც-2 | 40-33 |
| 5:37 | ორქულიანი: 2ქ | 42-33 |
| 5:07 | ტოლივერმა შეცვალა | 43-36 |
| 2:31 | ჰორფორდი შეცვალა | 43-42 |
| 0:24 | ორქულიანი: 4ქ | 47-49 |
| **III პერიოდი** | | |
| 4:03 | ტოლივერი შეცვალა | 64-66 |
| 2:59 | ორქულიანი: 6ქ | 68-68 |
| 1:23 | ჩაჭრა: 1 (კოლისონს აართვა) | 70-70 |
| 1:17 | პასი: 2 (მოროუ 3ქ) | 73-70 |
| 0:38 | ფოლი: 2 | 73-72 |
| 0:21 | პასი: 3 (უილიამსი 2ქ) | 75-74 |
| **IV პერიოდი** | | |
| 11:48 | პასი: 4 (ი. ჯონსონი 2ქ) | 77-74 |
| 11:03 | შეცდომა: 2 | 77-74 |
| 10:52 | მოხსნა: შეტ-2, დაც-3 | 77-74 |
| 8:45 | ორქულიანი: არაზუსტი | 79-79 |
| 6:16 | ფოლი: 3 | 83-81 |
| 6:16 | შეცდომა: 2 | 83-81 |
| 6:05 | ფოლი: 4 | 83-81 |
| 2:25 | პასი: 5 (ჰორფორდი 2ქ) | 97-91 |
| 1:28 | პასი: 6 (სტივენსონი 3ქ) | 100-91 |
| 1:02 | ფოლი: 5 | 100-93 |
| 0:24 | მოხსნა: შეტ-2, დაც-4 | 100-95 |
| 0:20 | ტოლივერმა შეცვალა | 102-95 |

საქართველოს ჩემპიონატი U18



# მაიზერის სარეკორდო გასროლა

| მართვე-მართვე 2 | 53:65 |
|---|---|

13:21, 11:17, 6:16, 23:11

**მართვე:** მირზაშვილი (18ქ), მანაცლიშვილი (10ქ, 8მ), ჩიტიძე (11ქ, 10მ)...

**მართვე 2:** ლომიძე (16ქ, 6პ), გოგნაძე (18ქ, 11მ), ბაღდავაძე (10მ), ოსკოპელი (11ქ), სანაია (7ქ, 11მ)...

| ჰიუნდაი-დინამო | 44:61 |
|---|---|

7:14, 16:12, 8:15, 13:20

**ჰიუნდაი:** სანაძე (12ქ), ზაქრაძე (15ქ, 5ჩ), ბულიავა (3ქ, 9მ), მაჭავარიანი (5ქ, 8მ, 4ჩ)...

**დინამო:** ამირხანაშვილი (20ქ, ლილუაშვილი (13ქ, 12მ, 5პ), ამონაშვილი (9ქ, 21მ)...

| სამედიცინო-ნაკრები 97 | 34:75 |
|---|---|

12:17, 4:24, 7:18, 11:16

**სამედიცინო:** გუგუშვილი (6ქ, 9მ), რაზმაძე (11ქ)...

**ნაკრები 97:** ქვარაია (14ქ, 5პ), ისიანი (13ქ, 14მ, 5დ)...

| შსს აკადემია-მართვე 3 | 125:35 |
|---|---|

40:11, 25:9, 34:5, 26:10

**შსს აკადემია:** გორდულაძე (11ქ, 18პ, 6მ, 7ჩ), შეყილაძე (20ქ, 17მ), კენჭიაშვილი (21ქ), აბაშიძე (15ქ, 18მ), პულუზაშვილი (15ქ, 5დ), ლონდაძე (8ქ, 10მ), გუგეშაშვილი (17ქ, 8მ, 4პ)...

**მართვე 3:** გოგოსაშვილი (7ქ, 5მ), ჯვარშეიშვილი (5ქ, 6მ)...

| აკადემია-აკადემია 2 | 72:56 |
|---|---|

26:11, 14:13, 12:13, 20:19

**აკადემია:** ჯაყელი (10ქ), ცქიტიშვილი (11ქ, 12მ), დარახველიძე (24ქ, 10მ, 6პ)...

**აკადემია 2:** მგალობლიშვილი (7ქ, 5პ), თევდორაშვილი (15ქ), ბერაია (13ქ, 14მ)...

| ქუთაისი-ჰიუნდაი 2 | 95:54 |
|---|---|

35:12, 18:17, 30:8, 12:17

**ქუთაისი:** გამრეკლიძე (32ქ, 22მ, 8პ, 4ჩ), მაცაბერიძე (18ქ, 8მ, 4ჩ), ქარციძე (23ქ, 7მ, 5პ, 5ჩ), ჯიშკარიანი (2ქ, 9მ), ბირკაია (6ქ, 9მ)...

**ჰიუნდაი 2:** მანჩხაშვილი (11ქ), გეთია (13ქ, 5ჩ)...

| რუსთავი 2-მაქაბი | 87:75 |
|---|---|

25:22, 28:16, 17:20, 17:17

**რუსთავი 2:** ჩიჩუა (28ქ, 6პ, 4ჩ), ნიქარიშვილი (4ქ, 9მ), ტაბალუა (26ქ), კორინთელი (7ქ, 8მ)...

**მაქაბი:** ქაჯაია (11ქ, 6პ), სათური (4ქ, 7პ), ხოსიტაშვილი (17ქ, 12მ, 5პ), მ. რევაზაშვილი (41ქ, 24მ, 4პ)...

გასულ კვირას დაიწყო საქართველოს 18-წლამდელთა ჩემპიონატი, რომელშიც 18 გუნდი მონაწილეობს. თუ ანგარიშებს გადავხედავთ, დღესვე შეგვიძლია ლიდერების გამოყოფა, თუმცა აღნიშვნის ღირსია „შსს აკადემიისა“ და „ნაკრები 97-ის“ დამაჯერებელი გამარჯვებები. პირველმა 125 ქულა ჩააგდო, ხოლო ნაკრების წევრებმა მომავალ მედიკოსებს მხოლოდ მხოლოდ 34 ქულა ჩააგდებინეს.

ინდივიდუალურადაც შეიძლება რამდენიმე კალათბურთელის გამორჩევა. მაქაბელმა **მაიზერ რევაზაშვილმა** ტურის რეკორდები დაამყარა - 41 ქულა და 24 მოხსნა მოაგროვა. შეგახსენებთ, რომ მისი ძმები, გიორგი და ლევანი უმაღლესლიგური „სამედიცინოს“ ღირსებას იცავენ. პასებში რეკორდსმენობა **ლევან გორდულაძემ** იკისრა, რომლის ანგარიშზე 18 შედეგიანი გადაცემაა.

ლეგიონის კვირა

# რა პერკინსი, რის გრირი - ცინცაძე!

## გავიხსენოთ გეინსი და რიჩარდსონი

გასულ კვირას **ვიქტორ სანიკიძის** „მონტეპასკიმ“ ევროლიგაზე სეზონის პირველი გამარჯვება მოიპოვა, **ზაზა ფაჩულიამ** NBA-ს ახალი სეზონი ეფექტურად გახსნა, **მანუჩარ მარკოიშვილმა** „რეალის“ წინააღმდეგ ითამაშა. ყველაზე მთავარი მაინც უკრაინული ამბები იყო. რატომ? ამ კითხვაზე პასუხს ქვემოთ წაიკითხავთ.

### უკრაინა

სუპერლიგაში ერთმანეთზე უკეთესი მეტოქეები ჰყავდა **გიორგი ცინცაძის** „ბუდიველნიკს“ - „აზოვმაში“ და „დონეცკი“. პირველში **ლინ გრირი** თამაშობს, მეორეში **დორონ პერკინსი**. როცა საქართველოს ნაკრებისთვის ამერიკელებს არჩევდნენ, ევროლიგაში გამოცდილ კალათბურთელებზე მსჯელობდნენ. მაგალითად, შარშან ფედერაციიდან დორონ პერკინსს დაუკავშირდნენ, მაგრამ უარი მიიღეს. პერკინსზე არანაკლებ გამოცდილია გრირი. მაგრამ, იცით, რა ბედი აწია მათ გიორგი ცინცაძემ? საშუალება გვქონდა ორივე მატჩისთვის მიგვედევნებინა თვალი. გიორგი (აუცილებლად გადახედეთ მის მონაგარს) მათზე სწრაფადაც გამოიყურებოდა, მათზე გამოცდილიც ჩანდა და კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ საქართველოს ნაკრებში იგი პირველი გამთამაშებელია.

ცინცაძის „ბუდიველნიკმა“ „დონეცკი“ 21 ქულის სხვაობით დაამარცხა, ხოლო „აზოვმაში“ - 20 ქულით.

### იტალია

აპენინებზე ტურის ცენტრალური მატჩი გუშინ გვიან ღამით დასრულდა. „მონტეპასკისა“ და „მილანის“ დაპირისპირების შედეგსა და ვიქტორ სანიკიძის მონაგარს ცხრილში წაიკითხავთ. აქ ერთს დავამატებთ. პარასკევს ვიქტორმა ევროლიგაზე „შალონთან“ მატჩი ენერგიულად ჩაატარა, თუმცა მეოთხე პერიოდში მოედანზე არ გამოჩენილა. იგი თამაშის შემდეგ ცოტას კოჭლობდა. იმედია, კოჭის ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდება.

მანუჩარ მარკოიშვილის „კანტუ“ ევროლიგაზე მადრიდის „რეალის“ წინააღმდეგობის გატეხვას ეცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მწვრთნელმა არც მანუჩარი ათამაშა მეოთხე პერიოდში, რაც იმის ნიშანი უნდა ყოფილიყო, რომ ნაგებას ნაადრევად შეეგუა და მანუ „აველინოსთან“ მატჩისთვის შემოინახა.

იტალიის ჩემპიონატში აველინოელები ლომბარდიელებმა 79:67 დაამარცხეს. მარკოიშვილმა 4-დან 2 სამქულიანი ჩააგდო, ორქულიანი კი ბევრი აუცდა - 6-დან 1 გამოიყენა. 5 პასი მანუს საამსეზონო რეკორდია. იტალიაში მისი საუკეთესო მაჩვენებელი კი 6 შედეგიანი გადაცემაა - 2010 წელს „მონტეპასკისთან“ შეასრულა.

საინტერესოა, რომ „აველინოში“ ითამაშა **ჯერემი რიჩარდსონმა**, რომელიც გასულ სეზონში თბილისის „არმიას“ ღირსებას იცავდა. ჯერემიმ მატჩი 14 ქულითა და 6 მოხსნით დაასრულა. სხვათა შორის, იგი იტალიის ჩემპიონატის ბომბარდირთა დავაში მეხუთეა, საშუალოდ 16.3 ქულას აგროვებს.

გუშინვე გავრცელდა ინფორმაცია, რომლის თანახმად „ნიუ ჯერსისა“ და „არმიას“ ყოფილმა კალათბურთელმა **სანდიატა გეინსმა** შესაძლოა მარკოიშვილის გვერდით ითამაშოს. პლეიმეიქერი **ჯერი სმითის** ტრავმის გამო კანტუელები გამოცდილი გამთამაშებლის აყვანას აპირებენ.

### ისრაელი

**გიორგი შერმადინს** ჰაიფას „მაქაბისთან“ მატჩში ორმაგ დუბლამდე ორი მოხსნა დააკლდა. მისი მონაგარი ასე გამოიყურებოდა: 22 წუთში 11 ქულა, 8 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა, 1 დაფარება. გიორგიმ 6-დან 5 ორქულიანი და 1-დან 1 საჯარიმო გამოიყენა.

თელ-ავივის „მაქაბიმ“ კი ჰაიფელი სეხნია იოლად დაამარცხა - 87:67.

ამავე ტურში თავი გამოიჩინა საქართველოს ნაკრების უკანახაზელმა **ჯეიკობ პულენმა**. მან აშდოდის „მაქაბის“ ძლევაში 21-ქულიანი წვლილი შეიტანა. მისმა „ჰაპოელმა“ 90:71 იმარჯვა.



მარკოიშვილი და ყოფილი არმიელი რიჩარდსონი

### ესპანეთი

18 წლის **ბექა ბურჯანაძისთვის** იდეალური გუნდია სევილიის „კახასოლი“ - მიმდინარე ჩემპიონატში მაღალ მიზნებს არ ისახავს და ახალგაზრდა ქართველსაც ესპანეთის უმაღლესი დონის ჩემპიონატში თავის გამოჩენის საშუალება ეძლევა.

ბოლო ტურში მისმა „კახასოლმა“ შინ „ვალენსიასთან“ დათმო. ბექამ 10 წუთი ითამაშა, 2-დან 2 ორქულიანი, 3-დან 1 საჯარიმო გამოიყენა და 5 ქულას თითო მოხსნა-პასი მიამატა.

### ირანი

გასულ კვირას სპარსეთის ჩემპიონატიც დაიწყო. **ნიკა ცქიტიშვილმა** „მაჰანში“ პირველი შეხვედრა ჩაატარა, თუმცა ეფექტური სტატისტიკით ვერ გამოირჩა.

ამავე ქვეყანაში თამაშობს **სერგო ათუაშვილი**. იგი „ეშტელლალის“ ღირსებას იცავს.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

| მოთამაშე | გუნდი | თარიღი | შეჯიბრება | Vs | ანგარიში | წუთი | ქულა | მოხსნა | პასი | ჩაჭრა | დაფარება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ზაზა ფაჩულია | ატლანტა (NBA) | 02.11 | NBA | VS ჰიუსტონი | 102:109 | 22 | 13 | 8 | 1 | 0 | 0 |
| | | 04.11 | NBA | ოკლაჰომა VS | 95:104 | 28 | 6 | 6 | 6 | 1 | 0 |
| თორნიკე შენგელია | ბრუკლინი (NBA) | 03.11 | NBA | VS ტორონტო | 107:100 | არ უთამაშია | | | | | |
| მანუჩარ მარკოიშვილი | კანტუ (იტ) | 01.11 | ევროლიგა | რეალი (ესპ) VS | 80:66 | 15 | 5 | 1 | 0 | 1 | 0 |
| | | 04.11 | იტალიის ჩემპ. | VS აველინო | 79:67 | 28 | 8 | 2 | 5 | 1 | 0 |
| ვიქტორ სანიკიძე | მონტეპასკი (იტ) | 02.11 | ევროლიგა | VS შალონი (საფ) | 93:90 | 17 | 4 | 3 | 1 | 0 | 0 |
| | | 05.11 | იტალიის ჩემპ | VS მილანი | 66:71 | 23 | 9 | 9 | 2 | 2 | 1 |
| გიორგი შერმადინი | მაქაბი (ისრ) | 01.11 | ევროლიგა | VS პროკომი (პოლ) | 93:62 | 13 | 11 | 5 | 0 | 0 | 1 |
| | | 04.11 | ისრაელის ჩემპ. | VS მაქაბი (ჰაიფა) | 87:67 | 22 | 11 | 8 | 1 | 1 | 1 |
| გიორგი ცინცაძე | ბუდიველნიკი (უკრ) | 31.10 | უკრაინის ჩემპ | VS დონეცკი | 81:60 | 32 | 9 | 4 | 7 | 3 | 0 |
| | | 02.11 | უკრაინის ჩემპ | VS აზოვმაში | 90:70 | 36 | 22 | 7 | 8 | 2 | 0 |
| ბექა ბურჯანაძე | კახასოლი (ესპ) | 03.11 | ესპანეთის ჩემპ. | VS ვალენსია | 73:82 | 9 | 5 | 1 | 1 | 0 | 0 |
| ჯეიკობ პულენი | ჰაპოელი (ისრ) | 04.11 | ისრაელის ჩემპ. | VS აშდოდი | 90:71 | 26 | 21 | 0 | 2 | 0 | 0 |
| ნიკა ცქიტიშვილი | მაჰანი (ირანი) | 01.11 | ირანის ჩემპ. | VS ზანჯანი | 57:54 | 21 | 3 | 1 | 1 | 1 | 0 |



ლეგიონერები

# ნემსაძის მეორე ელიტური ლელო

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, მეორე დივიზიონში მეათე ტურის შეხვედრები გაიმართა, რომელიც ქართველ მორაგბეთა უმრავლესობისთვის ნარუმატებელი გამოდგა. შესაბამისად, ლიდერთა შორის „ქართული გუნდების“ რაოდენობა შემცირდა.**

ჩვენებურთა გუნდებიდან საუკეთესო მაჩვენებელი **გურამ კავთიძის** „ლიონს“ აქვს, რომელიც 31 ქულით მეორე ადგილზეა. ლიონელებმა მეათე ტურში სტუმრად წააგეს **ლევან დათუნაშვილის, კარლენ ასეიშვილისა** და **გიორგი ნაცარაშვილის** „ორიაკთან“ - 16:19. მასპინძლებმა პირველი ტაიმი დათმეს და მატჩში გარდატეხის შეტანა თამაშის დასკვნით 15 წუთში შეძლეს.

დათუნაშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშა, ასეიშვილი თამაშში 52-ე წუთიდან ჩაერთო, ნაცარაშვილი მოედანზე ოცი წუთის შემდეგ გამოჩნდა, კავთიძე განაცხადში არ იყო.

საპლეიოფო ხუთეულშია **გიორგი ჩხაიძის, გიორგი ნემსაძის, ირაკლი მირცხულავასა** და **დავით დადუნაშვილის** „ტარბი“, რომელმაც შინ გაანადგურა **ბექა შეყლაშვილის** „ბეზიე“ 53:13. ტარბელებმა მეტოქეს შვიდი ლელო გაუტანეს, აქედან ერთი ნემსაძის ანგარიშზეა, რომელმაც მატჩში სრულად ითამაშა.

შეხვედრა, მიუხედავად ანგარიშში ასეთი სხვაობისა, საკმაოდ დაძაბული და უხეში გამოდგა. მატჩის არბიტრმა ოთხი მორაგბე გაასინბინა. დადუნაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 51-ე წუთზე შეცვალეს, იმავდროულად თამაშში ჩაერთო მირცხულავა, შეყლაშვილმა მოედანი ცხრა წუთის შემდეგ დატოვა, ჩხაიძე ტრავმირებულია და არ უთამაშია.

როგორც უკვე ვთქვით, „ტარბი“ 29 ქულით მე-5 ადგილზეა. ალსანიშნავია, რომ ამდენივე ქულა კიდევ ორ ქართულ გუნდს აქვს, „ორიაკს“ და **დავით ხინჩაგიშვილის, ირაკლი ნატრიაშვილისა და გოდერძი შველიძის** „ბრივს“. ჩვენებურთა ამ გუნდმა სტუმრად მოულოდნელად წააგო ერთ-ერთ აუტსაიდერთან, **ტარიელ რატიანიძის** „დაქსთან“ - 20:21.

შველიძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 41-ე წუთზე ხინჩაგიშვილმა შეცვალა, ნატრიაშვილი თამაშში ოცი წუთით ადრე ჩაერთო, რატიანიძე 54-ე წუთზე შეცვალეს.

26 ქულა აქვს და სატურნირო ცხრილში მე-8 ადგილზეა **ალექსანდრე თოდუას, კახაბერ კობერიძის, გიორგი მაისურაძის, ვახტანგ ახობაძისა** და **გიორგი თეთრაშვილის** „ალბი“. ჩვენებურთა ამ გუნდმა მინიმალური სხვაობით წააგო სტუმრად „კარკასონთან“ - 21:22.

თოდუამ სრულად ითამაშა, მაისურაძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 23-ე წუთზე შეცვალეს, კობერიძემ მასზე 26 წუთით მეტი ითამაშა, ახობაძე და თეთრაშვილი საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებში იყვნენ გამოძახებული.

**შალვა სუთიაშვილისა** და **დავით აშვეთიას** „მასი“ 10 ქულით ბოლო ადგილზეა. პარიზელებმა მე-10 ტურში სტუმრად წააგეს „პოსთან“ - 8:37. აშვეთია ძირითად შემადგენლობაში იყო და 51-ე წუთზე შეცვალეს, სუთიაშვილმა 11 წუთით მეტი ითამაშა.

### II დივიზიონი

#### X ტური

ექსი-ლა როშელი 9:28, დაქსი-ბრივი 21:20, ტარბი-ბეზიე 53:13, პო-მასი 37:8, კარკასონი-ალბი 22:21, ოიონაქსი-ნარბონი 40:13, კოლომიე-ოში 9:3, ორიაკი-ლიონი 19:16.

#### სატურნირო მდგომარეობა

1. ოიონაქსი - 40 ქულა, 2. ლიონი - 31, 3. ლა როშელი - 29, 4. პო - 29, 5. ტარბი - 29, 6. ორიაკი - 29, 7. ბრივი - 29, 8. ალბი - 26, 9. კარკასონი - 25, 10. ოში - 24, 11. კოლომიე - 19, 12. დაქსი - 16, 13. ნარბონი - 15, 14. ბეზიე - 14, 15. ექსი - 12, 16. მასი - 10.

#### XI ტური

ბრივი-კოლომიე, ოში-ტარბი, მასი-ლა როშელი, ექსი-დაქსი, ბეზიე-კარკასონი, ნარბონი-ალბი, ლიონი-ოიონაქსი, პო-ორიაკი.

■ ■ ■

„კელტთა ლიგაში“ **დიმიტრი ბასილაიას** „ედინბურგმა“ სტუმრად წააგო გათამაშების ლიდერ, ირლანდიურ „ალსტერთან“ - 20:45 და ახლა 13 ქულით მეცხრე ადგილზეა. ბასილაია ტრავმირებულია და არ უთამაშია.

### კელტთა ლიგა

#### VIII ტური

კარდიფი-მანსტერი 18:24, ალსტერი-ედინბურგი 45:20, გლაზგო-ნიუპორტი 37:6, ქონოთი-ბენეტონი 18:3, ჰლანეჰლი-ზებრე 22:13, ოსფრიზი-ლენსტერი 19:10.

#### სატურნირო მდგომარეობა

1. ალსტერი - 31 ქულა, 2. ჰლანეჰლი - 29, 3. გლაზგო - 27, 4. მანსტერი - 23, 5. ოსფრიზი - 23, 6. ლენსტერი - 22, 7. კარდიფი - 15, 8. ქონოთი - 14, 9. ედინბურგი - 13, 10. ბენეტონი - 13, 11. ნიუპორტი - 9, 12. ზებრე - 1.

#### IX ტური

ბენეტონი-ალსტერი, ნიუპორტი-ქონოთი, ედინბურგი-ოსფრიზი, გლაზგო-ლენსტერი, ზებრე-კარდიფი, მანსტერი-ჰლანეჰლი.




სამზადისი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტესტების ციებ-ცხელება ტულუზიდან იწყება

**საქართველოს მორაგბეთა ნაკრები 17 და 24 ნოემბერს ორ უმნიშვნელოვანეს ტესტმატჩს გამართავს, შესაბამისად იაპონიისა და ფიჯის ნაკრებებთან. „ბორჯღალოსნებმა“ ამ შეხვედრებისთვის მზადება უკვე დაიწყეს და საფრანგეთში, ტულუზის მახლობლად შეიკრიბნენ.**

ჩვენი ეროვნული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **მილტონ ჰეიგმა** ნაკრების 32-კაციანი სია გააცხადა. ტულუზში თბილისიდან გამგაზვრებულ მორაგბეებს საფრანგეთის ჩემპიონატის სხვადასხვა დივიზიონში მოასპარეზე ლეგიონერები შეუერთდნენ. მოკლევადიანი საწვრთნელი შეკრება ხვალ დამთავრდება. უკან, თბილისში დაბრუნებული „ბორჯღალოსნების“ ნაწილი „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე“ განაგრძობს წვრთნას. დანარჩენები კი გუნდს 11 ნოემბრიდან დაემატებიან.

ნაკრების გაფართოებულ სიაში ოთხი დებიუტანტია: **გიორგი ფრუიძეს** (აია), **საბა ნიკოლავას** (არმია), **ვაჟა ხუციშვილს** (ხარები) და **თამაზ მჭედლიძეს** (მონ დე მარსანი) ეროვნული გუნდის კვართი არასდროს მოურგიათ.

ტრავმების გამო ნაკრებს დააკლდებიან **გიორგი ჩხაიძე** (ტარბი), **დიმიტრი ბასილაია** (ედინბურგი) და **ჯაბა ბრეგვაძე** (ტულუზი).

### საქართველოს ნაკრები

პირველი ხაზი: **დავით ხინჩაგიშვილი, ირაკლი ნატრიაშვილი (ორივე-ბრივი), ვასილ კაკოვინი (ტულუზი), დავით ზირაქაშვილი (კლერმონი), ანტონ ფეიქრიშვილი (კასტრი), დავით ქუბრიაშვილი (ტულონი), მიხეილ ნარიაშვილი (მონპელიე), შალვა მამუკაშვილი (არმია).**

მეორე ხაზი: **ლევან დათუნაშვილი (ორიაკი), გიორგი ნემსაძე (ტარბი), ვახტანგ მაისურაძე (ალბი).**

მესამე ხაზი: **ვიქტორ კოლელიშვილი (კლერმონი), შალვა სუთიაშვილი (მასი), მამუკა გორგოძე (მონპელიე), ბექა ბინაძე, გიორგი თხილაიშვილი (ორივე-არმია).**

**№9: ირაკლი აბუსერიძე (ოსერი), გიორგი ბეგაძე (ბათუმი), ვაჟა ხუციშვილი (ხარები).**

**№10: მერაბ კვირიკაშვილი (სენ ჟუნიენი), ლაშა მალაღურაძე (ბაგნერე), ლაშა ხლამაძე (ლელო).**

**№12-13: მერაბ შარიქაძე (ჰართფურის კოლეჯი), დავით კაჭარავა (როდეზი), თედო ზიბზიბაძე (პერიგო), რეზო გიგაური (მონლუსონი)**

**№11-14: ირაკლი მაჩხანელი (არმაზი), ალექსანდრე თოდუა (ალბი), გიორგი ფრუიძე (აია), თამაზ მჭედლიძე (მონ დე მარსანი).**

**№15: ირაკლი ყიასაშვილი (ლელო), საბა ნიკოლავა (არმია).**

#### 17 ნოემბერი

**საქართველო-იაპონია**

#### 24 ნოემბერი

**საქართველო-ფიჯი**

მეტოქეები

# ნოემბერში რუმინეთი და რუსეთი ითამაშებენ

**საქართველოს ნაკრების მეტოქეები ერთა თასის გათამაშებაში, რომელიც 2015 წლის მსოფლიოს თასის გათამაშების შესარჩევი ტურნირიცაა, ნოემბრის ტესტებზე ითამაშებენ. რუმინეთის ნაკრები იაპონიისა და აშშ-ს ნაკრებებს უმასპინძლებს, რუსები კი კანადისა და იმავე აშშ-ს ეროვნულ გუნდებს ბრიტანეთში, ნეიტრალურ მოედანზე დაუპირისპირდებიან.**

რუმინეთის ნაკრების ხელმძღვანელობამ ნოემბრის ტესტებზე გამოძახებულ მორაგბეთა სია გააცხადა. ალსანიშნავია, რომ „მუხის ფოთლებმა“ ძველ, გამოცდილ გვარდიაზე უარი თქვეს და ნაკრები საგრძნობლად გადაახალისეს.

გუნდში სულ სამი ლეგიონერია და სამივე მეორეხაზელი. ესენია: **ვალენტინ ურსაკე** (ოიონაქსი), **მარიუს სირბე** (ტარბი) და **ალინ კოსტე** (ბურგ ან ბრესი). რუმინეთის ნაკრებში ფეხი მყარად მოიკიდა შერკინების ქართველმა კვაჭმა **ოთარ ტურაშვილმა**, რომლის დებიუტიც „სტეჟარის“ შემადგენლობაში ივნისში, ბუქარესტში გამართულ IRB-ის ერთა თასზე შედგა.

რუსეთის ნაკრები კი უკვე ბრიტანეთში იმყოფება და ოქსფორდის უნივერსიტეტის გუნდთან საწვრთნელი შეხვედრა გამართა, რომელიც ჩვენი ჩრდილოელი მეზობლების გამარჯვებით დასრულდა - 29:15. რუსებმა მეტოქეს ხუთი ლელო გაუტანეს და აქედან ერთი შერკინების კვაჭის **ვალერი ცნობილაძის** ანგარიშზეა. რუსთა ეროვნულ გუნდში მიწვეულია მისი ძმაც, **გრიგოლ ცნობილაძე**.

ტრავმების გამო ნოემბრის ტესტებზე ვერ ითამაშებენ **არტიომ ფატხაოვი, ანტონ რიაბოვი, სერგეი პოპოვი, მიხაილ ბაბაევი, იგორ კურაშოვი** და **პაველ კვერნაძე**.

### რუმინეთის ნაკრები

პირველი ხაზი: **ვლად ბადალიჩესკუ (დინამო), ოთარ ტურაშვილი, რატიუ პინგეა (ორივე-ტომიშოარა), რომულიუს ბოარი (კლუჟი), პეტრუ ტამბა (კარდიფი), ანდრეა რადოი (ბაია მარე), კრისტიან კორნეი (ფარული).**

მეორე ხაზი: **ვალენტინ ურსაკე (ოიონაქსი), მარიუს სირბე (ტარბი), ალინ კოსტე (ბურგ ან ბრესი), კრისტიან მინტეანუ (ფარული).**

მესამე ხაზი: **მიჰაი მაკოვეი (სენ ნაზერი), ვიორელ ლუკაჩი, დანიელ იანუსი (ორივე-სტიაუა), ვასილი რუსი (ტიმიშოარა), კოზმინ რატიუ, ადრიან იონი (ორივე-დინამო),**

**№9: ფლორინ სურუჯუ (ბუქარესტი), გრიგორას დიაკონესკუ (სტიაუა), ტუდორელ ბრატუ (პანტელიმონი).**

**№10: იონუც ფლორეა (ტულისტი), ადრეი ფილიპი (ბუქარესტი).**

**№12-13: იონელ კაზანი, რობერტ დესკალუ (ორივე-სტიაუა), კონსტანტინ გეარა (ფარული), ჩაბა გალი (ბაია მარე).**

**№11-14: მადალინ ლემნარუ, კატალინ ფერკუ (ორივე-ტიმიშოარა), იონუც ბოტეზატუ, იონიც ნიასუ (ორივე-ბაია მარე), დანიელ სტატულესკუ (დინამო).**

**№15: ადრიან აპოსტოლი (ფარული).**

### რუსეთის ნაკრები

**გლებ ბაბკინი, სერგეი სუგრუბოვი (ორივე-სლავა), ვლადიმერ ბოლტენკოვი, ანდრეი პრილივალოვი (ორივე- პენზა), პაველ ბუტენკო, რამილ გაისინი, დიმიტრი გერასიმოვი, ინოკენტი ზიკოვი, ევგენი პრონენკო, დენის სიმპლიკევიჩი, ანდრეი ტემნოვი, ვალერი ცნობილაძე, ალექსეი შერბანი (ყველა-ენისეი), ალექსანდრ ვოიტოვი, ალექსეი ვოლკოვი, იგორ კლუჩნიკოვი, ვლადისლავ კორშუნოვი, სერგეი ტრიშინი (ხუთივე-ვვა), ანდრეი გარბუზოვი, ვიქტორ გრესევი, ალექსეი მაკოვეცკი, ანდრეი ოტროკოვი, გრიგორი ცნობილაძე (ხუთივე-კრასნი იარი), ვლადიმერ ოსტროუშკო (ყუბანი).**

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

## უცხოური სპორტი

● კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი



შეტევაზე კობი ბრაიანტი

# ლეიკერსი: არის პირველი მოგება!

სეზონში „ლეიკერსის“ პირველი გამარჯვება ეფექტური გამოვიდა. კალიფორნიულმა გრანდმა „დეტროიტი“ გაანადგურა, რომელიც დიდი სიამოვნებით მიატოვებდა შეხვედრას პირველი მეოთხედის შემდეგ. **დუაიტ ჰოვარდი** დომინირებდა ფარქვეშ, „ლეიკერსის“ სნაიპერები კი თითქმის არ ცდებოდნენ. არც ისე დიდი იყო ამ გამარჯვებაში **კობი ბრაიანტის** წვლილი - მცველმა მხოლოდ ათჯერ ისროლა (უფრო ნაკლები, ვიდრე **მეტა უორლდ პისმა!**), გამოიყენა ამ სროლების ნახევარი და ამას დაუმატა 7 მოხსნა და 8 პასი.

მაგრამ ამ გამარჯვებაში იყო ნეგატიური მომენტებიც. ისევ ჩავარდა სათადარიგოთა სკამი და რეზერვისტებმა წააგეს დეტროიტელ ოპონენტებთან. ამიტომაც, „ლეიკერსის“ 30-ქულიანი უპირატესობა ოცამდე მცირდებოდა და მწვრთნელს ისევ უწევდა ჰოვარდისა და ბრაიანტის მოედანზე დაბრუნება.

■ ■ ■

კობი ბრაიანტისა არ იყოს, კიდევ ერთმა „ეგოისტმა“ კალათბურთელმა **კარმელო ენტონიმ** ისროლა იმაზე გაცილებით ცოტა, ვიდრე წინა მატჩში „მაიამის“ წინააღმდეგ (10-ით ნაკლები), თუმცა ესეც საკმარისი აღმოჩნდა გამარჯვების მოსაპოვებლად ძლიერი „ფილადელფიას“ წინააღმდეგ. მოულოდნელად, „სიქსერზის“ ნაქებმა დაცვამ თამაშიდან ნახევარზე მეტი ჩააგდებინა მეტოქეს და თან 40-პროცენტიანი სიზუსტით ასროლინა სამქულიანები. ჩვეულებრივი ამბავია: თუ „ფილადელფია“ ასზე მეტ ქულას უშვებს, გამარჯვება თითქმის გამორიცხულია. სტუმრებს ვერ უშველა **ჰოლიდეის** აქტიურობამ, რომელმაც 27 ქულის დაგროვება შეძლო.

■ ■ ■

მცირე სენსაციად შეიძლება შევაფასოთ „ორლანდოს“ სტარტი. გუნდს, რომელსაც აუტსაიდერობას უწინასწარმეტყველებდნენ, ორიდან ორი მატჩი მოიგო. ამასთან, „ჯადოქრები“ ყოველგვარი პრობლემის გარეშე გაუსწორდნენ „ფინიქსს“. ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ტრავმის გამო არ უთამაშია „ორლანდოს“ რიგებში მის ერთ-ერთ ლიდერს **ჯამირ ნელსონს**. მის ნაცვლად სასტარტოში გამოვიდა **მური**, რომელმაც შარშან „ბოსტონის“ რიგებში მხოლოდ 38 მატჩი ჩაატარა. მურმა სამიდან სამი სამქულიანი ჩააგდო და 15 ქულა დააგროვა. სულ კი მასპინძლებმა 9 შორეული ტყორცნა მოათავსეს კალათში და მხოლოდ ორჯერ შეცდნენ. ამიტომაც არ არის გასაკვირი „ფინიქსის“ ძლევა. საოცარი ისაა, როგორ მოახერხეს არიზონელებმა დიდი შესვენებისთვის ორნიშნა უპირატესობის მოპოვება. ამის შემდეგ კი მაყურებელმა სულ სხვა თამაში იხილა. მეორე ნახევარში „მეჯიქმა“ უდიდესი უპირატესობით მოიგო - 69:38!

■ ■ ■

„ორლანდოსგან“ განსხვავებით, სტარტზე ზედიზედ მეორე მატჩის მოგება ვერ შეძლო „მინესოტამ“. „მგლებმა“ სტუმრად წააგეს „ტორონტოსთან“. **ადელმანის** გუნდი დაალალატა შეცდომების დიდმა რაოდენობამ, კერძოდ, 24-მა დაკარგვამ, რითაც მეტოქემ 32 ქულა დააგროვა. მარტო **რომ, რიდნურმა** და **ბადინგერმა** ერთად 13 შეცდომა დაუშვეს.

რა თქმა უნდა, „ტორონტოს“ უკანა ხაზი **ლოურის, დეროზანისა** და **ანდერსონის** სახით, ამ შეცდომებს კარგად იყენებდა - ამ სამეულმა 62 ქულა მოიხვეჭა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „ვულვზი“ თანაბრად ეთამაშებოდა მეტოქეს თითქმის სამი მეოთხედი და მხოლოდ ბოლოში დანებდა, როცა 10 წუთის განმავლობაში ერთი ქულაც ვერ აიღო.

**ნიუ იორკი–ფილადელფია 100:84**

31:25, 26:19, 18:22, 25:18

ნ-ი: ენტონი (27+5 მოხსნა), სმიტი (20+9 მოხსნა), კიდი (12+6 პასი+3 ჩაჭრა), ფელტონი (11).

ფ: ჰოლიდეი (27+7 პასი), იანგი (16+6 მოხსნა+3 ჩაჭრა), რაიტი (11+9 მოხსნა), ტერნერი (11+11 მოხსნა).

**ტორონტო–მინესოტა 105:86**

25:24, 31:23, 23:26, 26:13

ტ: ლოური (22+7 მოხსნა+5 პასი+3 ჩაჭრა), დეროზანი (22+7 მოხსნა+3 ჩაჭრა), ანდერსონი (18), ბარნიანი (10).

მ: კირილენკო (17+6 მოხსნა+3 დაფარება), პეკოვიჩი (15), უილიამსი (9+8 მოხსნა).

**ორლანდო–ფინიქსი 15:94**

26:33, 20:23, 40:20, 29:18

ო: რედიკი (24+6 პასი), დევისი (22+8 მოხსნა+5 პასი), აფლალო (22), ვუჩევიჩი (18+13 მოხსნა), მური (15+6 პასი).

ფ: სკოლა (24+7 მოხსნა), ბიზლი (22+6 მოხსნა), გორტატი (14+11 მოხსნა+4 დაფარება), დრაგიჩი (12+8 პასი).

**ოკლაჰომა–ატლანტა 95:104**

22:30, 29:17, 23:28, 21:29

ო: მარტინი (28), დურანტი (22+12 მოხსნა+8 პასი+3 ჩაჭრა), უესტბრუკი (14+5 მოხსნა+9 პასი), იბაკა (14+5 მოხსნა).

ა: ჰორფორდი (23+12 მოხსნა), უილიამსი (19), ტიგში (16+5 პასი), ჯონსონი (10).

**ლეიკერსი–დეტროიტი 108:79**

34:13, 28:21, 24:21, 22:24

ლ: ჰორფორდი (28+7 მოხსნა+3 დაფარება), უორლდ პისი (18+5 მოხსნა), ბრაიანტი (15+7 მოხსნა+8 პასი), გასოლი (14+5 მოხსნა+3 დაფარება), ჰილი (11+7 მოხსნა).

დ: ყერებკო (18), სინგლერი (11+5 მოხსნა), ბინუმი (10+5 პასი).

● ავტოსპორტი

# კუბიცამ ორი რალი დაგეგმა

ფორმულა 1-ის ყოფილი პილოტი, პოლონელი **რობერტ კუბიცა** აგრძელებს 2011 წლის თებერვალში მომხდარი ავტოავარიის შემდეგ, დიდ სპორტში დაბრუნებას. კუბიცამ Subaru Impreza-ს მანქანით რამდენიმე რეგიონალურ რალიში მიიღო მონაწილეობა, ნოემბერში კი Citroen C4-ის საჭესთან დაჯდება და იტალიის Rally di Como-სა და ფრანგულ Rallye du Var-ში გამოვა.

*„ძალიან მომწონს რალის რბოლები და მოუთმენლად ველოდები სწრაფი მანქანის საჭესთან დაჯდომას. Rally di Como-ის ტესტების დასრულების შემდეგ, მანქანას უკეთ ვიგრძნობ, შევაფასებ მის მახასიათებლებს რეალური რბოლის პირობებში, Rallye du Var-ში კი მესამედ ვიღებ მონაწილეობას, ასე რომ, იქ ჩემი მიზანი სულ სხვა იქნება“*, - ამბობს “რენოს” ყოფილი პილოტი.

Rally di Como 15-17 ნოემბერს გაიმართება, Rallye du Var - ერთი კვირის შემდეგ ჩატარდება.

● ფორმულა 1. აბუ დაბის გრანპრის შემდეგ

# საინტერესო სტატისტიკა

**აბუ დაბის გრანპრის შემდეგ, ცნობილმა ენციკლოპედიურმა ბაზამ – Forix-მა გამოაქვეყნა გასულ რბოლასთან დაკავშირებით საგულისხმო სტატისტიკური მონაცემები...**

### რაიკონენის მოგება

- აბუ დაბის გრანპრის მოგების შემდეგ, **კიმი რაიკონენი** ამ სეზონის მერვე პილოტი გახდა, ვისაც მინიმუმ ერთ ეტაპზე აქვს მოპოვებული გამარჯვება. ერთ სეზონში პოდიუმის უმაღლეს საფეხურზე ამდენი პილოტი ბოლოს 2003 წელს ავიდა.

- რაიკონენს სამი სხვადასხვა გუნდის ბოლიდით აქვს მოგებული რბოლები - „მაკლარენით“, „ფერარითა“ და „ლოტუსით“. სამ გუნდთან ერთად გაუმარჯვიათ **ჯენსონ ბატონსა** („ჰონდა“, „ბრაუნი“, მაკლარენი“) და **ფერნანდო ალონსოს** („რენო“, „მაკლარენი“, „ფერარი“). რეკორდი ეკუთვნის **სტირლინგ მოსს**, რომელსაც ხუთი გუნდის („მერსედესი“, „მაზერატი“, „ვანუოლი“, „კუპერი“, „ლოტუსი“) ბოლიდით მოუგია ეტაპი.

- ეს იყო მე-80 მოგება გუნდისთვის, რომელიც „ლოტუსის“ სახელით გამოდის და პირველი **აირტონ სენას** შემდეგ (1987, დეტროიტი).

### პიტლეინიდან პოდიუმამდე

- **სებასტიან ფეტელი** გახდა პირველი მრბოლელი **იარნო ტრულის** (ავსტრალია, 2009) შემდეგ, ვინც პიტლეინიდან სტარტის შემდეგ პოდიუმზე ავიდა. მსგავსი შედეგი ჰქონდათ: **რუბენს ბარიკელოს** (კანადა, 2005), კიმი რაიკონენს (ავსტრალია, 2003), **ნაიჯელ მენსელსა** (საფრანგეთი, 1989) და **ალენ პროსტს** (სამხრეთ აფრიკა, 1984).

- ფეტელმა რბოლის მსვლელობისას 21 პოზიცია მოიგო. ამ სეზონში მსგავსი რამ შეძლო **სერხიო პერესმა**, რომელმაც მალაიზიის რბოლაში 23-ე ადგილიდან პირველ პოზიციაზე გადასვლა შეძლო.

- რბოლის დროს მოგებული ადგილების მხრივ რეკორდი ეკუთვნის **პიტერ რევსონს** - 1972 წელს, აშშ-ის გრაპრის დროს, ის **რეგაცონისთან** კონტაქტის შემდეგ 31-ე პოზიციამდე ჩამოქვეითდა, შემდეგ კი მეექვსე ადგილზე გადავიდა, მაგრამ რბოლას გამოეთიშა. მეორე ადგილი უჭირავს **დეიმონ ჰილს**, რომელმაც 1993 წელს, პორტუგალიაში 26-ე პოზიციიდან სტარტის შემდეგ, მესამე ადგილი დაიკავა.

### პირველი რიგის პრობლემა

- ორივე პილოტმა (**ლუის ჰემილტონი, მარკ უებერი**), რომელმაც აბუ-დაბიში პირველი რიგიდან აიღო სტარტი, ვერ შეძლო ფინიშამდე მისვლა. ასეთი რამ წელს მეორედ მოხდა - სინგაპურში ჰემილტონმა და **მალდონადომ** პირველი რიგიდან დაიწყეს რბოლა და ფინიშამდე ვერ მიაღწიეს.

- აბუ დაბიში არ უმართლებთ პოულის მფლობელებს - ოთხიდან სამ რბოლაში სტარტზე პირველი ადგილის მფლობელმა ვერ შეძლო მანქანასთან დაკავშირებული პრობლემების გამო რბოლის დასრულება.

### კვალიფიკაცია

- აბუ დაბიში პოული 25-ე იყო ლუის ჰემილტონის კარიერაში. ბრიტანელი შესაბამის რეიტინგში მეცხრე ადგილზე გადავიდა. ლუისი ერთადერთი პილოტია, რომელმაც აბუ დაბის ყველა გრანპრიში პირველი პოზიციიდან აიღო სტარტი.

| | |
|---|---|
| 1. მიხაელ შუმახერი | 68 |
| 2. აირტონ სენა | 65 |
| 3. სებასტიან ფეტელი | 35 |
| 4. ჯიმ კლარკი | 33 |
| 4. ალენ პროსტი | 33 |
| 6. ნაიჯელ მენსელი | 32 |
| 7. ხ-მ. ფანხიო | 29 |
| 8. მიკა ჰაკინენი | 26 |
| 9. ლუის ჰემილტონი | 25 |
| 10. ნიკი ლაუდა | 24 |

- ზედიზედ მეოთხე რბოლაში მარკ უებერმა პირველი რიგიდან აიღო სტარტი.

- კიმი რაიკონენს ფორმულა 1-ში დაბრუნების შემდეგ, არასოდეს დაუწყია რბოლა პირველი რიგიდან. ბოლოს მან ეს 2009 წელს, მონაკოს გრანპრიზე გააკეთა, როცა „ფერარის“ რიგებში გამოდიოდა.

### რბოლა

- კიმი რაიკონენმა 58-ე რბოლა ჩაატარა კარიერაში, როცა დისტანციის მსვლელობისას მინიმუმ ერთი წრე იყო ლიდერი. ამ მაჩვენებლით ის გაუთანაბრდა შესაბამის რეიტინგში მეექვსე ადგილზე მყოფ **ნელსონ პიკეს**.

- სებასტიან ფეტელი 45-ედ ავიდა პოდიუმზე და გაუთანაბრდა ყველა დროის სიაში მე-15 ადგილზე მყოფ **კარლოს როიტემანს**.

- „მაკლარენმა“ ახალი რეკორდი დაამყარა ზედიზედ ჩატარებული შედეგიანი რბოლების რაოდენობით - მან მიჯრით 56-ე გრანპრიზე მოიპოვა ქულები.

- „ფერარი“ ზედიზედ 28 რბოლის განმავლობაში ვერ ახერხებს წრეზე საუკეთესო დროის დაფიქსირებას.

- ალონსო და უებერი გაუთანაბრდნენ მიკელე ალბორეტოს ჩატარებული რბოლების რაოდენობით (194). ეს სამეული მე-13 ადგილს იყოფს ყველა დროის სიაში.

| | |
|---|---|
| 1. რუბენს ბარიკელო | 322 |
| 2. მიხაელ შუმახერი | 303 |
| 3. რიკარდო პატრეზე | 255 |
| 4. იარნო ტრული | 253 |
| 5. დევიდ კულტჰარდი | 246 |
| 6. ჯანკარლო ფიზიკელა | 229 |
| 7. ჯენსონ ბატონი | 225 |
| 8. გერჰარდ ბერგერი | 210 |
| 9. ანდრეა დე ჩეზარისი | 208 |
| 10. ნელსონ პიკე | 203 |
| 11. ჟან ალეზი | 201 |
| 12. ალენ პროსტი | 198 |
| 13. ფერნანდო ალონსო | 194 |
| 13. მიკელე ალბორეტო | 194 |
| 13. მარკ უებერი | 194 |

- ზედიზედ მეხუთე რბოლაა ლუის ჰემილტონი ვერ ახერხებს პოდიუმზე ასვლას - ეს არის შარშან, უნგრეთისა და იაპონიის ეტაპებს შორის უიღბლო პერიოდის შემდეგ, ბრიტანელის ყველაზე ხანგრძლივი სერია. ჰემილტონმა კარიერაში ექვსჯერ ვერ შეძლო ფინიშამდე მისვლა ტექნიკური პრობლემების გამო და აქედან სამი ასეთი შემთხვევა წელს დაფიქსირდა.

- თუმცა აბუ დაბის რბოლიდან გავარდნამდე, ჰემილტონი 19 წრის განმავლობაში ლიდერობდა და „მაკლარენის“ ლიდერობის საერთო რიცხვი 50051 კილომეტრამდე გაზარდა. „მაკლარენი“ გახდა მეორე გუნდი „ფერარის“ შემდეგ, რომელმაც 50000-კილომეტრიან ზღვარს გადააცილა. „სკუდერიას“ ლიდერობა 70687 კილომეტრს უდრის. მესამეზე „უილიამსი“ - 34963 კილომეტრი.

- ზედიზედ მეოთხე რბოლაში „მერსედესმა“ ვერ შეძლო ქულების დაგროვება და ეს ყველაზე უარესი სერიაა მისთვის სპორტში დაბრუნების შემდეგ (2010). ბოლო ოთხი რბოლიდან სამში **ნიკო როსბერგმა** ავარიის გამო ვერ მიაღწია ფინიშამდე.



აბუ დაბის სტარტი

# ფეტელი თუ ალონსო?

## ტიტულისთვის ბრძოლას მხოლოდ ორი პილოტი შემორჩა

სეზონის დასრულებამდე ორი ეტაპით ადრე გავაანალიზოთ საჭირო პირობები, რომელთა წყალობითაც შეძლებენ ჩემპიონობის მოგებას დარჩენილი პრეტენდენტები.

აბუ დაბის შემდეგ, საჩემპიონო რბოლას ოფიციალურად გამოეთიშნენ **ლუის ჰემილტონი, მარკ უებერი** და **კიმი რაიკონენი**. ახლა, ტიტულისთვის მხოლოდ ორი პილოტი იბრძვის: **სებასტიან ფეტელი** და **ფერნანდო ალონსო**.



ორი პრეტენდენტი

სებასტიანს ერთი რბოლის მოგება და მეორეში მინიმუმ მეექვსე ადგილზე გასვლა სჭირდება და ამის ის გაინაღდებს გამარჯვებას. გარდა ამისა, ფეტელს შეუძლია ვადაზე ადრე გახდეს ჩემპიონი, თუ მოიგებს აშშ-ის გრანპრის, ხოლო ალონსო მეხუთე ადგილზე ზემოთ ვერ აიწევს.

გერმანელის ვადაზე ადრე გაჩემპიონების სხვა ვარიანტები:

- ფეტელის მეორე ადგილი და ალონსო არ უნდა გავიდეს მერვე ადგილზე ზემოთ;

- ფეტელის მესამე ადგილი და ალონსოს უქულო ფინიში ან გამოვარდნა.

ალონსოს კი აუცილებლად სჭირდება ორი მოგება და ის ნებისმიერ შემთხვევაში გახდება ჩემპიონი. ან კიდევ, პირველ რბოლაში გავიდეს პირველ ადგილზე და მეორეში – მეორეზე იმის იმედად, რომ ფეტელი შესაბამისად არ ავა მეორე და მესამე ადგილებზე ზემოთ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ჩოგბურთი. ტურნირების მიმოხილვა

ჩეხეთის ნაკრები



# ფერერის პირველი მასტერსი

### ჩეხეთის ნაკრებმა ფედერაციის თასი ზედიზედ მეორედ მოიგო

ძალიან დატვირთული კვირა ჰქონდათ ჩოგბურთის მოყვარულებს - პარიზში გაიმართა ამ სეზონის ბოლო მასტერსი, ქალებს შორის კი ფედერაციის თასის გამარჯვებული გამოვლინდა.

საფრანგეთის დედაქალაქში გამართული მასტერსი ფავორიტების კრახით დასრულდა - ვერც **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** და ვერც **ენდი მიურეიმ** ვერ შეძლეს ფინალამდე მისვლა. თანაც, მიურეიმ მეოთხედფინალში დათმო თავისი შეხვედრა ბევრისთვის უცნობ პოლონელ **იეჟი იანოვიჩთან**. 21 წლის ჩოგბურთელი პარიზის მასტერსის ნამდვილი სენსაცია აღმოჩნდა. მან იმდენი მოახერხა, რომ ფინალამდე გააღწია, სადაც მსოფლიოს მეხუთე ჩოგანს, ესპანელ **დავიდ ფერერს** დაუპირისპირდა. შეგახსენებთ, მანამდე მან ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხა **ფილიპ კოლშრაიბერი, მარინ ჩილიჩი**, ენდი მიურეი და **იანკო ტიპსარევიჩი**.

ფერერს ფინალში დიდი მოტივაცია ჰქონდა, რადგან აქამდე, არასოდეს მოეგო მასტერსის სერიის ტურნირი. თან ესპანელი კარგ ფორმაშია, რადგან ერთი კვირის წინ, ვალენსიაში საშინაო ტურნირზეც იმარჯვა.

ესპანელმა ალმავლობით ჩაატარა მთელი შეხვედრა, თუმცა, პირველ სეტში სერიოზული წინააღმდეგობა შეხვდა იანოვიჩისგან. პირველი ცხრა გეიმი ჩოგბურთელები ინარჩუნებდნენ საკუთარ მოწოდებას, მაგრამ მეათეში ფერერმა სეტში ერთადერთი ბრეიკი გააკეთა და 6:4 გაიმარჯვა.

მეორე სეტში ესპანელის უპირატესობა კიდევ უფრო დიდი იყო და საბოლოოდ, საათსა და 27 წუთში ფერერმა 6:4, 6:3 გაიმარჯვა.

როგორც გითხარით, ეს ფერერისთვის კარიერაში პირველი მოგებული მასტერსია. მანამდე ის სამჯერ თამაშობდა ამ სერიის ტურნირების ფინალში და სამივეჯერ დამარცხებულმა დატოვა კორტი. სხვათა შორის, დავიდი მესამე ჩოგბურთელია ისტორიაში, ვინც 30 წლის ასაკში პირველად მოიგო მასტერსი. მანამდე ეს გააკეთეს ფრანგმა **სედრიკ პიოლინმა** და ხორვატმა **ივან ლუბიჩიჩმა**.

■ ■ ■

ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში კი გაიმართა ქალებს შორის მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის - ფედერაციის თასის ფინალი. ჩეხეთმა სერბეთის ნაკრებს უმასპინძლა.

პირველი სათამაშო დღის შემდეგ, ჩეხებმა სოლიდურ უპირატესობას მიაღწიეს: **პეტრა კვიტოვამ ელენა იანკოვიჩს** მოუგო, **ლუსი საფაროვამ** კი **ანა ივანოვიჩი** დაამარცხა და მასპინძლები 2:0 დაწინაურდნენ.

ფინალი კვირას გაგრძელდა და გადამწყვეტ მატჩს ინტრიგა დაუბრუნა ანა ივანოვიჩმა. მან საათსა და 46 წუთში დაამარცხა პეტრა კვიტოვა - 6:3, 7:5 და ფინალში ანგარიში შეამცირა - 1:2.

ივანოვიჩმა ორჯერ წააგო საკუთარი მოწოდება, სამაგიეროდ ოთხჯერ აიღო მეტოქის გეიმი. სხვათა შორის, ანა მეხუთედ ხვდებოდა კვიტოვას და მეოთხედ შეძლო უიმბლდონის შარშანდელი ჩემპიონის დამარცხება.

ამის შემდეგ, კორტზე ლუსი საფაროვა და ელენა იანკოვიჩი გავიდნენ. იანკოვიჩის მოგების შემთხვევაში, ფინალში ყველაფერს წყვილთა მატჩი გადაწყვეტდა, მაგრამ საქმე აქამდე არ მივიდა. საფაროვა ძალიან კარგ ფორმაში შეხვდა ფინალს და თავისი ორივე ერთეულთა მატჩი მოიგო. კვირას, მან სასტიკად გაანადგურა სერბი მეტოქე.

ლუსიმ რვა ბრეიკ-პოინტი მოიპოვა და აქედან ხუთი შანსის რეალიზება შეძლო. გარდა ამისა. საფაროვა საკუთარ მოწოდებაზეც ბრწყინავდა - იანკოვიჩმა საათსა და 17 წუთში მხოლოდ ორი ბრეიკ-პოინტი მიიღო და ვერცერთხელ ვერ შეძლო მეტოქის გეიმის აღება.

6:1, 6:1 - ასე მოუტანა საფაროვამ გამარჯვების ქულა ჩეხეთის ნაკრებს, რომელმაც შეინარჩუნა შარშან მოპოვებული ტიტული.

თუ წარსულში ჩეხოსლოვაკიის შედეგებს გავითვალისწინებთ, ეს იყო ჩეხეთისთვის რიგით მეშვიდე გამარჯვება ფედერაციის თასზე. ამ მაჩვენებლით ეს გუნდი გაუთანაბრდა ავსტრალიას და ამ ქვეყანასთან მეორე ადგილს იყოფს ყველა დროის სიაში.

| ჩეხეთი-სერბეთი | 3:1 |
|---|---|
| 1:0 ლუსი საფაროვა-ანა ივანოვიჩი | 6:4, 6:3 |
| 2:0 პეტრა კვიტოვა-ელენა იანკოვიჩი | 6:4, 6:1 |
| 2:1 პეტრა კვიტოვა-ანა ივანოვიჩი | 3:6, 5:7 |
| 3:1 ლუსი საფაროვა-ელენა იანკოვიჩი | 6:1, 6:1 |

## კალათბურთი

### ნეში ერთი თვით დამტვრეულა

რთულად აქვს საქმე „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" გამთამაშებელ **სტივ ნეშს**. როგორც უკვე ვწერდით, კანადელმა ვეტერანმა „პორტლენდთან" მატჩში მიიღო ფეხის ტრავმა და ექიმების ვარაუდით, ის ერთი კვირა ვერ შეძლებდა თამაშს. მაგრამ ახლა ირკვევა, რომ 38 წლის კალათბურთელს, შესაძლოა, გაცილებით მეტი დროის გამოტოვება მოუწიოს. კალიფორნიელთა სამედიცინო პერსონალი არ ეცდება ნეშის სარეაბილიტაციო პერიოდის ფორსირებას და პაუზა, შესაძლოა, ერთ თვეს გაგრძელდეს.

### ხარები ბუზერსა და ჰემილტონს ცვლიან

„ჩიკაგო ბულზის" ხელმძღვანელობამ, შესაძლოა, უახლოეს პერიოდში ტრეიდი განახორციელოს. გაცვლა ემუქრება ამ გუნდის ორ კალათბურთელს - მცველ **რიჩარდ ჰემილტონსა** და ფორვარდ **კარლოს ბუზერს**.

როგორც სააგენტო AP იტყობინება, „ხარების" შეფობას ამ გზით სურს სახელფასო ბიუჯეტის განტვირთვა. ამ დუეტის ჯამური წლიური ხელფასი 20 მილიონ დოლარს უტოლდება.

გასულ წელს, ჰემილტონი საშუალოდ 11.6 ქულას აგროვებდა, ბუზერის ანალოგიური მაჩვენებელი კი 15 ქულას უდრიდა.

### კორუმპირებული მსაჯობას უბრუნდება

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ყოფილი მსაჯი **ტიმ დონაჰი**, რომელსაც პატიმრობა მიუსაჯეს ტოტალიზატორში თამაშისთვისა და კონფიდენციალური ინფორმაციის გავრცელებისთვის, NBA-ში სამუშაოდ დაბრუნებას აპირებს.

*„ვფიქრობ, არ არსებობს მიზეზი, რამაც შეიძლება ხელი შემიშალოს NBA-ში ჩემი საყვარელი სამუშაოს შესრულებაში. ჩემს პირობით სასჯელს მალე ვადა გაუვა და მინდა ეს მოვლენა „მედისონ სკვერ გარდენზე" ერთ-ერთ მატჩზე დასწრებით აღვნიშნო. არ მგონია, ვინმემ მიაქციოს ყურადღება ჩემს პიროვნებას"*, - ამბობს დონაჰიუ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| ვესტ ბრომვიჩი-საუთჰემპტონი | 2:0 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| მოდენა-იუვე სტაბია | 1:0 |
| ვერონა-სასუოლო | 1:0 |
| **სერია C1/B** | |
| ლატინა-პერუჯა | 3:1 |
| **ესპანეთი** | |
| ხეტაფე-ბეტისი | 2:4 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| კაიზერი-აუე | 4:1 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| კაენი-ჰავრი | 2:0 |
| **ჰოლანდია** | |
| **II დივიზიონი** | |
| მაასტრიხტი-სპარტა | 0:1 |
| **დანია** | |
| ოლბორგი-მიდტიულანდი | 1:3 |
| **ნორვეგია** | |
| სიოგნდალი-ვოლერენგა | 1:0 |
| **შვეიცარია** | |
| **ჩელენჯლიგა** | |
| ბილი-არაუ | 5:1 |
| **საბერძნეთი** | |
| არისი-ვერია | 2:1 |
| **II დივიზიონი** | |
| კალონი-ერგოტელისი | 0:0 |
| პანაიტოლიკოსი-პანსერაიკოსი | 0:0 |
| **თურქეთი** | |
| ანტალია-ტრაბზონი | 2:1 |
| ბურსა-ქასიმფაშა | 1:2 |
| **II დივიზიონი** | |
| ბბ გაზიანთეფი-ბუკა | 2:1 |
| **კვიპროსი** | |
| აპოელ-აია | 4:1 |
| **ჩეხეთი** | |
| ლიბერეცი-სლოვაცკო | 3:2 |
| **რუსეთი** | |
| ალანია-ვოლგა | 0:2 |
| **II დივიზიონი** | |
| მეტალურგი-ენისეი | 1:0 |
| ტორპედო-ნეფტეხიმიკი | 2:3 |
| ნალჩიკი-შინიკი | 3:2 |
| როტორი-ბალტიკა | 3:0 |
| სალუტი-უფა | 1:1 |
| **პოლონეთი** | |
| პოგონი-შლიონსკი | 0:3 |
| **რუმინეთი** | |
| პანდური-ტურნუ | 2:2 |
| პეტროლული-კონკორდია | 0:0 |
| რაპიდი-ასტრა | 0:2 |
| **ისრაელი** | |
| მაკაბი (ჰ)-ბნეი იეჰუდა | 1:1 |
| **ავსტრალია** | |
| მელბურნ ვ.-ველინგტონი | 3:2 |
| **ფუტსალი** | |
| **მსოფლიოს ჩემპიონატი** | |
| მაროკო-ირანი | 1:2 |
| ესპანეთი-პანამა | 8:3 |
| ავსტრალია-მექსიკა | 3:1 |
| არგენტინა-იტალია | 2:3 |
| **კალათბურთი** | |
| **გერმანია** | |
| ბამბერგი-სკაილაინერსი | 76:67 |
| **იტალია** | |
| მონტეპასკი-მილანი | 66:71 |
| **რუსეთი** | |
| ნ. ნოვგოროდი-ხიმკი | 82:86 |
| **თურქეთი** | |
| ჰაჩეთეფე-ერდემირი | 75:70 |
| ტურკ ტელეკომი-ალიაგა | 66:77 |
| ფენერბაჰჩე-ბეშიქთაში | 83:74 |
| **საფრანგეთი** | |
| შალონი-ორლეანი | 85:80 |
| სტრასბური-ვილერბანი | 80:66 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. ლონდონი** | |
| მიურეი-ბერდიხი | 3:6, 6:3, 6:4 |
| ჯოკოვიჩი-ცონგა | 7:6, 6:3 |

## TV პროგრამა

**6 ოქტომბერი. სამშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** გერმანიის ჩემპიონატი. X ტურის მიმოხილვა.
**11:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XI ტურის მიმოხილვა.
**12:00** ინგლისის ჩემპიონატი. X ტური. ვესტ ბრომვიჩი-საუთჰემპტონი.
**14:00** გერმანიის ჩემპიონატი. X ტური. დორტმუნდი-შტუტგარტი.
**16:00** ინგლისის ჩემპიონატი. X ტური. ვესტ ჰემი-მანჩესტერ სიტი.
**18:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**19:00** გერმანიის ჩემპიონატი. X ტური. ჰამბურგი-ბაიერნი.
**21:00** ინგლისის ჩემპიონატი. X ტურის მიმოხილვა.
**22:00** ტელეჟურნალი – FOOTBALL MUNDIAL
**22:30** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტურის წინ.
**23:45** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. მილანი-მალაგა (LIVE).
**01:45** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. შალკე-არსენალი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. ოლ ბოისი–რივერ პლეიტი.
**12:00** კალათბურთი. NBA. ლეგენდარული მატჩები. ბოსტონი-ატლანტა. 1988 წელი.
**14:00** საკალათბურთო მიმოხილვა - NBA ACTION.
**15:00** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. გრემიო–პონტე პრეტა.
**17:00** რაგბი. ჰაინეკენის თასი. ედინბურგი-სარასენი.
**19:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ერთი მატჩის ისტორია.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** პროგრამა - იმედის ფსონი.
**21:00** ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. ბოსტონი–პორტლენდი. 1992 წელი.
**23:40** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. ON-LINE. ყველა მატჩის საუკეთესო მომენტები (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. ლონდონი. ბრიტანეთი.
**14:00** სპორტ-NEWS.
**14:30** ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. ფინალი. სერბეთი-ჩეხეთი.
**18:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. წლის შემაჯამებელი ტურნირი. როჯერ ფედერერი-იანკო ტიპსარევიჩი. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
**20:00** ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. ფინალი. სერბეთი-ჩეხეთი.
**23:45** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. შალკე-არსენალი (LIVE).

**I არხი**

**22:40** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური. რეალი-დორტმუნდი (LIVE).

**რუსთავი 2**

**23:40** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტური (LIVE).
**02:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. IV ტურის მიმოხილვა.

### ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 9 | 21 | (მზე) |
| ქუთაისი | 14 | 25 | (მზე) |
| ბათუმი | 16 | 27 | (მზე) |
| ფოთი | 15 | 26 | (მზე) |
| ზუგდიდი | 11 | 25 | (მზე) |
| გორი | 6 | 22 | (მზე) |
| თელავი | 11 | 21 | (მზე) |
| სიღნაღი | 10 | 19 | (მზე) |
| ბაკურიანი | 2 | 16 | (მზე) |
| ბორჯომი | 5 | 20 | (მზე) |
| მესტია | 5 | 19 | (მზე) |

### ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1230 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6590 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6506 |
| 100 რუსული რუბლი | 5.2865 |

ჩოგბურთი. რეიტინგები

# ჯოკოვიჩი ისევ მწვერვალზეა

## პარიზის მასტერსის სენსაცია იანოვიჩი 26-ე ჩოგანი გახდა


ნოვაკ ჯოკოვიჩი

სერბმა ჩოგბურთელმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** დაიბრუნა მსოფლიოს პირველი ჩოგანის ტიტული. რეიტინგის ახალი ვერსიის თანახმად, ჯოკომ უკან ჩამოიტოვა შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი**.

ტოპ-ათეულში აგრეთვე ორი ცვლილება მოხდა: არგენტინელმა **ხუან მარტინ დელ პოტრომ** გაუსწრო ფრანგ **ჟო-ვილფრიდ ცონგას** და მეშვიდე ადგილზე გადავიდა, ხოლო ფრანგი **რიშარ გასკე** მსოფლიოს მეათე ნომერი გახდა.

უნდა ალინიშნოს პარიზის მასტერსის გმირების - პოლონელი **იეჟი იანოვიჩისა** და ფრანგი **მიკაელ ლოდრას** პროგრესი. მათ შესაბამისად, 43 და 69 ადგილი მოიგეს. ახლა, იანოვიჩი მსოფლიოს 26-ე ჩოგანია, ლოდრას კი 52-ე პოზიცია უკავია.

**ATP**

| | |
|---|---|
| 1(2). ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ) | 11 420 |
| 2(1). როჯერ ფედერერი (შვეიც) | 9 465 |
| 3(3). ენდი მიურეი (ბრიტ) | 7 600 |
| 4(4). რაფაელ ნადალი (ესპ) | 6 795 |
| 5(5). დავიდ ფერერი (ესპ) | 6 030 |
| 6(6). ტომას ბერდიხი (ჩეხ) | 4 405 |
| 7(8). ხ-მ. დელ პოტრო (არგ) | 4 080 |
| 8(7). ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ) | 3 490 |
| 9(9). იანკო ტიპსარევიჩი (სერ) | 2 990 |
| 10(12). რიშარ გასკე (საფ) | 2 515 |
| 11(13). ნიკოლას ალმაგრო (ესპ) | 2 515 |
| 12(10). ხუან მონაკო (არგ) | 2 430 |
| 13(14). მილოშ რაონიჩი (კან) | 2 380 |
| 14(11). ჯონ ისნერი (აშშ) | 2 215 |
| 15(15). მარინ ჩილიჩი (ხორ) | 2 210 |
| 16(20). ჟილ სიმონი (საფ) | 2 165 |
| 17(17). სტანისლას ვავრინკა (შვეიც) | 1 900 |
| 18(18). ა. დოლგოპოლოვი (უკრ) | 1 855 |
| 19(16). კეი ნიშიკორი (იაპ) | 1 830 |
| 20(19). ფილიპ კოლშრაიბერი (გერ) | 1 770 |

■ ■ ■

გუშინ, გვიან ღამით, ჯოკოვიჩმა წლის შემაჯამებელ ტურნირზე პირველი მატჩი ჩაატარა, მანამდე კი სერბმა ჩოგბურთელმა პრესკონფერენციაზე გამოაცხადა, რომ საჭიროა წლის მთავარი ჩემპიონატის ლონდონიდან სხვა ადგილას გადატანა.

*„ლონდონში ტურნირის ორგანიზაცია უმაღლეს დონეზეა. ბრწყინვალე სამუშაო ჩაატარეს და დარწმუნებული ვარ, არც ერთ ჩოგბურთელს არ აქვს ორგანიზატორების მიმართ პრეტენზია,* - აღნიშნა ჯოკოვიჩმა. - *ამასთან, ინგლისი - დიდი საჩოგბურთო ტრადიციების ქვეყანაა, ამიტომაც, აქაური გულშემატკივრები კარგად ერკვევიან ჩოგბურთში. მიუხედავად ამისა, მიმაჩნია, რომ მსოფლიოში ჩოგბურთის გლობალური განვითარებისთვის აუცილებელია ტურნირის ლონდონში ხუთი წელი ჩატარების შემდეგ, ის სხვა ქვეყანაში ან სულაც კონტინენტზე გადაიტანონ".*

შეგახსენებთ, რომ ATP-ის წლის შემაჯამებელი ტურნირი ლონდონში „O2-არენაზე" 2009 წლიდან ტარდება და კონტრაქტის ვადა 2013 წლის ბოლოს იწურება.

■ ■ ■

შვეიცარიელ **როჯერ ფედერერს** კი სულ სხვა პრობლემა აწუხებს. მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი ყურადღებას ამახვილებს დოპინგის საკითხზე და დოპინგ-ტესტების რაოდენობის გაზრდის ინიციატივით გამოდის. როჯერი აცხადებს, რომ ბოლო დროს, ტესტების რიცხვი შესამჩნევად შემცირდა.

*„დღეს ჩოგბურთელები გაცილებით ნაკლებ ტესტს აბარებენ, ვიდრე რამდენიმე წლის წინ,* - მოჰყავს ფედერერის სიტყვები BBC-ის. - *ჩემთვის რთული გასაგებია, რატომ ხდება ასე. დოპინგ-ტესტებში საშიში არაფერია. რა თქმა უნდა, ეჭვი არ მეპარება იმაში, რომ დოპინგის პრობლემა ჩოგბურთს ყველაზე ნაკლებად ეხება, მაგრამ მიმაჩნია, რომ ტესტების რაოდენობის გაზრდა აუცილებელია".*


ეროვნული ბიბლიოთეკა
რაფაელ ნადალი

# რაფა დეკემბერში დაბრუნდება

## ესპანეთის ნაკრებმა დევისის თასის ფინალისთვის შემადგენლობა დაასახელა

ცნობილი გახდა ესპანეთის ნაკრების შემადგენლობა დევისის თასის ფინალური მატჩისთვის, რომელშიც ეს გუნდი ჩეხეთის ნაკრებს დაუპირისპირდება.

ტურნირის მოქმედი ჩემპიონის კაპიტანმა - **ალექს კორეჩამ** თავისი არჩევანი შეაჩერა **დავიდ ფერერზე, ნიკოლას ალმაგროზე, მარსელ გრანოლერსსა** და **მარკ ლოპესზე**. ესპანეთის ნაკრების სათადარიგოები იქნებიან - **ფელისიანო ლოპესი** და **რობერტო ბაუტისტა-აგუტი**.

შეგახსენებთ, რომ დევისის თასის ფინალი ჩეხეთსა და ესპანეთს შორის 16-18 ნოემბერს, პრალაში გაიმართება. ეს გუნდები აქამდე ექვსჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და ესპანეთი წინ არის - 4:2.

■ ■ ■

დევისის თასის ფინალში ვერ ითამაშებს მსოფლიოს მეოთხე ჩოგანი **რაფაელ ნადალი**, რომელიც ისევ გადის აღდგენით კურსს მუხლის ტრავმის შემდეგ. რაფას ბიძამ და მწვრთნელმა **ტონი ნადალმა** ესპანური პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ჩოგბურთელი დეკემბრის ბოლოს დაუბრუნდება კორტს.

სავარაუდოდ, რაფაელი 28 დეკემბერს ჩაებმება აბუ-დაბის საჩვენებელ ტურნირში.

ადრე იტყობინებოდნენ, რომ ნადალი შეძლებდა ნაკრებისთვის დახმარების გაწევას დევისის თასის ფინალში, მაგრამ „დიდი სლემის" ტურნირების 11-გზის ჩემპიონს ჯერ კორტზე ვარჯიშებიც არ დაუწყია, ასე რომ, ფინალში მისი მონაწილეობა გამორიცხულია.

გოლფი

# ჩინეთში ტაიგერ ვუდსი გამოჩნდა

## 14 წლის კოლის მოსწავლე მასტერსზე მოხვდა

**ტაიგერ ვუდსის** შემდეგ, გოლფის სამყაროში ახალი ვუნდერკინდი გამოჩნდა. 14 წლის ჩინელი **გუან ტიანლანი** პროფესიული ტურის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ტურნირის - „მასტერსის" მონაწილე გახდა. ჩინელმა სკოლის მოსწავლემ აზიისა და წყნარი ოკეანის საკვალიფიკაციო ტურნირი მოიგო. შესაბამისად, გუან ტიანლანს ვიხილავთ ქალაქ ოგასტაში (ჯორჯიას შტატი), სადაც ყოველწლიურად იმართება Major-ის სერიის ოთხი ტურნირიდან ერთ-ერთი - „მასტერსი". საკვალიფიკაციო ჩემპიონატი ტაილანდში გაიმართა. სხვათა შორის, ბოლო ორმოს გავლას ტიანლანმა ერთი დარტყმა მოანდომა.

ადრე, „მასტერსის" ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე იყო იტალიელი **მატეო მანასერო**, რომელიც 2010 წელს 17 წლის გახლდათ. აღსანიშნავია, რომ თავად გუან ტიანლანი - ერთადერთი ჩინელი ვუდერკინდი არ არის. გასულ ზაფხულს, აშშ-ის ღია პირველობაზე მონაწილეობა მიიღო ასევე 14 წლის ჩინელმა **ენდი ჟანმა**.

გოლფი დიდი ხანია გახდა გამოცდილი და ასაკოვანი სპორტსმენების სპორტი, მაგრამ ხანდახან, იქ ჩნდებიან ვუნდერკინდები. მაგალითად, ტაიგერ ვუდსმა Major-ის სერიის ტურნირი პირველად 21 წლის ასაკში მოიგო.


გუან ტიანლანი

ამბები

**მძლეოსნობა**

### ბოლტი პრეტენდენტია

მძლეოსნობის ფედერაციების საერთაშორისო ასოციაციამ დაასახელა სამი მძლეოსანი, რომელიც წლის საუკეთესო ათლეტის ტიტულზე აცხადებს პრეტენზიას.

ამ სამეულში მოხვდნენ - იამაიკელი სპრინტერი **უსაინ ბოლტი**, 110 მეტრზე თარჯრბენში ლონდონის ოლიმპიადის ჩემპიონი, ამერიკელი **არის მერიტი** და კენიელი **დავიდ რუდიშა**, რომელმაც ოლიმპიადაზე 800 მეტრი დისტანცია მოიგო.

გამარჯვებულს 24 ნოემბერს, ბარსელონაში გამოაცხადებენ, სადაც ასოციაციის 100 წლისთავთან დაკავშირებით საზეიმო ცერემონია გაიმართება.

**ჰოკეი**

### დღეს მორიგი შეხვედრაა

ჰოკეის ეროვნული ლიგისა და მოთამაშეთა პროფკავშირების ხელმძღვანელებმა მოლაპარაკებათა მორიგი რაუნდი დღეისთვის ნიუ იორკში დაგეგმეს, - იტყობინება ESPN.

შეგახსენებთ, რომ დაპირისპირებული მხარეები გასულ უქმეებზე შეხვდნენ ერთმანეთს და ვიწრო წრეში 10-საათიანი მოლაპარაკება გამართეს. სწორედ აქ შეთანხმდნენ მორიგი შეხვედრის შესახებ.

ლოკაუტი ჰოკეის ეროვნულ ლიგაში 51 დღეა მიმდინარეობს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**




დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი; მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გია თვალაბეიშვილი

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:45
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608